

სააკადემიო მასალები

XIX საუკუნის 70-იანი წლების საქართველოს
საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრების შესახებ



ბიბლიოთეკა
№ 27117
შემ. 1965 წ.
საქართველოს სსრ-ის ბიბლიოთეკის სსრკ-ის კონსტანტინე

АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

ИНСТИТУТ РУКОПИСЕЙ ИМЕНИ К. С. КЕКЕЛИДZE



АРХИВНЫЕ МАТЕРИАЛЫ

ОБ ОБЩЕСТВЕННО-КУЛЬТУРНОЙ ЖИЗНИ ГРУЗИИ
70-ых ГОДОВ XIX ВЕКА

(Семейная переписка Туманишвили)

Текст с исследованием, комментариями и указателем
подготовила к изданию Е. М. АБРАМИШВИЛИ

ИЗДАТЕЛЬСТВО «МЕЦНИЕРЕБА»
ТБИЛИСИ
1965

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

ა. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი

სააკივო მასალები

XIX საუკუნის 70-იანი წლების საქართველოს
საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრების შესახებ

(თუმანიშვილების წერილები)

ტექსტი შესავალი წერილით, კომენტარებითა და საძიებლით
გამოსაცემად მოამზადა ელისო აბრამიშვილმა

გამომცემლობა „მეცნიერება“

თბილისი

1965

8 I 1

902. 5 (47. 922)+899. 962. 1. 092

[თუმანიშვილები] ს 127

წიგნში პირველად ქვეყნდება მე-19 ს. საზოგადო მოღვაწეების—მიხეილ თუმანიშვილისა და მისი შვილების წერილები. მათში წარმოდგენილი ეპისტოლარული მასალა ერთგვარად აცოცხლებს გასული საუკუნის მოღვაწეთა სახეებს და ნათელს ჰფენს იმდროინდელ ქართულ საზოგადოებრივ-კულტურულ ცხოვრებას.

რედაქტორი გ. კიკნაძე

თუმანიშვილების ეპისტოლარული მემკვიდრეობა

ამ წიგნში გამოქვეყნებულია თავის დროზე საკმაოდ ცნობილი თუმანიშვილების ოჯახის წევრთა მიწერ-მოწერა. უკვე ის გარემოება, რომ წერილების ავტორები და ადრესატები არიან მიხეილ, ბაბაღე, ანასტასია, გიორგი, ვასილ და კონსტანტინე თუმანიშვილები, გარკვეულ ინტერესს იწვევს მათი ეპისტოლარული მემკვიდრეობისადმი. ყოველი მათგანი საზოგადო მოღვაწეობას ეწეოდა, ანდა ასეთი მოღვაწეობისათვის ემზადებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ დასახელებული პირები ერთი ოჯახის წევრები არიან, მაინც მათი წერილების უმთავრესი შინაარსი საზოგადოებრივი მნიშვნელობისაა. იმდროინდელი ქართველი ინტელიგენციის ზრუნვა განათლების გავრცელებისა და კულტურის ამაღლებისათვის, გასული საუკუნის 70-იანი წლების პრესა და თეატრი, ე. წ. „არტიტიული წრის“ საქმიანობა: საჯარო ხასიათის ლექციების კითხვა, ლიტერატურული დილა-სადამოების, კონცერტებისა და ბალ-მასკარადების მოწყობა, ბრძოლა ძველსა და ახალ თაობას შორის სათავადაზნაურო ბანკის დაარსებასთან დაკავშირებით—აი, საკითხთა ის წრე, რასაც ძირითადად ეხება თუმანიშვილების მიმოწერა.

გარდა ამისა, წერილებში რამდენადმე დახასიათებული არიან ისეთი ქართველი თუ არაქართველი საზოგადო მოღვაწეები, მწერლები, მსახიობები და მაღალი თანამდებობის პირები, რომლებიც გარკვეულ როლს თამაშობდნენ იმდროინდელ საქართველოს საზოგადოებრივსა და კულტურულ ცხოვრებაში.

აქვე ისიცაა აღსანიშნავი, რომ რაკი ადრესატები ურთიერთისათვის მახლობელნი არიან და ბარათები გამოსაქვეყნებლად არაა დანიშნული, მათში გადმოცემული ფაქტებისა და შეფასების გულწრფელობაში ეჭვი არ შეიძლება შევიტანოთ. ამრიგად, ჩვენ საქმე გვაქვს რაც შეიძლება სანდო მასალასთან. ყველაფერი ეს განსაკუთრებულ ღირებულებას ანიჭებს თუმანიშვილების ეპისტოლარულ მემკვიდრეობას.

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ენციკლოპედია

* * *

მიხეილ თუმანიშვილი ცნობილია, როგორც მე-19 ს. თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწე, პუბლიცისტი და პოეტი.

16 წლის მანძილზე, 1842—1858 წლებში, მიხეილი მსახურობდა თბილისის საგუბერნიო სამმართველოში. ამ ხნის განმავლობაში მან ზედმიწევნით შეისწავლა თბილისის გუბერნიის მოსახლეობის ყოფაცხოვრება და შეაგროვა მრავალი საყურადღებო ისტორიული, ეთნოგრაფიული, თუ ეკონომიური ხასიათის ცნობა. ამ პერიოდშივე შეკრიბა მან აურაცხელი მასალა გლეხთა საკითხზე. 1857 წ., რუსეთის საგოგრაფიო საზოგადოების დავალებით, მ. თუმანიშვილმა შეადგინა თბილისის გუბერნიის ჭარ-ბელაქნის სამხრეთი ოლქის ვრცელი აღწერილობა.

საქართველოში, საგლეხო რეფორმის გატარების პერიოდში, მ. თუმანიშვილი იყო ე. წ. „გლეხების მოწყობის საქმეთა კანცელარიის“ დირექტორი და „გლეხთა მოწყობის კომიტეტის“ საქმეთა გამგე. თუ რა დიდი როლი ითამაშა მ. თუმანიშვილმა საგლეხო რეფორმის გატარების საქმეში, ამაზე მიუთითებს დიმიტრი ყიფიანისა და მიხეილ თუმანიშვილის მიმოწერა¹.

მ. თუმანიშვილს გარკვეული წვლილი მიუძღვის აგრეთვე სათავადაზნაურო ბანკის დაარსებაში. 1867 წ. თბილისის გუბერნიის თავადაზნაუროების მიერ იგი არჩეულ იქნა კომიტეტის წევრად, რომელსაც დავალებული ჰქონდა ბანკის წესდების პროექტის შედგენა.

ამავე დროს მ. თუმანიშვილი ეწეოდა ლიტერატურულ საქმიანობასაც. მისი ცვლეტონები, სხვადასხვა აქტუალურ და საპრობორიტო საკითხზე, ხშირად იბეჭდებოდა იმდროინდელ პრესაში („ცისკარი“, „დროება“, „ტიფლისკი ვესტნიკი“ და სხვ.).

აღსანიშნავია აგრეთვე ისიც, რომ მიხეილი თვალყურს ადევნებდა ქართულ თეატრალურ ცხოვრებასაც და შეიძლება ითქვას, რომ არსებითად ის იყო ქართული წარმოდგენების პირველი კრიტიკოსი.

საერთოდ, მრავალმხრივ საინტერესო პიროვნება იყო მიხეილ თუმანიშვილი და ეს იმ წერილებიდანაც კარგად ჩანს, რომელთაც იგი თავის შვილს, ვიორგის, სწერდა.

ბაბალე თუმანიშვილი, მიხეილის უფროსი ქალიშვილი, თავისი დროისათვის განათლებული ქალი იყო. მან შეადგინა გეორგ სტეფენსონის ბიოგრაფია, რომელიც გამოიცა მისი სიკვდილის შემდეგ, 1876 წელს.

ნაადრევმა სიკვდილმა (ბაბალე გარდაიცვალა ოცდაშვიდი წლის ასაკში) ხელი შეუშალა მას გამოველინებინა მთელი თავისი შესაძლებლობანი და საკუთარი წვლილი შეეტანა ქართული კულტურის განვითარებაში. სამაგიეროდ, მან დაგვიტოვა საინტერესო ეპისტოლარული მემკვიდრეობა, რომელსაც ვმჩნევა დაკვირვებული და ნიჟიერი ადამიანის კვალი.

ანასტასია თუმანიშვილმა მამის ლიტერატურული საქმიანობა განაგრძო. იგი იყო გამომცემელი და რედაქტორი ცნობილ საბავშვო ჟურნალ „ჯეჯილის“. ის რედაქტორობდა აგრეთვე გ. წერეთელთან ერთად ყოველკვირეულ პოლიტიკურ-ლიტერატურულ გაზეთ „კვალს“. გარდა ამისა, ანასტასია წერდა

¹ იხ. მ. ჩხეტია, საგლეხო რეფორმის ისტორიისათვის საქართველოში, თბ., 1950.

საბავშვო ლექსებს, მოთხრობებსა და ამავე დროს მთარგმნელობით მუშაობას ეწეოდა.

1884 წ. ან. თუმანიშვილის ინიციატივით თბილისში დაარსდა მასწავლებელ და აღმზრდელ ქალთა საურთიერთო დახმარების საზოგადოება. ეს საზოგადოება აწყობდა ე. წ. „სახალხო კითხვებს“ და ატარებდა გარკვეული სახის სამუშაოებს საკვირაო სკოლებსა და თეატრებში. ამავე საზოგადოებამ დააარსა აგრეთვე ე. წ. სანიმუშო სკოლა და მდიდარი ბიბლიოთეკა, რომელიც ამჟამინდელ განათლების მუშაკთა სახლის ბიბლიოთეკას დაედგა საფუძვლად.

გიორგი თუმანიშვილი, მ. თუმანიშვილის უფროსი ვაჟი, ცნობილი ჟურნალისტი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე იყო. იგი მუდმივად თანამშრომლობდა როგორც ქართულ, ისე რუსულ პრესაში („დროება“, „ივერია“, „ოზბორი“, „ვესტნიკ ვერობი“, „გოლოსი“, „მოღვა“, „პორიადოცი“, „რუსკაია მისლი“ და სხვ.).

1891 წ. გ. თუმანიშვილი თავის ძმებთან ერთად ხელმძღვანელობდა იმ დროისათვის პროგრესულ გაზ. „ნოვოე ობოზრენიეს“, რომელშიაც თანამშრომლობდნენ: ალ. ხახანაშვილი, ნ. მარი, ივ. თარხნიშვილი, ნ. ნიკოლაძე, გ. ლასხიშვილი და სხვ.

ამავე დროს გიორგი იყო ქართული თეატრის აღდგენის ერთ-ერთი ინიციატორი და ქართული დრამატული ამხანაგობის პირველ რეჟისორთაგანი.

გ. თუმანიშვილის თაოსნობითვე შეიქმნა ჩვენში კავკასიისმცოდნეობის უმაღლესი კურსები და საზოგადო კლუბი.

გარდა ამისა, 20 წლის განმავლობაში იგი იყო თბილისის „საურთიერთო კრედიტის“ დირექტორი. დიდად გ. თუმანიშვილის დამსახურება კავკასიაში თვითმმართველობის იდეის გამტკიცების საქმეშიც. იგი დაულალავად ქადაგებდა, რომ ერობა უნდა გავრცელდეს ამიერკავკასიაშიც.

ვასილ თუმანიშვილს, მ. თუმანიშვილის მეორე ვაჟს, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი წვლილი ქართული თეატრის აღორძინებაში მიუძღვის. სიყვარულს თეატრისადმი ვასილი ჯერ კიდევ მოწაფეობის პერიოდში ამჟღავნებდა. ის ხშირად იღებდა მონაწილეობას გიმნაზიელთა წარმოდგენებში. ამავე წლებში დაუახლოვდა ვასილი სცენისმოყვარეთა წრეს, რომელიც მართავდა წარმოდგენებს ჯერ კერძო სახლებში, ხოლო შემდეგ — ძველი სახელმწიფო თეატრის სცენაზე. სწორედ ამ წრეში დაუმეგობრდა ის შემდეგში ცნობილ თეატრის მოღვაწეებს — ა. სუმბათაშვილ-იუჟინს და ვლ. ნემიროვიჩ-დანჩენკოს.

სტუდენტობის პერიოდშიც, მოსკოვსა და პეტერბურგში ყოფნის დროს, ვასილი იყო ერთ-ერთი ინიციატორი ე. წ. „კავკასიური საღამოების“. ამ საღამოებიდან მიღებული შემოსავალი ხმარდებოდა მატერიალურად ხელმოკლე სტუდენტებს.

სამშობლოში დაბრუნებისთანავე ე. თუმანიშვილი კიდევ უფრო დიდი ენერგიით ჰკიდებს ხელს თავის საყვარელ საქმეს. 1886—1888 წლებში ე. თუმანიშვილი მუშაობს რეჟისორად ქართულ თეატრში. ამავე დროს იგი იყო ქართული დრამატული საზოგადოების ერთ-ერთი დამაარსებელი და შემდეგ ამავე საზოგადოების მმართველობის წევრი.

გარდა თეატრალური მოღვაწეობისა, ე. თუმანიშვილი მონაწილეობას იღებდა აგრეთვე სხვა საზოგადოებრივი ხასიათის საქმიანობაშიც. 14 წლის მანძილზე,



1891—1904 წლებში, ვასილი იყო გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეს“ პასუხისმგებელი რედაქტორი.

1905 წ. ვ. თუმანიშვილი აირჩიეს თბილისის დრამატული საზოგადოების მამასახლისთა საბჭოს თავმჯდომარედ. ის თვითონაც ხშირად იღებდა მონაწილეობას ქართულ სცენაზე გამართულ სპექტაკლებში და წარმატებით ასახიერებდა სახასიათო და კომიკურ როლებს.

კონსტანტინე თუმანიშვილსაც, მ. თუმანიშვილის უმცროს შვილს, გარკვეული წვლილი მიუძღვის ქართული კულტურის წინაშე. 1891 წლიდან 1904 წლამდე ის იყო „ნოვოე ობოზრენიეს“ გამომცემელი. ამ გაზეთში იგი ხელმძღვანელობდა უცხოეთის განყოფილებას. გარდა ამისა, კონსტანტინე თუმანიშვილი მონაწილეობას იღებდა რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების მუშაობაში.

1913 წ. კ. თუმანიშვილმა გამოსცა წიგნი „О доисторическом языке Закавказья“. ბოლო წლებში იგი ხშირად აქვეყნებდა პოლიტიკური ხასიათის წერილებს ფსევდონიმით „Казт“ და ინიციალებით „К. Т.“

მიხეილ თუმანიშვილის მთელი ეს მრავალრიცხოვანი ოჯახი 1842 წლიდან ცხოვრობდა ბარიათინსკის ქუჩაზე (ახლანდელი ჯორჯიაშვილის ქ. № 6).

სახლი, რომელიც მიხეილს ეკუთვნოდა, თავდაპირველად ერთსართულიანი იყო. შემდეგში იქვე, გვერდით, მ. თუმანიშვილმა ააშენა ორსართულიანი შენობა, რომელიც მას გაქირავებული ჰქონდა. გაქირავებულ ბინაში სხვადასხვა დროს ცხოვრობდნენ იმ დროისათვის საკმაოდ გავლენიანი პირები: გვარდიის შტაბს-კაპიტანი კონსტანტინე არკადის ძე გრაფი სუვოროვ-რიმნიკსკი, დეისტეტიტელნი სტატსკი სოვეტნიკი, კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი ნ. სემენოვი, თავადი ნ. იუსუფოვი, ფლიგელ-ადიუტანტი, გვარდიის როტმისტრი მ. ჩერტკოვი, დიდი მთავრის, კონსტანტინე კონსტანტინეს ძის სახელობის გრენადერთა პოლკის მეთაური თავადი ალ. ტრუბეტკოი, გრაფი ილ. ვორონცოვ-დაშკოვი, ქართველი პოეტი, იმ დროს გენერალ-მაიორი ვახტანგ ორბელიანი, საფრანგეთის ქვეშევრდომი ალფრედ ბულიონი, ცნობილი კბილის ექიმი ვოლფზონი და სხვ.

მ. თუმანიშვილის პატარა ბინაში ხშირად იკრიბებოდნენ მიხეილის მეგობარ-ამხანაგები: ნიკოლოზ ბარათაშვილი, გიორგი ერისთავი, ისტორიკოსი დიმიტრი ბაქრაძე, ქართველი საზოგადო მოღვაწეები: ბესარიონ და ნიკო დოღობერიძეები, პეტრე მელიქიშვილი, „ტიფლისკი ვესტნიკის“ რედაქტორი კონსტანტინე ბებუთოვი, ლიტერატორი გ. ა. კალანტაროვი, გაზ. „კავკასის“ თანამშრომელი ივ. ევლანოვი და სხვანი.

1875 წ. მ. თუმანიშვილმა დატოვა პატარა ერთსართულიანი ბინა და საცხოვრებლად ორსართულიან შენობაში გადავიდა.

შემდეგში, მოგვიანებით, ამ სახლს დააშენეს მე-3 სართულიც.

1891—1904 წლებში, როდესაც გაზ. „ნოვოე ობოზრენიეს“ ძმები თუმანიშვილები ხელმძღვანელობდნენ, ამ გაზეთის რედაქციას ეჭირა მე-2 სართულის ნაწილი, ხოლო მას შემდეგ, რაც „ნოვოე ობოზრენიე“ კალანტარ ივანეს ძე კალანტაროვის ხელში გადავიდა, გაზეთის რედაქცია პირველ სართულზე მოათავსეს. ამავე შენობაში 1914—1921 წლებში მე-2 სართულზე მოთავსებული იყო აგრეთვე გაზ. „კავკასსკოე სლოვოს“ რედაქციაც.



ეს სახლი, როგორც ამას გიორგი თუმანიშვილი გადმოგვცემს², მრავალი ამბის მოწმე იყო. აქ შეიქმნა ამხანაგობა ქართველ კლასიკოსთა გამოსაცემად, წარმოიშვა იდეა მუდმივი ქართული სცენისა და ჟურნ. „ჯეჯილის“ დაარსების, აქვე შეიქმნა მასწავლებელ ქალთა საზოგადოება.

ამ სახლში ხშირად იყრიდნენ თავს იმდროინდელი ქართველი მოღვაწეები, მწერლები და მსახიობები: ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, რაფიელ ერისთავი, გიორგი წერეთელი, მარიამ საფაროვა-აბაშიძისა, ნატო გაბუნია-ცაგარლისა და სხვანი.

ამ შენობაში მოსულან სტუმრად სომეხი მწერალი შირვანზადე, ახალგაზრდა მაქსიმ გორკი, კომპოზიტორი ვ. ე. მეიერხოლდი, რუსი მომღერლები: კომისარ-ჟევსკი და შალიაბინი. შალიაბინს მონაწილეობაც კი მიუღია საქველმოქმედო მიზნით გამართულ კონცერტში.

ასეთია ისტორია იმ სახლისა, რომელშიაც ცხოვრობდნენ და გარდაიცვალნენ მიხეილ თუმანიშვილი და მისი შვილები: ბაბაღე, ვასილი, გიორგი და კონსტანტინე.

მიხეილის შვილებიდან ბაბაღეს, ვასილსა და კონსტანტინეს ოჯახი არ შეუქმნიათ. ანასტასია, გ. წერეთლის მეუღლე, უშვილოდ გარდაიცვალა. მ. თუმანიშვილის შთამომავლობა მხოლოდ გიორგიმ განავრძო. მას ცოლად ჰყავდა მარიამ მარკოზის ასული დოლუხანოვა. ისიც საზოგადო მოღვაწეობას ეწეოდა—თავმჯდომარეობდა ტუბერკულოზის წინააღმდეგ მებრძოლ საზოგადოებას. მასვე ეკუთვნის ბროშურა „Абастуман“. მ. დოლუხანოვას მოგონებები მის თანამედროვე საზოგადო მოღვაწეებზე, მწერლებსა და მსახიობებზე ინახება ერევნის ლიტერატურულ მუზეუმში.

გიორგის ექვსი შვილი შეეძინა: მიხეილი, ელისაბედი, ლეონი, ელენე, სოფიო და ევგენი.

უფროსი ვაჟიშვილი—მიხეილი ცნობილი ლიტერატორი იყო (წერდა „ხელთუხენელის“ ფსევდონიმით); ლეონი მუშაობდა ამიერკავკასიის შრომის კომისარიატში; სოფიო ადრე ახალგაზრდობაში გარდაიცვალა; ევგენი აგრონომია, ამჟამად იგი ერევანში ცხოვრობს; ელისაბედი—ბიბლიოთეკარი, 1950 წლიდან—პენსიონერი; ელენე საქართველოს სსრ დამსახურებული პედაგოგია, ამჟამად პენსიონერი.

ელისაბედი, ელენე და ევგენის ქალიშვილი ახლაც თავიანთ წინაპართა სახლში ცხოვრობენ, ჯორჯიაშვილის ქუჩაზე, ხოლო ლეონის შვილი, ნატალია, მოსკოვში ცხოვრობს და ჟურნალისტურ საქმიანობას ეწევა.

თუმანიშვილების არქივს გიორგის ოჯახის წევრებმა უპატრონეს. მრავალი წლის მანძილზე ისინი სათუთად ინახავდნენ თავიანთი სახელოვანი პაპის, მამის, მამიდებისა და ბიძების მიერ დატოვებულ ხელნაწერებს. ხოლო შემდეგ, 1932 და 1959 წლებში, არქივის დიდი ნაწილი მათ გადასცეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტს. 1963 წ. აგვისტოში ელისაბედ თუმანიშვილმა ამავე ინსტიტუტს კვლავ მიაწოდა დამატებით გიორგი და კონსტანტინე თუმანიშვილების წერილები.


თუმანიშვილების არქივი იმდენად დიდი აღმოჩნდა, რომ ამჟამად ინსტიტუტში მისგან ოთხი დამოუკიდებელი ფონდია შექმნილი: მიხეილ თუმანიშვილის, ანასტასია თუმანიშვილის, გიორგი თუმანიშვილის და ვასილ და კონსტანტინე თუმანიშვილების ერთად.

² იხ. „История одного старого дома в Тифлисе“, „Кавказское слово“, 1918, 17 сент.

თუმანიშვილების ფონდებში არსებული მასალიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს მიწერ-მოწერა. წერილების ავტორთა რიცხვი 800-მდე აღწევს. აქ შეხვდებით გამოჩენილი ქართველი საზოგადო მოღვაწეების, მეცნიერების, მწერლების, ჟურნალისტების, ხელოვნების მუშაკების, ცნობილი სამხედრო პირებისა და საპასუხისმგებლო თანამდებობის მქონე პირთა წერილებს. ასე მაგალითად, თუმანიშვილების არქივებში შემონახულია დიმიტრი ბაქრაძის, პლატონ იოსელიანის, დიმიტრი ყიფიანის, ივანე თარხნიშვილის, რაფიელ ერისთავის, აკაკი წერეთლის, გიორგი წერეთლის, ნიკო ნიკოლაძის, კირილე ლორთქიფანიძის, იოსებ მანსვეტაშვილის, ალექსანდრე ხახანაშვილის, ალექსანდრე ცაგარლის, ნიკო მარის, ალექსანდრე სარაჯიშვილის, მოსე ჯანაშვილის, ლუარსაბ ბოცვაძის, იონა მეუნარგიას, პეტრე უმიკაშვილის, დავით ერისთავის, რომანოზ და იაკობ ფანცხავების, დუტუ მეგრელის, თედო რაზიკაშვილის, ეკატერინე ვაბაშვილის, სილოვან ხუნდაძის, სერგი გორგაძის, გიორგი ლასხიშვილის, პეტრე მელიქიშვილის, ელენე და კოტე ყიფიანების, სუმბათაშვილ-იუჟინის, იოსებ იმედაშვილის, კეკეა-ფშაველას, ივანე გომართლის, იოსებ გრიშაშვილის და სხვათა წერილები. წერილებიდან შესანიშნავად ჩანს, თუ რა მჭიდრო, მეგობრული და ამავე დროს საქმიანი ურთიერთობა აკავშირებდათ ქართველი ერის საუკეთესო შვილებს თუმანიშვილების ოჯახთან. მაგრამ თუმანიშვილების ნაცნობ-მეგობართა წრე მხოლოდ ქართველობით როდი შემოიფარგლებოდა. მათ არქივებში უხვადაა წარმოდგენილი აგრეთვე სხვა ეროვნების პირთა წერილებიც: პოლონელი პოეტის ლადა-ზაბლოცკის, ინგლისელი მწერალი ქალის მარჯორი უორდროპის, რუსი კრიტიკოსების: ევგ. კოლოსოვისა და ვ. შეჩინინის, გამოჩენილი რუსი თეატრალური მოღვაწის ვ. ნემიროვიჩ-დანჩენკოს, ცნობილი სომეხი მწერლის გაბრიელ სუნდუკიანცისა და სხვათა წერილები. განსაკუთრებით ფართო ურთიერთობა ჰქონია ვ. თუმანიშვილს მის თანამედროვე რუს ჟურნალისტებთან. ვ. თუმანიშვილის არქივშივეა დაცული აგრეთვე მისი წერილები მაქსიმ გორკისა, ვ. კოროლენკოსა და ნ. მიხაილოვსკისადმი.

თვით თუმანიშვილების წერილები, რომლებიც დაცულია როგორც მათ, ასევე ხელნაწერთა ინსტიტუტის სხვა პირად საარქივო ფონდებშიც, 500-მდე აღწევს. გარდა ზემოთ ჩამოთვლილი პირებისა, მათი აღრესატები არიან: იოსებ მამაცაშვილი, იოანე ანდრონიკაშვილი, ლუკა ისარლიშვილი, ექვთიმე თაყაიშვილი და მრავალი სხვა.

თუმანიშვილების ყველა წერილი გარკვეული ღირებულების მქონეა, მაგრამ ჩვენ მაინც საგანგებოდ შევჩერდით იმ წერილებზე,



რომლებიც 70-იან წლებშია დაწერილი, ვინაიდან, როგორც ცნობილია, გასული საუკუნის საქართველოში სწორედ ამ პერიოდში შეიმჩნევა საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრების საგრძნობი გამოცოცხლება.

ამ მხრივ არ შეიძლება პირველ რიგში არ აღინიშნოს იმ დროინდელ მოღვაწეთა ინტენსიური მუშაობა ეურნალისტიკის დარგში. 70-იან წლებში, უკვე არსებული ქართული და რუსული ეურნალ-გაზეთების („ცისკარი“, „დროება“, „სასოფლო გაზეთი“, „მნათობი“, „კავკაზი“) გვერდით, წარმოიქმნა ახალი პერიოდული გამოცემები: „კრებული“, „ივერია“, „კავკასკაია სტარინა“, „ტიფლისკი ვესტნიკი“, „ობზორი“ და „მშაკი“.

70-იანი წლებიდან თბილისის საზოგადოება დიდი ინტერესით ისმენს ლექციებს მეცნიერების სხვადასხვა დარგიდან. ამავე ხანებში ჩაისახა საქართველოში უმაღლესი სასწავლებლის—უნივერსიტეტის დაარსების იდეაც. ცნობილია აგრეთვე, რომ 70-იანი წლების მიწურულში აღდგა ქართული დრამატული თეატრიც. 70-იან წლებში შეიმჩნევა აგრეთვე ერთგვარი მოძრაობა ქართველ ქალთა ემანსიპაციის სასარგებლოდ. აი, ამ საინტერესო ეპოქამ თავისი გამოხატულება ჰპოვა თუმანიშვილების ოჯახის წევრთა მიმოწერაში, რომელთა უმეტესობა 70-იან წლებს მიეკუთვნება. სწორედ ამ ხანებში, სახელდობრ, 1871—1875 წლებში მ. თუმანიშვილის უფროსი ვაჟიშვილი გიორგი ოდესის უნივერსიტეტში სწავლობდა. სამშობლოსა და ოჯახს მოცილებულ გიორგის სისტემატურად უგზავნიდნენ წერილებს მამა და და-ძმები და დაწვრილებით აცნობებდნენ თბილისში მომხდარ ყოველ მნიშვნელოვან ამბავს. ასე რომ, თუმანიშვილების მიერ ამ წლებში დაწერილი წერილების მკითხველს შესაძლებლობა ეძლევა გარკვეული წლების მანძილზე თანმიმდევრულად გაადევნოს თვალი საქართველოს იმდროინდელ საზოგადოებრივ-კულტურულ ცხოვრებას, ხოლო ამ პერიოდის მკვლევარს კი—შეავსოს და შეამოწმოს სხვა წყაროებიდან მიღებული ცნობები.

ამ გამოცემაში ჩვენ არ შეგვაქვს თუმანიშვილების ყველა წერილი, რომელიც 70-იანი წლებით თარიღდება. ვაქვეყნებთ მხოლოდ იმ წერილებს, რომლებშიაც შედარებით უფრო ნათლად არის გაშუქებული საქართველოს საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრების ესა თუ ის მხარე. გარდა ამისა, წერილების შერჩევას ვითვალისწინებდით იმ გარემოებასაც, თუ რამდენად ცოცხლად არის მათში წარმოდგენილი წერილების ავტორთა ბუნება, მათი მისწრაფებები, იდეალები, ინტერესთა წრე, რადგან ასეთი შინაარსის წერილებიც რამდენაღმე გამოხატავენ იმდროინდელი საზოგადოების გარკვეული



ნაწილის, კერძოდ, ინტელიგენციის სულისკვეთებასა და კულტურულ დონეს.

თუმანიშვილების მიწერ-მოწერიდან სრულიად აშკარაა, რომ ამ წერილების ავტორთა სახით ჩვენ საქმე გვაქვს დახვეწილ ინტელიგენტებთან, მაღალი, ფართო და მრავალმხრივი სულიერი ინტერესების მქონე პირებთან. წერილებში შესანიშნავად მყლავნდება მათი ავტორების ინდივიდუალობა, მაგრამ ამასთანავე გარკვევით შეიმჩნევა ისიც, რომ ისინი ერთ ოჯახს, ერთ საზოგადოებრივ წრეს ეკუთვნიან.

ამ გამოცემაში თავმოყრილი წერილების დაწერის მომენტში მიხეილ თუმანიშვილი უკვე 50 წელსაა გადაცილებული. ეს არის ფაქტიურად მისი სიცოცხლის უკანასკნელი წლები. მიხეილს უკვე დიდი გამოცდილება აქვს მიღებული ცხოვრებიდან, ის უკვე ცნობილი საზოგადო მოღვაწე და ჟურნალისტია. მისი შვილები კი ამ დროისათვის ჯერ კიდევ ახალგაზრდები არიან. ბაბაღე 23-26 წლისაა, ანასტასია—20-25 წლის, მიხეილის უფროსი ვაჟიშვილი, გიორგი, რომელიც ამ დროს უნივერსიტეტში სწავლობდა, 17-23 წლისაა, ხოლო ვასილი და კონსტანტინე ჯერ კიდევ გიმნაზიის მოსწავლეები არიან.

მიუხედავად ასეთი ასაკობრივი სხვაობისა, მათ წერილებს მაინც რამდენადმე ერთი დალი აზის. ერთგვარია დაახლოებით ამ წერილების შინაარსი, წერილების ავტორთა დაკვირვების ობიექტები და მათი სულიერი მოთხოვნილებანი. თუმანიშვილების ეპისტოლარული მემკვიდრეობის მკითხველს ზოგჯერ შეიძლება ისეთი შთაბეჭდილებაც კი შეექმნას, რომ ამ წერილებს ერთი ადამიანი წერდა, მხოლოდ სხვადასხვა ასაკში. ეს „ერთი ადამიანი“ კი მიხეილ თუმანიშვილი იყო, რომელიც, როგორც ჩანს, თავისი ოჯახის წევრებზე განუზომელი გავლენით სარგებლობდა.

1873 წელს, როდესაც მიხეილი გარდაიცვალა, გიორგი ასე წერდა ოდესიდან ვასილს: „მართალია, დაგკარგეთ ხელმძღვანელი, მაგრამ ჩვენ მაინც მისი გზით ვივლით—ვიქნებით ენერგიულები, დამოუკიდებელნი და პატიოსნები; არ გავგიტაცებ სხვათა დანაშაულებრივი სისუსტენი და არც ვიქნებით მათთვის ჯალათები. პატიოსანი შრომა და კაცთმოყვარეობა ჩვენი დევიზი უნდა იყოს მუდამ. ის, რომ შეიძლება არ ვულაატოთ ამ დევიზს, ამას დაამტკიცებს ჩვენი ახალგაზრდა ძალები და ჩვენი აღზრდა“³.

³ იხ. გთ, № 1118.



მიხეილი უნერგავდა თავის შვილებს სიყვარულს წიგნისადმი, ის უფართოებდა მათ ინტერესთა წრეს და აძლევდა გარკვეულ მართულებას მათ ცხოვრებას. მაგრამ ამ დიდ საქმეს იგი აკეთებდა ფრთხილად, ფაქიზად, ისე, როგორც დიდი ინტელიგენტი, არასოდეს ერეოდა უხეშად მათ ცხოვრებაში, არ ზღუდავდა მათ პიროვნებას.

მიხეილ თუმანიშვილის ეს შესანიშნავი თვისებები, როგორც აღმზრდელი მამისა, შერწყმულია მის მოქალაქეობრივ იდეალებთან და ეს ნათლად მჟღავნდება მის კერძო წერილებში.

1871 წ. აგვისტოში, როდესაც გიორგი ოდესაში მიემგზავრებოდა უმაღლესი ცოდნის მისაღებად, მამა-შვილმა გადაწყვიტეს კვირაში ერთხელ გაეგზავნათ ერთმანეთისთვის წერილი (შემდეგ მიხეილმა ერთი კვირა 10-15 დღით შეცვალა, რათა შვილს მეტი დრო დარჩენოდა მეცადინეობისათვის). მთელი ხუთი წლის განმავლობაში, სანამ გიორგი ოდესაში სწავლობდა, მამა-შვილი განუწყვეტლივ ესაუბრებოდნენ ერთმანეთს წერილების საშუალებით, რითაც მიხეილს საშუალება ეძლეოდა სისტემატურად ედევნებინა თვალი შვილის ცხოვრებისათვის.

ოდესაში გამგზავრების წინ მიხეილმა და გიორგიმ დიდხანს იმსჯელეს, თუ რომელ ფაკულტეტზე შესულიყო გიორგი. დაბოლოს ისინი იურიდიულ ფაკულტეტზე შეჩერდნენ. მამა საზოგადო მოღვაწეობისათვის ამზადებდა შვილს და იურიდიულ ფაკულტეტზე მიღებული ცოდნა, მისი აზრით, ყველაფერზე უფრო მეტად გამოადგებოდა გიორგის ცხოვრებაში სიმართლის, სამართლიანობისა და სიკეთის გასატარებლად. მაგრამ ოდესაში ჩასვლისას, როდესაც გიორგიმ მოისმინა ლექციები სხვა საგნებშიც, მისი ინტერესები საბუნებისმეტყველო ფაკულტეტისაკენ გადაიხარა. ამ ამბავმა მიხეილი შეაშფოთა და წერილის საშუალებით ეცადა შვილისათვის დაემტკიცებინა იურიდიული ფაკულტეტის უპირატესობა სხვა ფაკულტეტებთან შედარებით. მაგრამ მიხეილი ამავე დროს მორიდებული მამაცაა, იგი ცდილობს შვილის პოზიციებზედაც დადგეს და ამიტომ იმავე წერილში შემდეგ წერს: „თუმც არ ვიცი, ხომ არ გინდა პირველ წელიწადს მოისმინო ლექციები ყველა საგანში? შესაძლებელია, ეს არ იქნეს ურიგო. მე ვუცდი ცნობას შენი საბოლოო გადაწყვეტილების შესახებ“⁴.

მაგრამ მიხეილს აღარ დაუცდია შვილის პასუხისათვის. ერთი კვირის შემდეგ იგი კვლავ სწერს წერილს გიორგის და ამჯერად უფრო

⁴ იხ. 1871 წ. 27 სექტემბრით დათარიღებული წერილი.

დაბეჯითებით მოითხოვს შვილისაგან იურიდიულ ფაკულტეტზე შესვლას: „უბრუნდები კვლავ იმას, რის შესახებაც გესაუბრებოდი 22 რიცხვით დაწერილ წერილში. კარგია რაიმე აირჩიო გულით, მაგრამ კიდევ უფრო უკეთესია აირჩიო ის, რასაც გონება გიკარნახებს. დიდი ხნის ფიქრისა და საუბრის შემდეგ ჩვენ განვსაჯეთ, რომ უკეთესია შევჩერდეთ სამართლის მეცნიერებაზე. ეს, რა თქმა უნდა, რომელიმე მერკანტილური ანგარიშთანობით კი არა, არამედ ამ მეცნიერების ცხოვრებაში გამოყენების შესაძლებლობით არის ნაკარნახევი. რაც არ უნდა თქვან იდეალისტებმა, სინამდვილე პირველ ყოვლისა. იურიდიული განათლების დროს გახსნილია ყველა სარბიელი: ადმინისტრაციული, სასამართლოს, საზოგადოებრივი და ვიშეორებ, პირადი მატერიალური მიზნისთვის კი არა, არამედ თავის თანამოქალაქეთათვის სარგებლობის მოტანისათვის“...⁵ მიხეილის ამ სიტყვებიდან შესანიშნავად ჩანს, თუ როგორ მაღლა აყენებდა იგი საზოგადოებრივ ინტერესებს.

ბოლოსდაბოლოს, მამის რჩევა-დარიგებამ გაჭრა და გიორგი იურიდიულ ფაკულტეტზე შევიდა. მაგრამ გულისხმიერ მიხეილს არც ის ფაქტი გამოჰპარვია მხედველობიდან, რომ პირველ ხანებში გიორგი წმინდა იურიდიული დისციპლინების ნაცვლად ესწრებოდა ლექციებს ქიმიამში, რის გამოც ახლა უკვე საყვედურით მიმართავდა შვილს. მიხეილი მკაცრად მოითხოვდა შვილისაგან სერიოზულ დამოკიდებულებას თავისი სპეციალობისადმი⁶.

მ. თუმანიშვილი საგანგებო ყურადღებას აქცევდა აგრეთვე იმას, რომ მის შვილებს ფართო საერთო განათლება მიეღოთ. ამიტომ იყო, რომ იგი ხშირად ესაუბრებოდა გიორგის წერილების საშუალებით ფრანგული ენის მნიშვნელობაზე. „რალა გეხვეწო,—სწერს იგი გიორგის,—ფრანციცულს დაეჩქარე, თორემ მერე გვიანდა იქნება. ეს ენა მარტო კითხვისათვის არ არის: უმაგისოდ, ესლანდელს დროში, იოლად ვერ წახვალ—ვერც საზოგადოებაში, ვერც მგზავრობაში“⁷.

ასევე ზრუნავდა მიხეილი იმისათვისაც, რომ გიორგის თავისი მშობლიური ენა კარგად ცოდნოდა. ერთ-ერთ წერილში იგი კმაყოფილებით აცნობებს გიორგის, რომ დედა გახარებულია იმით, რომ გიორგი არ ივიწყებს ქართულ ენას და რომ ის მოუთმენლად ელო-

⁵ იხ. 1871 წ. 29 სექტემბრით დათარიღებული წერილი.

⁶ იხ. 1871 წ. 28 ნოემბრით დათარიღებული წერილი.

⁷ იხ. 1871 წ. 22 ოქტომბრით დათარიღებული წერილი.

დება თავისი შვილის ბრწყინვალე მიღწევებს მშობლიური ლიტერატურის სარბიელზე⁸.

დედის ამ სიხარულსა და წადილში თვით მიხეილის გულისთქმაც კარგად გამოსჭვივის. სხვა წერილში მამა ფრთხილად გამოთქვამს საყვედურს: „დედას დიდი ხანია შენი წიგნი არ მიუღია, ქართულად დაწერილი, ეცადეო“⁹.

წერილებიდან ისიც კარგად ჩანს, რომ მიხეილი ხშირად თვით ყიდულობდა და იწერდა თავისი შვილების ასაკისათვის შესაფერის და საჭირო წიგნებს და აძლევდა მათ სწორ გეზს საერთო განვითარების მიღებაში. 1872 წ. ნოემბრით დათარიღებულ წერილში მიხეილი გამოთქვამს კმაყოფილებას იმის გამო, რომ გიორგი სერიოზულად მეცადინეობს ფრანგულ ენაში და კითხულობს კლასიკოსთა ნაწარმოებებს. ამავე წერილში ის ურჩევს შვილს, რომ წასაკითხი მასალის პროგრამა ვააფართოოს ისტორიული ხასიათის წიგნებით, განსაკუთრებით ისეთი წიგნებით, რომლებშიაც ხალხთა კულტურული განვითარება იქნებოდა ასახული.

წერილებში ჩანს აგრეთვე ისიც, რომ მიხეილი თვალყურს ადევნებს, თუ მისი რომელი შვილი რა დროს რა წიგნს კითხულობს. ასე მაგალითად, მან იცის, რომ უმცროსმა ვაჟიშვილებმა უკვე გადაიკითხეს ჟიულ-ვერნის თხზულებები; იცის და უხარია, რომ მისი ქალიშვილები ჩაფლულნი არიან წიგნების კითხვაში, სულ მოკლე ხანში ისინი გაეცვენენ ჟან-ჟაკ რუსოს, ესკიროსსა და ლასალს; იცის, რომ ბაბაღე, აი, ახლა გატაცებით კითხულობს ბრემის „ფრინველთა ცხოვრებას“, ხოლო „მგრძნობიარე ტასო საათობით უზის პომილოვსკის თხზულებებს“¹⁰.

მიხეილი ცდილობს ობიექტურად შეაფასოს საკუთარი შვილების ქცევა და შესაძლებლობა. ერთგან ის წუხს იმის გამო, რომ ვასილს „ზარმაცი ჭკუა“ აქვს, „ძნელად ითვისებს ყველაფერს“. სხვა შემთხვევაში კი იგი წერს, რომ კოტე მათემატიკაში მოიკოჭლებს, სამაგიეროდ, მისი სიტყვებით რომ ვთქვათ, „მოხდენილად ხატავს თავისი საყვარელი მსახიობების: სოკოლოვის, ვორონკოვსკისა და კამენსკის სიფათებს“¹¹.

მ. თუმანიშვილი ფართო ბუნების ადამიანი იყო და ეს შესანიშნავად გამოჩნდა მის კერძო წერილებშიც. მან იცოდა არა მარტო

⁸ იხ. 1871 წ. 31 ოქტომბრით დათარიღებული წერილი.

⁹ იხ. 1872 წ. 16 იანვრით დათარიღებული წერილი.

¹⁰ იხ. 1871 წ. 19 მარტით დათარიღებული წერილი.

¹¹ იხ. 1872 წ. 19 მარტით დათარიღებული წერილი.

წიგნის, სწავლისა და შრომის, არამედ საღი მხიარულების, სასიამოვნო მოვნო დროსტარებისა და ესთეტიური ტკბობის ფასიც. ამიტომ იყო, რომ იგი ურჩევდა გიორგის გაეხსენებინა თავისი „მოხდენილი“ ცეკვა და ევარჯიშნა სიმღერაში, რადგან, მისი აზრით, „სასიამოვნო სერიოზულს არასოდეს უშლის ხელს, პირიქით, პირველი აძლევს უკანასკნელს სინათლესა და სიცოცხლეს“¹².

მიხეილი იმაზედაც ზრუნავდა, რომ მისი შვილები მაღალი ადამიანური თვისებების მატარებლები ყოფილიყვნენ, უნდოდა მათში დაენახა კარგი ამხანაგი და მეგობარი. გიორგისადმი გაგზავნილ ერთ-ერთ წერილში იგი გულწრფელად გამოთქვამს სიხარულს იმის გამო, რომ თბილისელებმა თავი მოიყარეს ოდესაში და თხოვეს შვილს, რომ მან, როგორც უფრო გამოცდილმა, დახმარება გაუწიოს მათ საჭირო რჩევა-დარიგებით¹³.

მიხეილი ცდილობდა, რომ მის შვილებს განვითარებული გონებისა და დახვეწილი სულის გარდა მიმზიდველი გარეგნობაც ჰქონოდათ. „გარეგნობაშიაც ხომ შეგეტყო ცვლილება,—სწერს იგი ერთ-ერთ წერილში გიორგის,—დაბლა ხომ აღარ იცქირები ხოლმე და მხრებიც ხომ გაისწორე? შინაგანობა კარგია, მაგრამ მასთან გარეგანობაც, ესე იგი ჯენტლემენობაც, არ არის ურიგო ეხლანდელ დროში“¹⁴.

როგორც მ. თუმანიშვილის წერილებიდან ჩანს, გიორგი ნაკლებად აქცევდა ყურადღებას ჩაცმულობას, ზოგჯერ იგი ზედმეტ მომჭირნობასაც კი იჩენდა ტანსაცმლის შექმნაში, ამიტომ იყო, რომ მიხეილი ხშირად ურჩევდა შვილს: ნუ გამოიჩენდა სიძუნწეს, ნუ დაინანებდა ფულს საჭირო და ამავე დროს ლაზათიანი ტანსაცმლის შექმნისათვის. ერთ-ერთ წერილში მიხეილი დაწვრილებითაც კი ჩამოუთვლის გიორგის, თუ რა უნდა იყიდოს მან: ახალ მოდაზე შეკერილი საგაზაფხულო მსუბუქი პალტო, მსუბუქი დრაპის ან ტრიკოსი, ასევე ახალ მოდაზე შეკერილი კოხტა ქუდი, საგაზაფხულო შარვალი, ყილეტი და პიჯაკი; ნახევრად დახურული ფეხსაცმელები, ხელთათმანები, ჰოლანდიური პერანგები და ქვედა საცვლები, კარგი შალის პლედი, რომელიც მას გამბადგება როგორც ადგილზე, ასევე გზაში¹⁵.

მ. თუმანიშვილის წერილები საგსეა არაჩვეულებრივი ადამიან-

¹² იხ. 1871 წ. 31 ოქტომბრით დათარიღებული წერილი.

¹³ იხ. 1872 წ. 4 სექტემბრით დათარიღებული წერილი.

¹⁴ იხ. 1872 წ. 2 იანვრით დათარიღებული წერილი.

¹⁵ იხ. 1873 წ. 6 აპრილით დათარიღებული წერილი.



ხური სიტბოთი, მის ყოველ სტრიქონში ჩანს ის განუზომელი სიყვარული, რომელსაც იგი თანაბრად და ამავე დროს უხვად უნაწილებდა თავის შვილებს.

მიმზიდველ პიროვნებებზე წარმოგვიდგებიან აგრეთვე თავიანთი წერილების მიხედვით მ. თუმანიშვილის უფროსი ქალიშვილები — ბაბაღე და ანასტასია.

წერილებში კარგად ჩანს მათი მდიდარი სულიერი სამყარო, მათი ინტერესების სიფართოვე, არაჩვეულებრივი შრომისუნარიანობა და დაუშრეტელი ენერჯია.

ცოდნას მოწყურებული ახალგაზრდა ქალები დიდი მონდომებით სწავლობენ ფილოსოფიას, ბუნებისმეტყველებას, ისტორიას, პედაგოგიკას, ლიტერატურას. ისინი იცნობენ კანტს, პრუდონს, ლასალს. ჟან-ჟაკ რუსოს. დენი დიდროს, ტენს, დარვინს, ბრემს. პესტალოცის, კომენსკის, უშინსკის და სხვ.


ღები შეხმატკბილებულად და ამავე დროს გეგმიანად მეცადინეობენ. ერთ-ერთ წერილში ბაბაღე აცნობებს გიორგის, რომ ტასოსთან ერთად იგი იმეორებს „ნერვიულ სისტემას“. ამის შემდეგ მას განზრახული აქვს შეისწავლოს ზოოლოგია (მან უკვე იშოვნა ბრემის „ცხოველთა ცხოვრება“), შემდეგ იგი წაიკითხავს დარვინის „სახეთა წარმოშობას“ და ამგვარად იგი მზად იქნება გადავიდეს ადამიანის წარმოშობის შესწავლაზე¹⁶.

1871 წ. 13

ამ მხრივ საგულისხმოა აგრეთვე ანასტასიას 1875 წ. 14 იანვრით დათარიღებული წერილი, რომელშიაც იგი ლაპარაკობს ტოლსტოისა და უშინსკის პედაგოგიური შეხედულებების შესახებ. ლ. ტოლსტოის წერილს „სახალხო განათლების შესახებ“ ისეთი დიდი ინტერესი გამოუწვევია მასში, რომ ანასტასიას გადაუწყვეტია უფრო საფუძვლიანად შეესწავლა ტოლსტოის პედაგოგიური მოძღვრება, საზოგადოდ. ამ მიზნით მას განუზრახავს ერთმანეთისათვის შეეღარებინა ტოლსტოისა და უშინსკის პედაგოგიური მეთოდები, რათა უკეთესად დაენახა როგორც ერთის, ისე მეორე მეთოდის ღირსებანაკლოვანებანი. ასე ემზადებოდა ანასტასია მომავალი პედაგოგიური მოღვაწეობისათვის.

ახალგაზრდა ქალები ბეჯითად სწავლობენ აგრეთვე ფრანგულ ენას. ამავე დროს ისინი კითხულობენ და კრიტიკულად ითვისებენ დასავლეთ ევროპისა და რუსი მწერლების შემოქმედებას. განსაკუთრებით ხშირად ვხვდებით მათ წერილებში რუსი მწერლებისა და აქურნალისტების სახელებს (გოგოლი, პუშკინი, გრიბოედოვი, შჩე-

¹⁶ იხ. 1871 წ. 13 ოქტომბრით დათარიღებული წერილი.





დრინი, ჩერნიშევსკი, დობროლუბოვი, უსპენსკი, ტუტჩევი, ლოვსკი, სკაბიჩევსკი, პლეშჩევი, ანტონოვიჩი და სხვ.). ბაბალეცა და ანასტასიაც თამამად მსჯელობენ წაკითხული წიგნების შესახებ და გამოთქვამენ დამოუკიდებელ და რამდენადმე ორიგინალურ შეხედულებებს.

მათი წერილებიდან ისიც კარგად ჩანს, რომ დები დიდ ინტერესს ამჟღავნებდნენ მიმდინარე რუსული და ქართული პრესის მიმართ. საათობით უსხედან ისინი ჟურნალ-გაზეთებს და განუწყვეტლივ ადევნებენ თვალს თანამედროვე საზოგადოებრივ და კულტურულ ცხოვრებას. ვარდა ამისა, ისინი სისტემატურად ესწრებიან პოპულარული ხასიათის ლექციებს და ყველა ლექტორზე აქვთ თავიანთი გარკვეული შეხედულება. განსაკუთრებით გატაცებულნი იყვნენ ისინი ცნობილი ფიზიოლოგის ივანე თარხნიშვილის ლექციებით. თავიანთ წერილებში ბაბალე და ანასტასია ისე დეტალურად და ცოცხლად გადმოგვცემენ თარხნიშვილის ლექციების შინაარსს, რომ უკვე აქედან ჩანს, რამდენად კარგად ერკვეოდნენ ისინი ფიზიოლოგიის საკითხებში.

ბაბალე და ანასტასია ხშირი სტუმრები იყვნენ აგრეთვე თეატრის, მასკარადების, ქართველ სცენისმოყვარეთა მიერ წარმოდგენილი სპექტაკლების და, საზოგადოდ, ყველა კულტურული წამოწყების.

მაგრამ ბაბალესა და ანასტასიას არ აკმაყოფილებდათ მხოლოდ სხვისი შემოქმედების გაცნობა და განცდა. ნიჭიერსა და შემოქმედებითი ბუნების ქალებს თვითაც უნდოდათ საკუთარი წვლილი შეეტანათ ქართული კულტურის განვითარებაში, რისთვისაც თითოეული მათგანი ფრთხილად სინჯავდა საკუთარ ძალას და შესაძლებლობას.

ბაბალემ ჯერ პოეტობა სცადა. მაგრამ მან მაშინვე იგრძნო, რომ მისგან პოეტი არასოდეს დადგებოდა და კიდევ გულწრფელად დასცინა საკუთარ თავს. მაინც ახალგაზრდა ქალს შემოქმედებით მუშაობაზე ხელი არ აუღია. მან განიზრახა ეთარგმნა გამოჩენილი მრეწველების ბიოგრაფიები და მოკლედ წარმოედგინა მათი მოღვაწეობის დახასიათება.

ბაბალეს წერილებში კარგად ჩანს, თუ რა დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა იგი თავის საქმიანობას. 1873 წ. 15 მარტით დათარიღებულ წერილში ბაბალე სწერს გიორგის, რომ მან თავი დაანება თარგმნას, რადგან მიხვდა, რომ საამისოდ ჯერ კიდევ არ იყო მზად („სანამ თარგმანს დავიწყებდი, საჭირო იყო კარგად შემეცნა ქართული ენა“).

ახალგაზრდობის წლებშივე იწყებს აგრეთვე შემოქმედებებს. მუშაობას ანასტასიაც. მაგრამ ბაბაღუს მსგავსად ისიც თავმდაბალია, არც მას აქვს პრეტენზიები მწერლობაზე. ასეთია მხოლოდ მისი სულიერი მოთხოვნილება. „და განა მართო მწერლობით შეიძლება მოუტანო სარგებლობა საზოგადოებას?“ — ეკითხება იგი გიორგის და ამ შეკითხვაში გარკვევით ჩანს ანასტასიას მისწრაფება: მწერლობით თუ არა, სხვა გზით მაინც გააკეთოს კეთილი და სასარგებლო საქმე თავისი ქვეყნისათვის.

ბაბაღუსა და ანასტასიას წერილებიდან სრულიად ნათლად ჩანს, რომ მათი სახით ჩვენ საქმე გვაქვს ისეთ ქართველ მოწინავე, ინტელიგენტ ქალებთან, რომელთა მთელი საქმიანობა საზოგადოებრივი ინტერესებით იყო გაპირობებული.

საზოგადოებრივი მოღვაწეობისადმი დიდი მისწრაფებით გამოირჩეოდა აგრეთვე მ. თუმანიშვილის უფროსი ვაჟიშვილი გიორგი. გიორგის სტუდენტობისდროინდელი წერილებიდან ცხადად ჩანს, თუ ცოდნის შეძენის როგორი დაუშრეტელი წყურვილი ამოძრავებდა მას.

„საჭიროა გაუფრთხილდე დროს“, — ასე სწერს იგი ერთ-ერთ კერძო წერილში ტასოს და, მართლაც, ამ დევიზით წარმართავს იგი თავის სტუდენტურ ცხოვრებას.

განსაკუთრებით დიდ პასუხისმგებლობას იჩენს გიორგი თავისი სპეციალობის მიმართ უფროს კურსებზე. გარდა იმისა, რომ იგი მუყაითად სწავლობს სპეციალურ საგნებს, ასევე განუწყვეტლივ ადევნებს თვალს სასამართლო ქრონიკას და ესწრება ყველა საინტერესო გასამართლებას.

არაჩვეულებრივ ბეჯითობას იჩენს აგრეთვე გიორგი ფრანგული ენის შესწავლაში. ის სისტემატურად უთმობს ყოველდღე საათნახევარს მხოლოდ ფრანგული წიგნების კითხვას. ამ ენის შესწავლის მიზნითვე საგანგებოდ დგება ფრანგების ოჯახში, რათა იქ კარგი პრაქტიკა მიიღოს. ამავე მიზნით ესწრება იგი ხშირად ფრანგულ ოპერებს. გ. თუმანიშვილის წერილებიდან ვგებულობთ, რომ იგი არ კმაყოფილდება მხოლოდ ერთი უცხო ენის ცოდნით და მას განზრახული აქვს გერმანული ან ინგლისური ენის შესწავლაც¹⁷.

თავისი უფროსი დების მსგავსად, გიორგიც საფუძვლიანად ეცნობა გამოჩენილი მოაზროვნეებისა და მწერლების შემოქმედებას.

¹⁷ იხ. გთ. № 178, 14.

განსაკუთრებით დაინტერესებული ყოფილა იგი მაქიაველის პიროვნებით და ცდილობდა ბოლომდე ჩასწვდომოდა მას¹⁸.

ახალგაზრდობის პერიოდშივე ამქლავნებდა გიორგი, როგორც ეს მისი პირადი წერილებიდანაც ჩანს, ანალიზისა და თავისუფალი აზროვნების უნარს. ამ მხრივ საგულისხმოა ის წერილი, რომელშიც იგი ეკამათება ტასოს დობროლუბოვის შესახებ¹⁹. ამ წერილში გიორგი გამოთქვამს აზრს, რომ ლიტერატურაში ყოველთვის არსებობდნენ და ახლაც არსებობენ ორი ტიპის მოღვაწეები: შემოქმედნი და პოპულარიზატორნი. მიანიჭო რომელიმე მათგანს უპირატესობას, რომ არ გაითვალისწინო არსებული საზოგადოებრივი პირობები, გიორგის თვალსაზრისით, ისევე შეუძლებელია, როგორც გადაწყვიტო რომელია უკეთესი: თეორია, თუ პრაქტიკა.

დობროლუბოვი, მისი აზრით, პოპულარიზატორია. „ნასწავლსა და განათლებულ ქვეყანას,—წერს გიორგი,—იქნებ, მან ცოტა რამ უთხრა ახალი, მაგრამ სამაგიეროდ იგი ალაპარაკდა ახალი ტონით, ყოველი მისი სტატია ეს არის კეთილშობილური, შესანიშნავი, გულწრფელი ქადაგი რწმენისა და ჭეშმარიტების გასამტკიცებლად... და ჩვენს ცხოვრებაში,—განაგრძობს იგი,—რომელიც დამყარებულია ყიდვა-გაყიდვის პრინციპზე, ანდა გონებრივ სიცარიელეზე, არ შეიძლება, არ გაიმსჭვალო სიმპათიით მის მიმართ, ვინც ყველაფერს წირავს იმისათვის, რათა გაათავისუფლოს საზოგადოება ასეთი მახინჯი პრინციპებისაგან; არ შეიძლება არ დააფასო ის, ვისაც სძაგს ასეთი სინამდვილე და დასცინის კიდევაც მას“.

ამავე წერილში გ. თუმანიშვილი საკმაოდ მკაცრად აკრიტიკებს დობროლუბოვის წერის მანერას, მაგრამ მაინც ბევრ თანამედროვე მწერალზე უფრო მაღლა აყენებს მას მისი ენერგიულობის გამო, რადგან, როგორც გიორგი ამბობს, „ძალზე ძნელია იმოქმედო (პუბლიცისტური წერილების წერაც მოქმედება) ენერგიულად იმ წყობის წინააღმდეგ, რომელსაც ზურგს უმაგრებს უზარმაზარი, ყოვლისდამთრგუნველი ძალა“.

ოდესაში მყოფი გიორგი არც ერთი წუთით არ ივიწყებს მშობლიურ მხარეს. თავისი მამისა და დების წყალობით (ისინი სისტემატურად უგზავნიდნენ გიორგის „კრებულს“, „დროებას“, „კავკასს“, „ტიფლისკი ვესტნიკს“) გიორგი ყოველთვის იყო საქართველოს საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრების საქმის კურსში. მომავალი ჟურნალისტი განსაკუთრებით დიდ ინტერესს ამქლავნებს თბილისში

¹⁸ იხ. გთ. № 178, 12.

¹⁹ იხ. 1875 წ. 4 მაისით დათარიღებული წერილი.

არსებული პრესის მიმართ. „კრებული“ და „დროება“ რაღაც დიდი ხანია არ მიმიღია.—სწერს იგი ერთ-ერთ წერილში.—„ტიფლისკენ ვესტნიკი“ აღარ ჩანს, ხომ არაფერი შეემთხვათ მათ? მაინტერესებს მათი ბედი“²⁰.

გ. თუმანიშვილის წერილებიდან მკლავნდება მისი პიროვნებისათვის დამახასიათებელი კიდევ ერთი შესანიშნავი თვისება—ეს არის მისი დიდი პასუხისმგებლობის გრძნობა საქმისადმი.

გიორგის ერთ-ერთი წერილიდან ვგებულობთ, რომ 1877 წ. ექვთიმე ხელაძეს განუზრახავს საკუთარი ხარჯებით ყოველთვიური ქართული ჟურნალის დაარსება. ნ. ნიკოლაძეს, გ. წერეთელს, ს. მესხსა და სხვა ახალგაზრდა ლიტერატორებს ამ ჟურნალის რედაქტორობა გ. თუმანიშვილისთვის შეუთავაზებიათ. მაგრამ გიორგის რედაქტორობაზე უარი უთქვამს, პირველ რიგში იმიტომ, რომ მას არ ჰქონია იმედი „ქართულ ლიტერატურაში არსებული სხვადასხვაგვარი ძალების“ გაერთიანებისა. რედაქტორობა კი გიორგის მხოლოდ მაშინ შეეძლო ეკისრა, თუ მისი რედაქციით გამოსულ ჟურნალს ერთი, სრულიად გარკვეული, მიმართულება ექნებოდა²¹.

თუმანიშვილების ფონდში დაცული წერილების მიხედვით ცოცხლად წარმოგვიდგებიან მიხეილის უმცროსი ვაჟიშვილებიც, ჯერ კიდევ გიმნაზიის მოსწავლეები—ვასილი და კონსტანტინე.

მართალია, ისინი ხშირად ზარმაცობენ და ხანდახან ორიანებსაც კი იღებენ, მაგრამ წერილებიდან ისიც კარგად ჩანს, რომ მათაც აქვთ თავიანთი საკუთარი შინაგანი სამყარო და საკმაოდ გამოკვეთილი ინტერესები. მათაც, ისევე როგორც ოჯახის უფროს წევრებს, უყვართ წიგნი და გატაცებით კითხულობენ სერვანტესს, დიკენსს, თეკერესს, ტურგენევს, დობროლიუბოვს, პისარევს, ჩერნიშევსკის, ტიუტჩევს და სხვ.

მოზარდები კითხულობენ არა მარტო წიგნებს, არამედ რუსულ და ქართულ ჟურნალ-გაზეთებს და ამკლავნებენ გარკვეულ ინტერესს თანამედროვე ლიტერატურული თუ საზოგადოებრივი ცხოვრების მიმართ.

ძმები განსაკუთრებით არიან გატაცებული თეატრით. ესწრებიან თითქმის ყველა წარმოდგენას და აქვთ გამომუშავებული თავისი საკუთარი შეხედულება ყველა მსახიობზე. ზოგიერთ მათგანზე

²⁰ იხ. მთ. № 835.
²¹ იხ. გ. თუმანიშვილის მიერ დაწერილი წერილი [1877 წ. 13 ოქტომბრიდან 22 ნოემბრამდე].



ისინი ბავშვურად არიან შეყვარებულნი და აგროვებენ და მათ პორტრეტებს.

როგორც წერილებიდან ჩანს, ვასო და კოტე აქტიურ მონაწილეობას იღებენ გიმნაზიელთა მიერ წარმოდგენილ სპექტაკლებში. განსაკუთრებით ხალისიანად ეკიდება ამ საქმიანობას ვასილი და თავისი ნიჭიერი თამაშით დიდ მოწონებასაც იმსახურებს. 1875 წ. 18 აპრილს ვასილი კმაყოფილებით აცნობებს გიორგის, რომ წარმოდგენის დამთავრებისას, მისი თამაშით აღფრთოვანებულმა „კლასიციტებმა“ და „რეალისტებმა“ აიტაცეს იგი და დიდხანს არწევდნენ ჰაერში.

კოტესაც აქვს თავისი საყვარელი საქმე. მან, როგორც ეს მისი ერთ-ერთი წერილიდან ჩანს, „დააარსა“ ხელნაწერი ჟურნ. „ეკალი“²², გარდა ამისა, იგი აგროვებდა ხალხურ ზღაპრებს²³ და წერდა სერვანტისის „დონ-კიხოტის“ მიბაძვით „დონ-სერლანდოს“²⁴.

სავულისხმოა, რომ ვასილიცა და კონსტანტინეც გიმნაზიის ასაკშივე ამჟღავნებდნენ დიდ ინტერესს იმ საქმისადმი, რომელიც შემდეგში მათ პროფესიად იქცა.

თუმანიშვილების ეპისტოლარული მემკვიდრეობიდან, სტილის თვალსაზრისით, განსაკუთრებულ ყურადღებას მიხეილ თუმანიშვილის წერილები იქცევის.

აღსანიშნავია, რომ იგი პირადი ბარათების ღირსებას წერითი კულტურის დონით აფასებს.

შვილისადმი გაგზავნილ 1871 წ. 29 სექტემბრით დათარიღებულ წერილში მიხეილი კმაყოფილებას გამოთქვამს იმის გამო, რომ გიორგი წერს „შეკუმშულად“, მაღალფარდოვანი ფრაზებისა და ზედმეტი მჭევრმეტყველების გარეშე. მ. თუმანიშვილის ამ წერილიდან კარგად ჩანს, თუ რა სწორ და დიდ მოთხოვნილებას უყენებს იგი, სტილისტური თვალსაზრისით, თუნდაც კერძო ხასიათის წერილების ავტორს. თვით მიხეილი თავის თეორიულ შეხედულებებს პრაქტიკულადაც შესანიშნავად ახორციელებს: წერს სადად და შეკუმშულად, მას აქვს უნარი რამდენიმე წინადადებით მკაფიოდ დახატოს საკმაოდ რთული სიტუაციები, მთელი ცხოვრებაც კი. აი, თუნდაც ამის ერთი მაგალითი: „საკრებულოში,—წერს იგი.—უჭკვარეშეა, ბანქო ბატონობს, წრეებში ქედმაღლობა მეფობს, ხოლო თეატრებ-

²² იხ. კ. თუმანიშვილის მიერ დაწერილი წერილი [1872 წ. აგვისტოს 21-დან 26-მდე].

²³ იხ. [1872 წ. სექტემბრით] დათარიღებული წერილი.

²⁴ იხ. 1872 წ. 5 ნოემბრით დათარიღებული წერილი.

ში—ერთფეროვნება“²⁵. ამ სამი მოკლე და უბრალო წინადადებებში მ. თუმანიშვილი აღწევს მიზანს ნათლად წარმოგვიდგინოს იმდროინდელი საქართველოს საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრება. ასევე სხარტად და მოხდენილად აღწერს იგი თავის წერილებში ბუნების სურათებსაც.

მიხეილი ურჩევდა აგრეთვე გიორგის, რომ წერის დროს მორიდებოდა გადაჭარბებულ ლირიზმს. მისი აზრით, თვით შიშველი ფაქტები ხშირ შემთხვევაში გაცილებით უფრო სწორად და გასაგებად მეტყველებენ, ვიდრე მისი კომენტატორები²⁶. ასე ასწავლიდა მიხეილი თავის შვილებს და ამავე პრინციპებს იცავდა იგი მკაცრად თავის წერილებშიც.

მ. თუმანიშვილის წერის მანერის გასაგებად განსაკუთრებით საგულისხმოა ის წერილი, რომელიც მას დაწერილი აქვს ბაბალეს გარდაცვალების შემდეგ. თავისი განცდების გადმოსაცემად მიხეილი არ ეძებს განსაკუთრებული ემოციის შემცველ სიტყვებს. ის თავშეკავებულად, სულ რამდენიმე ფრაზით, გამოხატავს მთელი ოჯახის უბედურებას: „უკანასკნელად ვათარილებ ჩემს წერილს შენთან 1873 წლით, იმ წლით, რომელიც ესოდენ მძიმე და მწუხარე იყო ჩვენთვის. ღმერთმა ჰქნას, რომ ეს იყოს უკანასკნელი ბოროტება ჩვენს თავზე, რომ მსგავსს არაფერს დავემწუხრებით მომავალში“²⁷.

საზოგადოდ უნდა აღინიშნოს, რომ მ. თუმანიშვილი შესანიშნავად გრძნობს სიტყვას და მისი ეპისტოლარული მემკვიდრეობის მკითხველი არ შეიძლება არ მიხვდეს, რომ ამ წერილების ავტორი მწერალია.

მ. თუმანიშვილის ეპისტოლარულ მემკვიდრეობას კიდევ უფრო მეტ მიმზიდველობას მატებს იუმორი, რომელსაც იგი ხშირად მიმართავს თავის წერილებში.

ჩვეულებრივ, მიხეილი იუმორის გრძნობით თავის შვილებზე ლაპარაკობს. იუმორით უწოდებს იგი უფროს ვაჟს—გიორგის „პატარა აბატს“, „ვოლტერიკს“ და „მოლიერისა და გიორგი ერისთავის ძუნწს“. იუმორის გრძნობა ალაპარაკებს აგრეთვე მ. თუმანიშვილს, როდესაც ანასტასიას დასახასიათებლად სავანეებოდ ძეხნის მისთვის შესაფერის ეპითეტს „მგრძნობიარე“, სიყვარულით, მაგრამ ირონიული ღიმილით ლაპარაკობს აგრეთვე ანასტასიას მწერლობაზე და ადარებს მას იმ დროს ცნობილ რუს ქალს—ცებრიკოვას.

განსაკუთრებით უხვად იწვევს იუმორის გრძნობას მიხეილში

²⁵ იხ. 1873 წ. 31 დეკემბრით დათარიღებული წერილი.

²⁶ იხ. 1871 წ. 21 ნოემბრით დათარიღებული წერილი.

²⁷ იხ. 1873 წ. 31 დეკემბრით დათარიღებული წერილი.



მისი უმცროსი ვაჟიშვილების სიზარმაცე. „შენი ძმები,—აცნობიერებულნი იგი ერთ-ერთ წერილში გიორგის,—ემზადებიან გამოცდებისათვის. ვასო კარგ იმედებს იძლევა. მაგრამ არ ვიცი, როგორ წავა კოტეს საქმე,—ის ძალზე სუსტია მათემატიკაში, მაგრამ, როგორც ყოველთვის, ყურსაც არ იბერტყავს, ხტუნაობს, უსტვენს და ვარჯიშობს თვალთმაქცობაში, რომელიც გადმოიღო საბოლოოდ სასაცილოდ აღებულ, საქვეყნოდ ცნობილ გრძნეულ ეპოქტინიდან“²⁸.

სხვა წერილში მიხეილი სწერს: „კოტემ გადაიკითხა, თუ დაყნოსა შახ-აზიზოვის ახლად გახსნილ წიგნების მალაზიაში თითქმის ყველა წიგნი. ვასოს კი თან სდევს მისი თანამგზავრი—სიზარმაცე“²⁹.

იუმორის გრძნობით დაჯილდოებული იყო არა მარტო მიხეილი, არამედ მთელი მისი ოჯახი. თუმცა მისი შვილების იუმორი ადვილად გადადის სარკაზმში. ეს უთუოდ იმითაც იყო გამოწვეული, რომ მათი დაცინვის ობიექტები მათთვის იმდენად ახლობელი ადამიანები აღარ იყვნენ. ასე მაგალითად, ბაბაღე ენამახვილურად, მაგრამ ამავე დროს დაუზოგავად ანადგურებს კლასიკური გიმნაზიის დირექტორს—ვლადიმერ ჟელიხოვსკის. ერთ-ერთ წერილში იგი ასე წერს მის შესახებ: „ამბობენ, ამ ცოტა ხნის წინ, მან თავი მოუყარა მოსწავლეთა მშობლებს და უმტკიცებდა მათ, თუ რამდენად სასარგებლოა და აუცილებელი კლასიკური განათლება. მაგალითისათვის მოიყვანა პრუსიელები, რომლებმაც თურმე იმიტომ გაიმარჯვეს, რომ ისინი კლასიკოსები იყვნენ“³⁰.

კიდევ უფრო მეტი გამეტებით ესხმის ბაბაღე ჟელიხოვსკის სხვა წერილში, რომელშიაც იგი ღვარძლიანად დასცინის მის გონებრივ შეზღუდულობას: „ჟელიხოვსკის ხსენებაზე. სოკოლოვი გადაიქცა საზოგადოებრივ მამხილებლად და თავისი დევნის ობიექტად აირჩია ჟელიხოვსკი, რომელიც მთელი რიგი მის მიერ ჩადენილი სისულელეებით შესანიშნავ საზრდოს აძლევს სოკოლოვს ენამახვილობისათვის. ამ სისულელეთა შორის ყველაზე უფრო დიდი სისულელე ეს არის მისი ლექცია მამუკა ორბელიანის შესახებ. მოიწვია ეგზარხოსი მისი სასულიერო ამალით, არისტოკრატია, გამოსთხოვა პოლიციას ჯარისკაცები და პატიოსან საზოგადოებას გაუმასპინძლდა თავისი ბიოგრაფიით. აღიდებდა თავის სახელოვან მამას, რომლის საფლავი დაფარა კომბოსტომ და კარტოფილმა“³¹.

²⁸ იხ. 1873 წ. 6 აპრილით დათარიღებული წერილი.
²⁹ იხ. 1873 წ. 31 დეკემბრით დათარიღებული წერილი.
³⁰ იხ. 1871 წ. 22 ოქტომბრით დათარიღებული წერილი.
³¹ იხ. 1871 წ. 4 დეკემბრით დათარიღებული წერილი.

თუ რამდენად დამსახურებულად და გონებამახვილურად ჰქონდა ლავს ბაბალე ეელიხოვსკის ლექციას, ამაში გვარწმუნებს ივ. კვარცელიძის რეცენზია³², რომელშიაც მას უხვად მოაქვს ადგილები ეელიხოვსკის ლექციიდან მისი წინაპრების შესახებ.

იუმორისტულად არის განწყობილი საკუთარი დირექტორის მიმართ ახალგაზრდა გიმნაზიელი ვასილიც, მაგრამ ბაბალესთან შედარებით იგი უფრო რბილად დასცინის მას.

იუმორისა და ენამახვილობისათვის უხვ მასალას აძლევდა, როგორც ჩანს, ახალგაზრდა თუმანიშვილებს ლიტერატორი გ. კალანტაროვიც.

ამჯერად თუმანიშვილები ენამახვილობდნენ, ერთის მხრივ, კალანტაროვის შემოქმედებითი ნიჭის, ხოლო, მეორეს მხრივ, მისი ჩია გარეგნობის გამო.

„გადამწყვეტი წუთი დადგა კალანტაროვისათვის.—წერს ანასტასია გიორგის,—ახლა, როდესაც მე შენ წერილს გწერ, წყდება მისი ბედი. ან მას აღიარებენ სომხეთის შექსპირად და ხელში აყვანილს წაიღებენ სახლში (რისთვისაც დიდი ჯაფა არ დაადგებათ, თუ მხედველობაში მივიღებთ მის მოცულობას), ანდა იგი აცდება უკვდავების ტაძარს და ჩაინთქმება ქვესკნელში, ჯანაბაში წავა“³³.

13 წლის კონსტანტინეც კი საკმაოდ ენამოსწრებულად დასცინის კალანტაროვს, როგორც მწერალს: „ქალაქში სიწყნარეა, გუსტავ არტემიჩიცი აღარ ჩანს. გენიოსს უყვარს განმარტოება, უთუოდ იგი გადაიკარგა სადმე ერევანში და წერს ღრამას ან რომანს“³⁴.

გიორგი თუმანიშვილისათვის ჩვეულებრივ მწვავე სარკაზმია დამახასიათებელი. ასე მაგალითად, განსაკუთრებით გესლიანად ლაპარაკობს იგი ერიწოვის შესახებ, რომელმაც, მისი აზრით, ძალზე უნიჭოდ გააკრიტიკა „ტიფლისკი ვესტნიკი“. „მართალია, ერიწოვმა 21 წელს გადააბიჯა.—წერს იგი ანასტასიას.—მაგრამ მან ხომ დაწერა კრიტიკა „ტიფლისკი ვესტნიკის“ შესახებ? ამ უკანასკნელმა კი ვერ უპასუხა მას მაინცადამაინც რიგიანად. სულელის თავდასჯმის მარჯვე მოგერიება, როგორც ჩანს, განსაკუთრებული ხელოვნებაა. იმავე საზომით მიუდგება იგი უთუოდ „მშაკსა“ და „დროებას“; ხომ არ დაითვლის ის რამდენი სიტყვისაგან შედგება

³² იხ. „ცის“, 1871, № 11—12, გვ. 787—799.

³³ იხ. 1874 წ. 28/29 დეკემბრით დათარიღებული წერილი.

³⁴ იხ. 1872 წ. 5 ნოემბრით დათარიღებული წერილი.

ჩვეულებრივ მესხის მოწინავე სტატია და რამდენი გაკვირვებითაა და-
ძახითი ნიშანია მასში? ³⁵

ამ საკითხთან დაკავშირებით საგულისხმოა აგრეთვე ის ფაქტი,
რომ ახალგაზრდა თუმანიშვილები თავიანთ წერილებში მწარედ და-
სცინიან იმ დროისათვის დიდი თანამდებობის პირებსაც კი. ასე მაგა-
ლითად, დაუნდობლად ეპყრობიან ისინი თავად-აზნაურთა წინამძ-
ღოლს—რევაზ ანდრონიკაშვილს³⁶. ეს გარემოება კი მიუთითებს
იმაზე, რომ თუმანიშვილები შეუზღუდველი ბუნებისანი იყვნენ და
ქედს არ იხრიდნენ თუნდაც დიდი უფლებების მქონე პიროვნებები-
სა და, საზოგადოდ, აღიარებული ავტორიტეტების წინაშე.

ასეთ პიროვნებებად წარმოგვიდგებიან მათი ეპისტოლარული
მემკვიდრეობის მიხედვით მიხეილ თუმანიშვილი და მისი შვილები,
ავტორები ამ გამოცემაში თავმოყრილი წერილებისა.

ამგვარად, როგორც ვხედავთ, თუმანიშვილების წერილები შეი-
ცავს მეტად საინტერესო ბიოგრაფიულ მასალას. მაგრამ თუმანი-
შვილების ეპისტოლარული მემკვიდრეობის მნიშვნელობა ამით
როდი შემოიფარგლება. მასში ამავე დროს შემონახულია საყურა-
დლებო ცნობები იმდროინდელი საზოგადო მოღვაწეების, მწერ-
ლებისა თუ ყურნალისტების შესახებ.

ქართველი მწერლებიდან და საზოგადო მოღვაწეებიდან თუმა-
ნიშვილების წერილებში მოხსენებულნი არიან გრიგოლ ორბელიანი,
გიორგი ერისთავი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, გიორგი წერე-
თელი, ნიკო ნიკოლაძე, ალექსანდრე ცაგარელი, პეტრე უმიკაშვი-
ლი, სერგეი მესხი, კირილე ლორთქიფანიძე, დავით ერისთავი, ან-
ტონ ფურცელაძე, ბესარიონ და ნიკოლოზ ლოლობერიძეები, ივანე
მესხი, ბესარიონ ჯაფარიძე, ეკატერინე გაბაშვილი, პავლე თუმანი-
შვილი, ჭალაღიძელი, ოლა გურამიშვილი, სტეფანე, პეტრე და
ეკატერინე მელიქიშვილები.

წერილებიდან ჩანს, რომ მიხეილ თუმანიშვილი ქართველ პოე-
ტებს შორის ყველაზე უფრო მეტად გრ. ორბელიანს აფასებდა.
განსაკუთრებით დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია მასზე ლექსს „ა-
სუხი უღირსთა შვილთა“, რომელიც გამოქვეყნდა „ძველი სემინა-
რისტის“ ფსევდონიმით 1874 წ. „ცისკარში“. ამ ლექსს მ. თუმანი-
შვილი, ენობრივი თვალსაზრისით, სანიმუშო ნაწარმოებად მიიჩნევს³⁷.

³⁵ იხ. [1875 წ. იანვრათ] დათარიღებული წერილი.

³⁶ იხ. ბ. თუმანიშვილის 1872 წ. 14 დეკემბრის და ან. თუმანიშვილის [1872 წ.
28 დეკემბრით] დათარიღებული წერილები.

³⁷ იხ. 1874 წ. 18 ოქტომბრით დათარიღებული წერილი.



აღტაცებით ლაპარაკობს მ. თუმანიშვილი აგრეთვე გრ. ორბელიანის წერილზე „მგზავრობა სვანეთისაკენ“, რომელშიაც ავტორი მკაცრად აკრიტიკებდა გ. წერეთლის ენას. მიხეილ თუმანიშვილის აზრით, გრ. ორბელიანმა თავის წერილში გამოავლინა არა მარტო დიდი კრიტიკული ტაქტი და ესთეტიკური გემოვნება, არამედ ფილოლოგიის ბრწყინვალე ცოდნაც³⁸.

ასეთსავე მაღალ შეფასებას აძლევდა გიორგი თუმანიშვილი გრ. ორბელიანის ამ კრიტიკულ სტატიას. ანასტასიასადმი გაგზავნილ წერილში გიორგი აღფრთოვანებით აღნიშნავს, რომ მან მხოლოდ ამ წერილის წაკითხვის შემდეგ იგრძნო, თუ რამდენად სრულყოფილად შეიძლება წერო ქართულ ენაზე. ამავე წერილში გიორგი მწუხარებას გამოთქვამს იმის გამო, რომ თანამედროვეები გულგრილობას იჩენენ მხატვრული ლიტერატურის მიმართ, რომ მათ დიდი ხანია დაივიწყეს ქართული ენის ძველი, სრულყოფილი ფორმები და რომ ასეთ ვითარებაში საჭიროა დიდი თავგანწირვა და დიდი ტალანტი, — ასევე განუსაზღვრელი სიყვარული სამშობლოსადმი, — რომ სერიოზულად მოჰკიდო ხელი მწერლობას. მაგრამ, გ. თუმანიშვილის აზრით, არ ებატებათ სიჩუმე მათ, რომლებსაც აქვთ შესაძლებლობა წერისა და იმისა, რომ „ლამაზ ფორმებში უხელმძღვანელონ ხალხს“³⁹.

ხალხის ასეთ ხელმძღვანელებად კი გ. თუმანიშვილი, როგორც ჩანს, ილია ჭავჭავაძესა და აკ. წერეთელს მიიჩნევდა. ერთ-ერთ წერილში იგი საგანგებოდ თხოვს ანასტასიას, რომ გამოუგზავნოს „დროების“ მხოლოდ ის ნომრები, რომლებშიაც დაბეჭდილი იქნება ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის თხზულებანი⁴⁰.

ილ. ჭავჭავაძის სახელს თუმანიშვილების წერილებში განსაკუთრებით ხშირად ბანკის საკითხთან დაკავშირებით ვხვდებით. ცნობილია, თუ რა როლს თამაშობდა ილია ჭავჭავაძე ბანკის დაარსების საქმეში: მან მოულო ბოლო იმ უთანხმოებას, რომელიც წლების მანძილზე არსებობდა ამ მხრივ ძველსა და ახალ თაობას შორის. ილ. ჭავჭავაძის ამ დამსახურებას კარგად ხედავდნენ ახალგაზრდა თუმანიშვილები.

ერთ-ერთ თავის წერილში ბაბაღე აცნობებს გიორგის, რომ საბანკო საკითხთან დაკავშირებით მოწვეულ უკანასკნელ სხდომაზე ილია ჭავჭავაძე ლაპარაკობდა 3 საათის განმავლობაში. თავის სიტყ-

³⁸ იხ. 1875 წ. 21 იანვრით დათარიღებული წერილი.

³⁹ იხ. [1875 წ. იანვრით] დათარიღებული წერილი.

⁴⁰ იხ. [1875 წ. იანვრით] დათარიღებული წერილი.



ვაში, როგორც ბაბაღე გადმოგვცემს, ილიამ პირველ რიგში გააკრიტიკა ძველი კომისია და ძველი დებულება, რომელიც, წინააღმდეგ ახალი თაობის შეხედულებისა, მოკლევადიანი ბანკის დაარსებას ითვალისწინებდა. შემდეგ მან მოუწოდა დამსწრეებს, რათა საზოგადოებრივი ინტერესები პირად კეთილდღეობაზე მაღლა დაეყენებინათ და მოეთხოვათ ისეთი ბანკის დაარსება, რომელიც სარგებლობას მოუტანდა ყველას. დაბოლოს, ბაბაღე დასძენს, რომ როგორც პოეტმა, ილია ჭავჭავაძემ ყველა დაარწმუნა თავისი აზრის სისწორეში⁴¹.

ილ. ჭავჭავაძის ამ სიტყვას, რომელიც შემდეგში გაზ. „დროებაში“ დაიბეჭდა, დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია გ. თუმანიშვილზეც. გიორგის განსაკუთრებით მოსწონებია ილიას იუმორისტული ნიჭი და კრიტიკული დამოკიდებულება თანამედროვე ცხოვრებისადმი.

ასე შეაფასა ილია ჭავჭავაძის პოზიცია ბანკის საკითხთან დაკავშირებით თუმანიშვილების ახალგაზრდა თაობამ. მაგრამ სხვაგვარ დამოკიდებულებას ამჟღავნებს თავის წერილებში ილიას მიმართ მათი მამა—მიხეილ თუმანიშვილი. 1872 წ. 4 დეკემბერს იგი ასე წერდა გიორგის: „თავადაზნაურობის ყრილობის გამო თბილისი ამჟამად რამდენადმე გამოცოცხლებულია. ის პირები, რომლებმაც ისწავლეს ლაპარაკი, საქმეზე კი არ ფიქრობენ, არამედ იმაზე, თუ როგორ მოიპოვონ წარმატება მჭერმეტყველების სარბიელზე. ორატორებს შორის ყველაზე უფრო მეტად გამოირჩევა პოეტი ილია ჭავჭავაძე. მისი სიტყვა ყოველთვის მტკიცეა, ზოგჯერ ბრწყინვალე, მაგრამ საქმისათვის უკიდურესად უშინაარსო“.

მიხეილის მიერ ილ. ჭავჭავაძის სიტყვის ასეთი შეფასება მაინცდამაინც არ უნდა იწვევდეს გაკვირვებას, რადგან, როგორც ცნობილია, ბანკის საკითხთან დაკავშირებით მ. თუმანიშვილი ძველ თაობას უჭერდა მხარს. ამით უნდა აიხსნას, რომ ილია ჭავჭავაძის მიერ წარმოთქმული სიტყვა მას უშინაარსოდ მოსჩვენებია, თუმცა მის ორატორულ ნიჭს, როგორც ვხედავთ, მიხეილიც შესანიშნავად გრძნობდა.

ახალგაზრდები გულდასმით ადევნებდნენ თვალს აგრეთვე აკაკი წერეთლის შემოქმედებას. „ბაგრატი, დიდი“ აკაკისა ძალიან მომეწონა,—სწერს ერთ-ერთ წერილში ანასტასია გიორგის⁴², ხოლო სხვა დროს იგი გულდაწყვეტით აღნიშნავს: „აკაკი მთვარე მთვარეზე

⁴¹ იხ. 1872 წ. 20 დეკემბრით დათარიღებული წერილი.

⁴² იხ. 1875 წ. 18 აპრილით დათარიღებული წერილი.

გამოჩნდება „დროებაში“, იმ ნომრებს უკან, რაც გამოგიგზავნე, კედევ ორ ნომერში დაიბეჭდა თითო ბეწო და დაილუბა“-ო⁴³.

ანასტასიაც და გიორგიც კარგად ერკვევიან აკაკი წერეთლის ნაწარმოებთა პროტოტიპებში. „მე უკვე წავიკითხე,—სწერს გიორგი ანასტასიას,—აკაკის რომანი“⁴⁴, რომელიც „დროების“ 6 ნომერშია მოთავსებული. შენ სწორად მიხვდი, მასში გამოყვანილია ნიკოლაძე და ბ. ლოლობერიძე, როგორც იმერეთის ახალგაზრდა წარმომადგენლები“.

დიდ დაინტერესებას ამჟღავნებდნენ თუმანიშვილები აგრეთვე ნ. ნიკოლაძის მიმართ, რომელიც იმ დროს საერთო ყურადღების ცენტრში იდგა თავისი მახვილი პოლემიკური ხასიათის წერილების გამო.

განსაკუთრებით მოუხიბლავს ნიკო ნიკოლაძეს ანასტასია თუმანიშვილი. მისი სახით ანასტასია ხედავს განათლებულ პიროვნებასა და დიდ პატრიოტს, რომელმაც სულ მცირე ხნის განმავლობაში შეძლო მიძინებული ქართული საზოგადოების გამოღვიძება. თბილისი ანასტასიას ნ. ნიკოლაძის გარეშე ერთფეროვანი და მოწყენილი ეჩვენება⁴⁵.

ანასტასიას აზრს ნ. ნიკოლაძეზე იზიარებს აგრეთვე გ. თუმანიშვილიც. ტასოსადმი გაგზავნილ ერთ-ერთ წერილში გიორგი აღნიშნავს, რომ ბებუთოვის „ტიფლისკი ვესტნიკში“ ყველაზე უფრო დიდ ყურადღებას „ენერგიული“ ნიკოლაძე იქცევს. ამავე წერილში გ. თუმანიშვილი აღნიშნავს, რომ მეველესა და ს. მესხთან შედარებით, მას უფრო მეტ სიამოვნებას ანიჭებს ნ. ნიკოლაძის წერილების კითხვა⁴⁶.

მ. თუმანიშვილიც ნ. ნიკოლაძეს „ჭკვიან პუბლიცისტს“ უწოდებს, თუმც მის წერილებში შეიმჩნევა რამდენადმე დამცინავი ტონიც მის მიმართ.

თუმანიშვილები ასევე ხშირად ესაუბრებიან ერთმანეთს დავით ერისთავზე, რომელიც თავის დროზე დიდი პოპულარობით სარგებლობდა. იგი ბეჭდავდა ფელეტონებს, ლექსებსა და პოლემიკური ხასიათის წერილებს და თან აქტიურ მონაწილეობას იღებდა თეატრალურ ცხოვრებაშიაც.

⁴³ იხ. 1875 წ. 25 მარტით დათარიღებული წერილი.

⁴⁴ იგულისხმება აკაკის რომანი — „იმერლები“, რომელიც იბეჭდებოდა 1873 წ. ვაზ. „დროება“, №№ 13, 14, 15, 16, 17, 18, 22.

⁴⁵ იხ. 1878 წ. 5 დეკემბრით დათარიღებული წერილი.

⁴⁶ იხ. [1874 წ. მარტი] დათარიღებული წერილი.



1873 წ. 15 მარტით დათარიღებულ წერილში ბაბაღე ფილებით აცნობებს გიორგის, რომ ერთ-ერთ კონცერტზე დ. ერისთავი გამოსულა ბრწყინვალე დეკლამაციით და დამსწრე საზოგადოების დიდი მოწონებაც დაუმსახურებია. „როგორც ხედავ, — სწერს ბაბაღე, იგი ყოველ სარბიელზე ცდის თავის ძალას და ჯერჯერობით ყველგან წარმატებას აღწევს. როგორც ჩანს, ის თვალში მოსდის აქაურ საზოგადოებას. ჩვენს შორის დარჩეს და ტასო ახლა უკრავს მის ქართულ სიმღერებს, რომელთა მოსმენა ასე სასიხარულოა ყოველი პატრიოტისათვის“.

სხვა წერილში ბაბაღე წერს გიორგის, რომ დ. ერისთავმა შესანიშნავად წარმოადგინა ქართულ სცენაზე ზ. ანტონოვის პიესა „მზის დაბნელება საქართველოში“⁴⁷.

თუმანიშვილების წერილები გვეხმარებიან აგრეთვე დავით ერისთავის ნაწარმოების მოქმედ პირთა პროტოტიპების დადგენაში, ასე მაგ.: ბაბაღე უხსნის გიორგის, რომ დ. ერისთავს ფელეტონში „Сон накануне нового года“⁴⁸ გამბეტას სახით გამოყვანილი ჰყავს ილია ჭავჭავაძე, პროკურორ გრანპერეს სახით — საოლქო სასამართლოს თავმჯდომარე ნიკო ჭავჭავაძე, კლემანსო დიუვერნუას სახით — სანდრო ჩოლოყაშვილი და სხვ. ამავე წერილიდან ვგებულობთ, რომ ამ ნაწარმოებში კირსანოვის სახით მწერალი გვიხატავს მაშინდელ არისტოკრატას⁴⁹.

თუმანიშვილების წერილებიდანვე ვგებულობთ, რომ ფელეტონში „На сегодня“, რომელიც დაიბეჭდა „ნასლედსტვენნი პოეტის“ ფსევდონიმით 1874 წ. „ტიფლისკი ვესტნიკში“, დ. ერისთავს კომიკურ სახეებში ჰყავდა წარმოდგენილი კირილე ლორთქიფანიძე, ნიკო ნიკოლაძე და პეტრე უმიკაშვილი⁵⁰.

დებთან შედარებით, გიორგი თუმანიშვილი, როგორც ჩანს, უფრო კრიტიკულად იყო განწყობილი დ. ერისთავის მიმართ. მისი შეხედულებით, დ. ერისთავის ლექსებს პროვინციალურობის დალი აზის, ხოლო მეორეგან იგი გამოთქვამს აზრს, რომ დ. ერისთავის ფელეტონი „Сон накануне нового года“ არათბილისელისათვის უინტერესოა და მოსაწყენიც კი⁵¹.

ქართული ლიტერატურა თუმანიშვილებისათვის მშობლიური

47 იხ. 1873 წ. 16 თებერვლით დათარიღებული წერილი.
 48 „ТВ“, 1873, № 1.
 49 იხ. 1873 წ. 8 იანვრით დათარიღებული წერილი.
 50 იხ. ან თუმანიშვილის 1874 წ. 4 ოქტომბრით დათარიღებული წერილი.
 51 იხ. 1873 წ. 5 იანვრით დათარიღებული წერილი.

ლიტერატურა იყო და ამდენად მათ არ შეეძლოთ გულგრილი მკაცრ
რებლები ყოფილიყვნენ მისი მიღწევებისა თუ დაკნინების.

ქართული ლიტერატურის სიყვარული ალაპარაკებდა სწორედ
გ. თუმანიშვილს, როდესაც ანასტასიასადმი გაგზავნილ ერთ-ერთ
წერილში იგი მკაცრად აკრიტიკებდა გ. წერეთლის „მგზავრის წიგ-
ნებს“. გიორგი გულწრფელ აღმფთვებას გამოთქვამდა იმის გამო,
რომ წერეთელმა არ დაზოგა ცოცხალი პიროვნებები, თავისი დროის
თანამემამულეები — ნიკო ლოღობერიძე და სტეფანე მელიქიშვილი
და დაუნდობლად დასცინა მათ თავის ნაწარმოებში. ასეთი „ლიტე-
რატურული მოურიდებლობა“, ცინიზმი, გ. თუმანიშვილის აზრით,
შეიძლება გამართლებულ იქნეს მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი აღ-
წევს რაიმე სასარგებლო მიზანს. მაგრამ რით შეიძლება იქნეს გა-
მართლებული გ. წერეთლის ცინიზმი? — კითხულობს იგი და თვით-
ვე აძლევს პასუხს: „არაფრით“.

„მისი მოთხრობა გავს გრძელ, მოსაწყენ, გაჭიანურებულ ბრალ-
დებას პროკურორისას, რომელიც ტყავიდან ძვრება, რათა გამოჩა-
ხოს დამნაშავესათვის არახელსაყრელი მდგომარეობა და ამით გააბ-
რაზოს მისი ვეჭილი. საწყალი ქართული ლიტერატურა! როგორც
ჩანს, იგი არასოდეს ყოფილა ისეთი მდიდარი, როგორც ამჟამად,
მაგრამ რითაა იგი მდიდარი? აი, კითხვა, რომელზედაც არ სიამოვ-
ნებს გასცეს პასუხი მას, ვისაც იგი უყვარს“⁵².

არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ თუმანიშვილები უმეტესად
უქმყოფილებას გამოთქვამდნენ თანამედროვე პრესის მიმართ. ასე
მაგალითად, მ. თუმანიშვილს არ მოსწონდა გაზ. „კავკაზი“ და მისი
რედაქტორები, განსაკუთრებით პ. ა. სლივიცკი, რომელიც „კავკაზს“
1868—1871 წლებში რედაქტორობდა. არც ე. ს. სტალინსკის რედა-
ქტორობით გამოსული ნომრები მოსწონებია მიხეილს. 1872 წ. 16
იანვრით დათარიღებულ წერილში იგი მკაცრად აკრიტიკებს ახალი
რედაქტორის ენას, თუმც იქვე შენიშნავს, რომ „წვრილმანებში“
ამჟამად „კავკაზი“ უკეთესია, ვიდრე იგი სლივიცკის დროს იყო.

არანაკლებ მკაცრად აკრიტიკებდა გაზ. „კავკაზს“ ბაბაღე თუ-
მანიშვილი. 1872 წ. 5 მარტით დათარიღებულ წერილში იგი ენამახ-
ვილურად წერდა გიორგის: „კავკაზს“ რომ არ იღებთ, სადარდებე-
ლი არაფერი გაქვს: რომ წაგეკითხა, გაიგებდი რა ხდება სპარსეთსა
თუ თურქეთში, მაგრამ ვერაფერს ამოიკითხავდი თბილისის შესა-
ხებზე“.

⁵² იხ. 1874 წ. 14 მარტით დათარიღებული წერილი.



კიდევ უფრო გამანადგურებელ შეფასებას ააღწევინა თუმანიშვილი შვილები 1873 წ. ერიწოვის მიერ დაარსებულ ჟურნალს „კავკასიის სტარინა“. მ. თუმანიშვილის აზრით, ეს ჟურნალი მხოლოდ არქეოლოგებისათვის შეიძლებოდა ყოფილიყო საინტერესო, ხოლო ბაბილე მისთვის ჩვეული მწარე ირონიით აღნიშნავდა: „მე წავიკითხე „კავკ. სტ.“ 1 №-ის შინაარსი, რა სიძველეა?!“⁵³.

1873 წელსვე, როგორც ვიცით, თბილისში დაარსდა ახალი გაზეთი „ტიფლისკი ვესტნიკი“, რომელსაც კონსტანტინე ბებუთოვი რედაქტორობდა. ახალი პერიოდული ორგანოს გამოსვლას მოუთმენლად ელოდებოდა თუმანიშვილების ოჯახი. ჯერ კიდევ 1872 წ. სექტემბრის თვეში მიხეილმა აცნობა გიორგის კ. ბებუთოვის განზრახვა გაზეთის დაარსების შესახებ. ხოლო 1872 წ. 28 დეკემბერს ანასტასია ატყობინებს ძმას, რომ სულ რამდენიმე ხანში დაიბადება ახალი გაზეთი „ტიფლისკი ვესტნიკი“, რომლის „ნათლიად“ იგი თავის ბიძას ალექსანდრე თუმანიშვილს ასახელებდა.

სამწუხაროდ, ვერც ახალმა გაზეთმა გაამართლა თუმანიშვილების იმედები. „ტიფლისკი ვესტნიკის“ არსებობის დასაწყისშივე შეამჩნიეს მათ, რომ ამ გაზეთს არც თუ ისე დიდი ხნის სიცოცხლე ეწერა. „ეს ახალგაზრდა კაცი,—წერდა მ. თუმანიშვილი ჯერ კიდევ 1873 წ. 20 იანვარს გაზეთის რედაქტორზე,—არც თუ უნიჭო, როგორც ჩანს, ტყუილად მოეკიდა სერიოზულ საქმეს; სხვისმა მოიმედემ სლივიცკის მსგავსად წინასწარ არ მოიკრიბა საკუთარი ძალები“. იმავე წელს 3 თებერვალს კი იგი უკვე ასკვნიდა, რომ „ტიფლისკი ვესტნიკი“ ძალზე უსუსური აღმოჩნდა და რომ იგი „ძლივს-ძლივობით მილოდავდა მისთვის მეტად საძნელო სარბიელზე“.

თუმანიშვილების ეპისტოლარულ მემკვიდრეობაში ისეთი მასალაცაა წარმოდგენილი, რომელიც გარკვეულ დახმარებას გვიწევს საქართველოში არსებული პრესის ისტორიის უფრო დეტალურ შესწავლაში. ასე მაგალითად. 1872 წ. 16 იანვრით დათარიღებულ წერილში მ. თუმანიშვილი აღნიშნავს, რომ გაზ. „დროება“ დაკნინების გზაზეა დამდგარი, ვინაიდან ხელის მომწერლების რიცხვმა, გასულ წელთან შედარებითაც კი, ძალზე იკლო.

კიდევ უფრო საგულისხმო ცნობას გვაწვდის ამ გაზეთის ისტორიიდან ან. თუმანიშვილის 1872 წ. 28 დეკემბრით დათარიღებული წერილი. როგორც ამ წერილიდან ირკვევა, გაზ. „დროებაში“ დაბეჭდილი წერილი „კორესპონდენცია შვეიცარიიდან“ გადაუთარგმნიათ ქუთაისის გუბერნატორ ლევაშოვისათვის. ამ უკანასკნელს ეს წერი-

⁵³ იხ. 1872 წ. 20 ნოემბრით დათარიღებული წერილი.



ლი ისეთი შინაარსის მქონე სტატიად მიუჩნევია, რომ საჭიროა უცვნია დაუყოვნებლივ მოეხსენებინა ამის შესახებ დიდი მთავრობისათვის. შედეგად კი ამას ის მოჰყოლია, რომ მთავრობას დიდი საყვედური გამოუცხადებია როგორც ცენზორისათვის, ასევე „დროების“ რედაქტორისათვის გაზეთის არასწორი მიმართულების გამო.

1873 წელს, როგორც ამას უკვე ბაბალე თუმანიშვილის წერილი გვაუწყებს, გაზ. „დროება“ კიდევ უფრო დიდ საფრთხეში ჩავარდნილა მას შემდეგ, რაც ამ გაზეთში დაბეჭდილა ნ. ნიკოლაძის სტატია რკინიგზის შესახებ⁵⁴.

რამდენადმე საყურადღებო ცნობებს გვაწვდის აგრეთვე გაზ. „კავკაზის“ შესახებ მ. თუმანიშვილის 1871 წ. 21 ნოემბრით დათარიღებული წერილი. როგორც ცნობილია, 1872 წ. გაზ. „კავკაზის“ რედაქტორად დაინიშნა ახალგაზრდა ჟურნალისტი, გაზ. „კავკაზის“ ყოფილი თანამშრომელი ე. ს. სტალინსკი. მ. თუმანიშვილის ზემოთდასახელებული წერილიდან კი ვგებულობთ, რომ სტალინსკი აურჩევიათ გაზეთის ოფიციალურ რედაქტორად, ფაქტიურად კი გაზეთისათვის რედაქტორობა უნდა გაეწია ინჟინერ-პოლკოვნიკ მიხეილ ნიკოლოზის ძე გარსევანოვს (იგივე გერსევანოვი). გაზ. „კავკაზის“ რედაქტორობაზე პრეტენზიები ჰქონია აგრეთვე კლასიკური გიმნაზიის დირექტორს—ვლადიმერ ივანეს ძე ყელიხოვსკის.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ თუმანიშვილების ეპისტოლარული მემკვიდრეობა, შეიძლება ითქვას, წარმოადგენს ერთგვარ ბიბლიოგრაფიულ მასალას ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული იმ წერილებისას, რომელთაც გარკვეული გამოხმაურება ჰქონდათ იმდროინდელ საზოგადოებაში. ამის საუკეთესო ილუსტრაციას წარმოადგენს თუნდაც მ. თუმანიშვილის ის წერილი, რომელშიაც იგი აღტაცებით აუწერს გიორგის 1873 წ. სექტემბრის პირველ რიცხვებში თბილისში არსებული პრესის გამოცოცხლებას.

როგორც მ. თუმანიშვილი გადმოგვცემს, სულ მცირე ხნის განმავლობაში ლიტერატურული ბრძოლა ფართოდ ვაშლილა „კავკაზის“, „ტიფლისკი ვესტნიკისა“ და „დროების“ ფურცლებზე. ბრძოლის წამომწყები ნ. ნიკოლაძე იყო, რომელმაც „ტიფლისკი ვესტნიკში“ 1873 წ. სექტემბრის თვეში გამოაქვეყნა წერილი „Наш театр“⁵⁵. ამ სტატიაში ნ. ნიკოლაძე ღვარძლიანად აკრიტიკებდა თბილისის თეატრის დირექციას, მსახიობებსა და მყურებლებს. მაგრამ,

⁵⁴ იხ. 1873 წ. 16 თებერვლით დათარიღებული წერილი.

⁵⁵ იხ. 1874 წ. 19 მარტით დათარიღებული წერილი.

როგორც მიხეილის წერილიდან ვგებულობთ, მსახიობებიც არ დარჩენილან ვალში ნ. ნიკოლაძის მიმართ: სცენიდან, წარმოდგენის მსვლელობის დროს, ისინი ჰკილავენ და დასცინოდნენ „ტიფლისკი ვესტნიკის“ რედაქტორსა და მისი გაზეთის რეცენზენტებს. განსაკუთრებით აქტიური ყოფილა საიმპერატორო თეატრის მსახიობი ლეონიდ სოკოლოვი.

თეატრსა და „ტიფლისკი ვესტნიკს“ შორის ატეხილ ბრძოლაში ჩაერია აგრეთვე გაზ. „კავკაზიცი“. ამ გაზეთში გამოქვეყნდა ხელმოუწერელი წერილი «Наши домашние дела», რომელიც მსახიობთა ინტერესებს იცავდა⁵⁶. „კავკაზის“ საწინააღმდეგოდ ბრძოლის ველზე ახლა „ტიფლისკი ვესტნიკის“ რედაქტორი, კ. ბებუთოვი, გამოვიდა, რომელიც თავის წერილში „Наша наука и билихонские источники“ მსახიობ პროტასოვს გადაწვდა⁵⁷.

მეორეს მხრივ, ქუთაისის ბანკის საკითხებთან დაკავშირებით, ბებუთოვმა გაილაშქრა ნ. ნიკოლაძის წინააღმდეგაც⁵⁸. ნ. ნიკოლაძემაც არ დააყოვნა და მკაცრი პასუხი გასცა ბებუთოვს მისსავე გაზეთში⁵⁹.

ამავე დროს დ. ერისთავმა „ტიფლისკი ვესტნიკში“ მოათავსა წერილი „Еще демон (посвящается редакции „Дробна“ и „Крестьяни)“⁶⁰. დ. ერისთავის ეს წერილიც ნ. ნიკოლაძის საწინააღმდეგოდ იყო მიმართული. ამავე დროს დ. ერისთავმა გამოაქვეყნა ასევე „ტიფლისკი ვესტნიკში“ „Библиография“, რომელშიაც ავტორი კიცხავდა ჟურნალ „კრებულს“⁶¹. პაექრობაში ახლა გორისელიც გამოვიდა, რომელმაც დ. ერისთავის საპასუხოდ დაბეჭდა წერილი „ერთი უგბილიმ“ (სქოლიოში ავტორის მიერ განმარტებულია: „გონებით მკვახე“)⁶².

„და ყველაფერი ეს.—სწერს მ. თუმანიშვილი გიორგის,— მოხდა სულ ერთი კვირის განმავლობაში მას შემდეგ, რაც შენ წახვედი. მზადდება დიდი აყალ-მაყალი. მე ვფიქრობ, ბრძოლა იქნება შეუღოვარი, გააფთრებული და მწარე, რადგანაც მასში მონაწილეობას იღებენ ისეთი მებრძოლები, როგორიც არიან ნიკოლაძე, ბებუ-

⁵⁶ იხ. „К“, 1873, № 107.

⁵⁷ იხ. „ТВ“, 1873, № 95.

⁵⁸ იხ. „ТВ“, 1873, № 94.

⁵⁹ იხ. „ТВ“, 1873, № 96.

⁶⁰ იხ. „ТВ“, 1873, № 95.

⁶¹ იხ. „ТВ“, 1873, № 2.

⁶² იხ. „დრ“, 1873, № 36.

თოვი და სოკოლოვი. მით უკეთესი. დროა გამოიღვიძოს გაზეთმა „თეატრმაც“⁶³.

მიხეილ თუმანიშვილს განსაკუთრებით ახარებდა ასეთი დავა და კამათი, რადგან ეს თბილისის მოღუნებული საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრების გამოცოცხლების მაუწყებელი იყო.

ერთ-ერთ წერილში მიხეილი ასე სწერდა გიორგის: „თბილისის საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის ბევრი უცნაურობაა დამახასიათებელი: ხან უმიზეზოდ წრეს გადადის, შფოთავს, ხან კი უეცრად მთვლემარე და ბრმა აპათიას ეძლევა. ეს კი იმას ამტკიცებს, რომ ცხოვრება ჯერ კიდევ არ დალაგებულა. მხოლოდ სწორად მოწყობილ ცხოვრებას შეუძლია ჰქონდეს სწორი გამოვლინებები“⁶⁴.

როგორც ვხედავთ, მ. თუმანიშვილი საზოგადოებრივი ცხოვრების ზედაპირული ფაქტების იქით ამ ცხოვრების სიღრმეში იხედებოდა, როგორც ეს პროფესიონალურ ჟურნალისტსა და კრიტიკოსს მოეთხოვება.

თუმანიშვილების მიწერ-მოწერა საგულისხმოა არა მარტო იმ თვალსაზრისით, რომ მათში გამომყდვენებულია წერილების ავტორთა შეხედულებანი მწერლობის, ჟურნალისტიკისა თუ სხვა რაიმე მნიშვნელოვანი საზოგადოებრივ-კულტურული წამოწყების შესახებ, არამედ იმითაც, რომ მათში უხვადაა მოწოდებული ისეთი ფაქტიური ხასიათის მასალა, რომელიც გვიადვილებს უფრო ნათლად წარმოვიდგინოთ გასული საუკუნის საქართველოს კულტურულ-საზოგადოებრივი ცხოვრება.

ამ გამოცემაში თავმოყრილი წერილებიდან თუმანიშვილების პირველი წერილი, ქრონოლოგიის თვალსაზრისით, 1871 წ. 22 სექტემბრით თარიღდება. როგორც ცნობილია, ამ წელს ქართველ თავადაზნაურობაში გაიმართა მწვავე კამათი საქართველოში ახალი სამხედრო სასწავლებლისა თუ უნივერსიტეტის დაარსების შესახებ. სამხედრო სასწავლებლის დაარსების მომხრენი უმეტესად უფროსი თაობის წარმომადგენლები იყვნენ, ხოლო უნივერსიტეტის დაარსებას ახალი თაობა მოითხოვდა, მათ შორის: ილ. ჭავჭავაძე, ნიკ. ნიკოლაძე, გ. წერეთელი. განხეთქილებამ ძველსა და ახალ თაობას შორის აშკარად მაშინ იჩინა თავი, როდესაც 1871 წ. საქართველოში ჩამოსულ რუსეთის იმპერატორს, ალექსანდრე მეორეს, თავადაზნაურებმა სპეციალური არზა წარუდგინეს, რომელშიაც ისინი მოი-

⁶³ იხ. 1873 წ. 16 სექტემბრით დათარიღებული წერილი.

⁶⁴ იხ. 1872 წ. 4 დეკემბრით დათარიღებული წერილი.



თხოვდნენ კადეტთა კორპუსის დაარსებას (არზა შედგენილი უფროსი თაობის წარმომადგებლების მიერ).

თუმანიშვილების წერილებში გადმოცემულია თბილისის საზოგადოებრივი ცხოვრების გამოცოცხლება ალექსანდრე II-ის ჩამოსვლასთან დაკავშირებით. „მეფის ჩამოსვლის წინა დღეებში,—კვითხულობით ბაბაღე თუმანიშვილის 1871 წ. 13 ოქტომბრით დათარიღებულ წერილში,—ქალაქი გამოცოცხლდა, ფუსფუსებდნენ, ქუჩებს ასუფთავებდნენ, აკრავდნენ ნიშნებს, ადგენდნენ ადრესებსა და თხოვნებს, ამზადებდნენ ჯილდოებს“.

კიდევ უფრო საყურადღებო ცნობებს გვაწვდის ან. თუმანიშვილი 1871 წ. 21 სექტემბრით დათარიღებულ წერილში. ამ წერილში ანასტასია დაწვრილებით აცნობებს თავის ძმას, გიორგის, ალექსანდრე II-ის ჩამოსვლასთან დაკავშირებით მომხდარ ამბებს და დეტალურად მოუთხრობს მას იმ უთანხმოების შესახებ, რომელსაც თავი უჩენია ძველსა და ახალ თაობას შორის ახალი სასწავლებლის დაარსების გამო.

როგორც ან. თუმანიშვილი გადმოგვცემს, არზის კითხვის დროს ახალგაზრდებმა უარყვეს სამხედრო გიმნაზიის დაარსების იდეა და დაბეჭიბებით მოითხოვეს უნივერსიტეტის გახსნა. იმის გამო, რომ მათი საწინააღმდეგო შეხედულების მქონე თავადებმა შეკრებაზე გამოცხადება დააგვიანეს, კენჭის ყრის შედეგად გამოიკვია, რომ უმეტესობა ახალგაზრდობას უჭერდა მხარს. „დაგვიანებულმა“ თავადებმა მეორე დღეს თხოვნით მიმართეს თბილისის გუბერნიის წინამძღოლს, რევაზ ანდრონიკაშვილს, მაგრამ გუბერნიის წინამძღოლმა ისინი უარით გამოისტუმრა. ამ ამბავმა თბილისში საერთო მღელვარება გამოიწვია.

შეკრებაზე სიტყვით გამოვიდნენ მედიცინის დოქტ. ივ. თარხნიშვილი და ნიკო ნიკოლაძე. ამ უკანასკნელმა უფროსი თაობის მიერ შედგენილი არზა გაარჩია და იგი უვარგისად მიიჩნია. ამის შემდეგ უნივერსიტეტის მომხრეებმა შეადგინეს ახალი კომისია. რომელშიაც შევიდნენ: ივ. თარხნიშვილი, ილ. ჭავჭავაძე, დიმიტრი ჯორჯაძე, მიხ. თუმანიშვილი. ახალმა კომისიამ მეფეს მოთხოვა მატერიალური დახმარება საშ. სასწავლებლისათვის და ერთი უმაღლესი სასწავლებლის დაარსება. საბოლოოდ, როგორც ვიცით, მთავრობამ ნაადრევად მიიჩნია საქართველოში უმაღლესი სასწავლებლის დაარსება და მის ნაცვლად 1871 წ. თბილისში კადეტთა კორპუსი გახსნა.

თუმანიშვილების ზემოთ დასახელებული წერილები გვიჩვენე-

ბენ, თუ როგორ ზრუნავდა 70-იან წლებში იმდროინდელი ქართველი ინტელიგენცია სწავლა-აღზრდისა და განათლებისათვის.

საგულისხმო საზოგადოებრივ-კულტურულ ფაქტებს ვხვდებით იმ წერილებშიც, რომლებშიაც თუმანიშვილები (მიხეილი, ბაბაღე, ანასტასია და ვასილი) ოდესაში მყოფ გიორგის მოუთხრობენ გამოჩენილი ფიზიოლოგის ივ. თარხნიშვილის მიერ თბილისში ჩატარებული ლექციების კურსის შესახებ.

1871 წ. შემოდგომაზე ივ. თარხნიშვილი ჩამოვიდა თბილისში, სადაც მან ჩაატარა რამდენიმე პოპულარული ხასიათის ლექცია ფიზიოლოგიიდან. თარხნიშვილის ლექციებმა დიდი გამოხმაურება ჰპოვა იმდროინდელ პრესაში. რეცენზენტების უმეტესობა მაღალ შეფასებას აძლევდა ამ ლექციებს და გამოთქვამდა დამსწრე საზოგადოების საერთო მოწონებას.

თარხნიშვილის I ლექცია ჩატარებულ იქნა 1871 წლის 18 ოქტომბერს არტისტიული კლუბის დარბაზში. ამ ლექციით მოხიბლული ბაბაღე თუმანიშვილი აუწყებდა იმავე წლის 22 ოქტომბერს გიორგის, რომ აუდიტორია გაჭედილი ყოფილა ხალხით. კარგი ადგილების დასაკავებლად თუმანიშვილები საგანგებოდ ადრე მისულან ლექციაზე. მაგრამ პირველი რიგები მათ უკვე შევსებული დახვედრიათ. ზოგი მათგანი სამ საათზედაც კი ყოფილა მოსული. როგორც ბაბაღეს წერილიდან ვგებულობთ, თარხნიშვილის ამ ლექციას ესწრებოდნენ: გ. წერეთელი, ს. მესხი, პ. იზმაილოვი, ეკ. მელიქიშვილი, ახალგაზრდა ლიტერატორი შავერდოვი და სხვანი.

თარხნიშვილის შემდგომი ლექციებიც თბილისის საზოგადოების მიერ ცხოველი ინტერესით იქნა მოსმენილი. თავისი სადა, ყველასთვის გასაგები ენითა და თვალსაჩინოების პრინციპის გამოყენებით ივ. თარხნიშვილი სულ უფრო და უფრო დიდ აუდიტორიას იპყრობდა.

ბაბაღეს 1871 წ. 7 ნოემბრით დათარიღებულ წერილში ვკითხულობთ, რომ თარხნიშვილის პირველ ლექციას 200 კაცი ესწრებოდა, მაგრამ შემდეგ ახალგაზრდა ლექტორს ისეთი დიდი ინტერესი გამოუწვევია, რომ ბოლო ლექციაზე უკვე 600 კაცს მოუყრია თავი. ბაბაღეს იგივე წერილი გვაუწყებს აგრეთვე, რომ მეორე ლექციის შემდეგ მსმენელებს თარხნიშვილისათვის მიუერთმევიათ ასოციაციის მიერ ხელმოწერილი ადრესი, რომელშიაც ისინი თხოვდნენ მას, გაეზარდა წასაკითხი ლექციების რიცხვი, რაზედაც თარხნიშვილს თანხმობა განუცხადებია.

თუმანიშვილების ის წერილები, რომლებიც თარხნიშვილის ლექციებს ეხება, რამდენიმე თვალსაზრისით არის საყურადღებო. ერთის



მხრივ, ისინი ამდიდრებენ ცნობილი ფიზიოლოგის, თარხნიშვილის ბიოგრაფიას, ხოლო, მეორეს მხრივ, გამოხატავენ იმდროინდელი მოწინავე საზოგადოების სწრაფვას ცოდნის შეძენისა და მეცნიერებისაკენ.

70-იანი წლების საქართველოში კულტურული ცხოვრების ცენტრი იყო ე. წ. „არტისტიული წრე“ (შემდეგში „თბილისის წრედ“-წოდებული). ეს წრე ყოველ საშუალებას მიმართავდა იმისათვის, რომ თბილისის საზოგადოების კულტურული დონე აემაღლებინა. ამ მიზნით აწყობდა იგი საჯარო ხასიათის ლექციებს, საუბრებს, დილა-სალამოებს, მასკარადებს, თუ სხვა სახის კულტურულ გასართობებს. ამ წრის საქმიანობის შესახებ საკმაოდ საინტერესო მასალას იძლევა თუმანიშვილების ეპისტოლარული მემკვიდრეობა.

თუმანიშვილების წერილებში აღნიშნულია, რომ გარდა ივ. თარხნიშვილის ლექციებისა, თბილისის „არტისტიულ წრეში“ ხშირად იკითხებოდა ლექციები მეცნიერების სხვადასხვა დარგიდან (ისტორია, ბუნებისმეტყველება, პოლიტიკონომია, ქიმია, მათემატიკა, პედაგოგიკა და ლიტერატურა).

ლექტორებიდან თუმანიშვილების წერილებში დასახელებული არიან: ბოკი, მოძალევსკი, მოლჩანოვი, გორდიევსკი, ივანოვი, სკოროვი, სიმონოვიჩი, სტადლინი, ტრაჩევსკი, ანდრეას არწრუნი.

ამ ლექტორთა მიერ წაკითხული ლექციების მეცნიერული დონე, როგორც ჩანს. უმეტეს შემთხვევაში თუმანიშვილების (და ზოგ შემთხვევაში არა მარტო თუმანიშვილების, არამედ მთელი იმდროინდელი საზოგადოების) მზარდ მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებდა. ასე, მაგალითად, როგორც ანასტასია გადმოგვცემს, ადვოკატ მოლჩანოვს ისე უგემურად წაუკითხავს ლექცია პოლიტიკონომიაში, რომ აუდიტორიას ხარხარი აუტეხია. ასევე „უსახელოდ“ დაუმთავრებია თავისი „უფერული“ ლექციები სკოროვს. ანასტასიას აზრით, უსიცოცხლოდ წაუკითხავს აგრეთვე ლექცია ისტორიკოს ტრაჩევსკის⁶⁵. გარდა ამისა, საზოგადოების გარკვეული ნაწილი, მათ შორის ანასტასიაც, ასევე უკმაყოფილო ყოფილა გეოლოგიის დოქტორის ანდრეას არწრუნის მიერ 1874 წ. 12 დეკ. ჩატარებული ლექციით გოგირდის შესახებ⁶⁶.

მამაკაც ლექტორთა გარდა თუმანიშვილები თავიანთ წერილებში საგანგებოდ ასახელებენ აგრეთვე ერთ ქალ ლექტორს. მადამ სემიონოვიჩს, რომელსაც თბილისში კერძო საბავშვო ბაღი ჰქონდა.

⁶⁵ იხ. 1874 წ. 19 მარტით დათარიღებული წერილი.

⁶⁶ იხ. 1875 წ. 14 იანვრით დათარიღებული წერილი.

გახსნილი და რომელიც, როგორც ჩანს, ხშირად აწყობდა ლიტერატურულ საღამოებს.

„თბილისის წრე“ გარკვეულ ყურადღებას იჩენდა აგრეთვე ქალთა საკითხის მიმართ. ამ წრეს, როგორც ეს ანასტასიას ერთ-ერთი წერილიდან ჩანს, რუს კლასიკოსთა თხზულებებს გარდა, დიდი როლდენობით გამოუწერია წიგნები ქალთა საკითხის შესახებაც.

გასული საუკუნის 70-იან წლებში ქართველ ქალთა ჯგუფი ინტერესით აღევნებდა თვალს იმდროინდელ საზოგადოებრივ-კულტურულ ცხოვრებას და ცდილობდა თვითაც გამხდარიყო ასეთი ცხოვრების უშუალო და აქტიური მონაწილე. ასე მაგალითად, როგორც ბაბაღე თუმანიშვილის წერილიდან ვგებულობთ, იმ დროის მოწინავე ახალგაზრდა ქალებს: კეკე მელიქიშვილს, ელენე ყიფიანსა და ეკატერინე თარხნიშვილს (შემდეგში გაბაშვილისა) შეუდგენიათ მთარგმნელთა წრე. ეს წრე მიზნად ისახავდა დროდადრო გამოქვეყნებინა ცნობილ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა თხზულებების თარგმანები⁶⁷.

ქართველ ქალებს აღარ აკმაყოფილებდათ გიმნაზიის განათლება. ისინი მიისწრაფოდნენ უმაღლესი ცოდნის მიღებისაკენ და ზოგიერთი მათგანი, მიუხედავად დიდი დაბრკოლებისა, მაინც ახერხებდა თავისი ოცნების განხორციელებას. 1873 წ. 16 თებერვალს თავისი ნაცნობი ქალების საქციელით აღფრთოვანებული ბაბაღე მოუთხრობს გიორგის, თუ როგორ გაიპარა სახლიდან ოლიკო გურამიშვილი ციურხისში უმაღლესი განათლების მისაღებად. ოლიკოსთან ერთად გაემგზავრა იმავე მიზნით ნიკო ნიკოლაძის დაც, ეკატერინე. წერილიდან ჩანს, რომ თვით ბაბაღე და ანასტასია თუმანიშვილებიც ოცნებობდნენ უმაღლესი ცოდნის მიღებაზე.

კიდევ უფრო მდიდარ მასალას გვაწვდის თუმანიშვილების ეპისტოლარული მემკვიდრეობა იმდროინდელი თეატრალური ცხოვრების შესახებ.

როგორც ვიცით, 70-იანი წლების საქართველოში ქართული მუდმივი დრამატული დასი არ არსებობდა. ამ ხანებში თბილისის თეატრში ოპერა თუ დრამატული ჟანრის ნაწარმოები წარმოდგენილი იყო რუსულ ენაზე ძირითადად არა ადგილობრივი, არამედ რუსეთიდან მოწვეული ძალებით.

თუმანიშვილები, როგორც აღვნიშნეთ, თეატრალური ხელოვნების დიდი მოტრფიალეები იყვნენ და ამიტომაც მათი ეპისტოლა-

⁶⁷ იხ. 1872 წ. 5 მარტით დათარიღებული წერილი.

რული მემკვიდრეობის ერთ-ერთ მთავარ თემას თეატრი წარმოადგენდა.

მიხეილის, ანასტასიას, ბაბალეს, ვასილისა და კონსტანტინე თუმანიშვილების წერილები საშუალებას გვაძლევს რამდენადმე მაინც გავითვალისწინოთ თბილისის თეატრის რეპერტუარი მთელი 5 წლის მანძილზე (იგულისხმება 1871—1875 წლები).

თუმანიშვილების წერილებიდან ჩანს, რომ თბილისის თეატრში ხშირად იდგმებოდა როგორც დას. ევროპის (შექსპირი, მოლიერი, შილერი), ასევე რუს კლასიკოსთა (გრიბოედოვი, ოსტროვსკი) დრამატული თხზულებანი და ამავე დროს მსუბუქი ჟანრის ვოდევილები და ოპერეტები.

თუმანიშვილების წერილების საფუძველზე შესაძლებელია აღდგენილ იქნეს აგრეთვე რუსული დრამატული დასების თუ მთლიანი არა, ყოველ შემთხვევაში, ძირითად შემადგენლობა მაინც, რუსი მსახიობებიდან, რომლებიც ამ 5—6 წლის განმავლობაში (სხვადასხვა დროს) თბილისის თეატრში მოღვაწეობდნენ, მათ წერილებში დასახელებულნი არიან: აბარინოვა, აგრამოვი, არნოლდი, ბოროდინი, ბრიანსკი, ვორონკოვსკი, ვინოგრადოვი, კამენსკი, კაჩევსკაია, ლარინი, ლენსკი, ლიდინი, მარქსის მთელი ოჯახი, მუზილი, ნადლერი, ნილსკი, პრავდინი, პროტასოვი, ყურინი, სოკოლოვი, ფედოროვი, იაბლოჩკინი, იაბლოჩკინა პირველი და მეორე და სხვ. მრავალნი. მათ შორის, როგორც ვხედავთ, დასახელებულნი არიან ისეთი მსახიობები, რომლებმაც შემდეგში რუსული თეატრის განვითარების ისტორიაში გარკვეული ადგილი დაიჭირეს: ლენსკი, ფედროვი, პრავდინი, იაბლოჩკინი, აბარინოვა.

ალ. ლენსკიმ, რომელმაც შემდგომში სახელი გაითქვა, როგორც ხელოვნების დიდმა ოსტატმა, ფაქტიურად თავისი თეატრალური კარიერა თბილისში დაიწყო. 1872 წ. 18 ოქტომბერს მ. თუმანიშვილი ასე აცნობებდა გიორგის: „ნადლერის დასში სულ ახალი და ამავე დროს უცნობი პირები არიან, რომელთა შორის, ამბობენ, გამოირჩევა მხოლოდ ერთი—ლენსკი“.

თბილისის იმდროინდელმა საზოგადოებამ იმთავითვე სათანადოდ დააფასა ლენსკის ნიჭი. 1873 წელს, 20 იანვარს მიხეილი აღნიშნავდა, რომ მას არასოდეს უნახავს ჩაცკის ასეთი შესანიშნავი შემსრულებელი, ხოლო 1873 წ. 18 თებერვალს ვასილ თუმანიშვილი ახალგაზრდული აღტაცებით აცნობებს გიორგის, რომ ლენსკი ახდენს დიდ ფურორს ჰამლეტისა და ფრანცის როლებში. აქაური თეატრალური ამბობენ,—დასძენს ვასილი.—რომ ასეთი ჰამლეტი და ჩაცკი არასოდეს ყოფილა ჩვენს სცენაზეო.

დიდ წარმატებას აღწევდა თბილისში პეტერბურგის საიმპერატორო თეატრის მსახიობი ლეონიდ სოკოლოვი, რომელიც უმეტესად კომიკურსა და სახასიათო როლებს ასრულებდა. სოკოლოვის თამაშს თუმანიშვილები მაღალ შეფასებას აძლევდნენ. მათი შეხედულება კი, ჩვენის აზრით, ანგარიშგასაწევი, რადგან იმ დროისათვის თუმანიშვილები საუკეთესო მაყურებლები იყვნენ. მიხეილის აზრით, თბილისის თეატრის სულის ჩამდგმელი პირველ რიგში ახალგაზრდა სოკოლოვი იყო.

სოკოლოვი თბილისის სცენაზე 1867—1874 წლებში მოღვაწეობდა. 1874 წლის აპრილში კი, ვინაიდან მას უთანხმოება მოუვიდა დასის მმართველ რეჟისორთან, იაბლოჩკინთან, და მის მეუღლესთან, იაბლოჩკინა 1-თან, რომელიც დროდადრო ქმრის მოვალეობას ასრულებდა, იძულებული იყო დაეტოვებინა თბილისის თეატრი და სამუშაოდ ვლადიკავკაზში გადასულიყო.

სოკოლოვის გამოსამშვიდობებელი საღამო თბილისში 1874 წ. 10 აპრილისთვის დაინიშნა. თავის კონცერტზე, როგორც ამას ანასტასია ვადმოვცემს, სოკოლოვს განზრახული ჰქონია წარმოედგინა პატარა ვოდევილი სტალინსკისა და სხვა სცენისმოყვარეთა მონაწილეობით. მაგრამ ფარდის ახდის წინ მას აუკრძალეს სპექტაკლის ჩატარება. იაბლოჩკინსა და თეატრის დირექციას შორის დადებული კონტრაქტის თანახმად მსახიობებს არ ჰქონდათ უფლება წარმოედგინათ კერძო სპექტაკლები თეატრალური წარმოდგენების დღეს. ამ შემთხვევით უსარგებლია იაბლოჩკინას და სოკოლოვის კონცერტი ჩაუშლია. მაგრამ სოკოლოვი არ დაბნეულა და იქვე შეუთხზავს კუბლეტები დირექციის შესახებ, რითაც დიდი სიამოვნება მიუყენებია დამსწრე საზოგადოებისათვის, განსაკუთრებით კი გიმნაზიელებისათვის⁶⁸.

სოკოლოვის წასვლას იმდროინდელი პრესაც გამოეხმაურა. იაბლოჩკინისაგან მოითხოვდნენ, რომ მას თავის დასში დაეტოვებინა თბილისელების საყვარელი მსახიობი. სოკოლოვი ისეთი დიდი პოპულარობით სარგებლობდა თბილისის მაყურებელთა შორის, რომ, როგორც ეს ვასილ თუმანიშვილის ერთ-ერთი წერილიდან ჩანს, სხვა მსახიობები პირველ ხანებში გაურბოდნენ კიდეც იმ როლებს შესრულებას, რომელთაც ადრე სოკოლოვი ასრულებდა⁶⁹.

თუმანიშვილების წერილები მით უფრო საგულისხმოა, რომ სოკოლოვის შესახებ, საზოგადოდ, ძალიან ცოტა ცნობაა შემონახული.

⁶⁸ იხ. ან. თუმანიშვილის [1874 წ. აპრილით] დათარიღებული წერილი.

⁶⁹ იხ. 1874 წ. 8 აპრილით დათარიღებული წერილი.

საყურადღებო ცნობებია აგრეთვე მოწოდებული თუმანიშვილების წერილებში რუსული დრამატული დასის რეჟისორების თ. ნადლერისა და ალ. იაბლოჩკინის შესახებ.

ნადლერი თბილისის თეატრში მოღვაწეობდა 1867 წლიდან 1873 წლამდე. პირველად იგი მუშაობდა მსახიობად და რეჟისორად, ხოლო 1872 წლის მარტიდან 1873 წლის თებერვლამდე ის ითვლებოდა თბილისის თეატრის ანტრეპრენიორად. ამავე დროს ნადლერი წერდა დრამებსაც.

თბილისის იმდროინდელი საზოგადოება და მათ შორის თუმანიშვილებიც არ იყვნენ კმაყოფილნი ნადლერის მოღვაწეობით. თავიანთ წერილებში ისინი ხშირად ჰკილავენ და მკაცრად აკრიტიკებენ მას როგორც რეჟისორს, მსახიობსა და დრამატურგს. ოდესაში მყოფი გიორგი ასე წერდა თავის მამას: „აქ გავიგე, რომ „კავკაზის“ რედაქტორად სტალინსკი სდგება, ისიც მ წლით, იმისი ძმა აქ მეოთხე კურსზეა, იურიდიულ ფაკულტეტზე და ნადლერისთანა ჩანჩურა აქტიორია“-ო⁷⁰.

თუმანიშვილების წერილებიდანვე ვგებულობთ, რომ 1872 წლის 26 აგვისტოს ნადლერს თბილისის თეატრში წარმოუდგენია თავისი პიესა „Страдальны“. კონსტანტინე თუმანიშვილის წერილიდან ჩანს, რომ რეჟისორს ამ პიესის დადგმისათვის წინასწარ მოსკოვში შეურჩევია 30 მსახიობი. აქედან 16 ყოფილა ქალი მსახიობი, 14—მამაკაცი⁷¹.

მიუხედავად ნადლერის ცდისა, როგორც ამას თუმანიშვილების წერილები ვგაუწყებენ, ამ სპექტაკლსაც არ ჰქონია წარმატება.

თუმანიშვილებს არ მოსწონდათ ნადლერის დასის შემადგენლობაც. მიხეილი არა ერთსა და ორ წერილში გამოხატავდა გულისწყრომას ამის გამო და გამოთქვამდა იმედს, რომ ნადლერის შემცვლელი—იაბლოჩკინი რამდენადმე გამოასწორებდა ამ მდგომარეობას.

1873 წ. 6 აპრილს მიხ. თუმანიშვილი უკვე კმაყოფილებით აცნობებს გ. თუმანიშვილს, რომ თბილისში ჩამოვიდა იაბლოჩკინის ახალი დასი, რომელსაც ყველა აღფრთოვანებაში მოჰყავდა.

როგორც მიხეილი ვაღმოგვეცემს, იაბლოჩკინს რუსეთიდან თბილისში ჩამოუყვანია თავისი ცოლი და უფროსი ქალიშვილი ევგენია, მუზილი, არნოლდი, ყურინი და პრავდინი. ნადლერის დასიდან დაუტოვებია: სოკოლოვი, პროტასოვი, ვორონკოვსკი და ბოროდინი⁷².

⁷⁰ იხ. მთ, № 506.

⁷¹ იხ. ქ. თუმანიშვილის მიერ დაწერილი წერილი [1872 წ. აგვისტოს 21-დან 26-მდე].

⁷² იხ. 1873 წ. 6 აპრილით დათარიღებული წერილი.

ახალმა დასმა პირველად თბილისის თეატრში წარმოადგინა იაბლოჩკინა 1-ის რეჟისორობით ოსტროვსკის ცნობილი დრამა «Гроза». როგორც ვასილ თუმანიშვილის წერილიდან ირკვევა, დამსწრე საზოგადოებაზე ამ სპექტაკლს მაინცდამაინც დიდი შთაბეჭდილება არ მოუხდენია. თვით ვასილს მოსწონებია მხოლოდ სოკოლოვი კუდრიამის, ხოლო ეგვენია იაბლოჩკინა ვარვარას როლში⁷⁸.

აღ. იაბლოჩკინი მსახიობ ნილსკისთან ერთად თბილისში ჩამოვიდა მხოლოდ მაისის თვეში და შეუდგა რეჟისორულ მოღვაწეობას. თბილისის საზოგადოება მაინცდამაინც არც იაბლოჩკინით ყოფილა კმაყოფილი. ერთ-ერთი მთავარი მიზეზი კი ამისა ის იყო, რომ მან, როგორც უკვე ითქვა, სამუშაოდან დაითხოვა თბილისელებისათვის ყველაზე საყვარელი მსახიობი სოკოლოვი.

ამ მცირეოდენი მასალის მოტანითაც კი, ვფიქრობთ, ნათელი ხდება, თუ რამდენად საინტერესო ცნობებს გვაწვდის თუმანიშვილების წერილები იმ მსახიობთა და რეჟისორთა შესახებ, რომლებიც 1871—1875 წლებში თბილისის სცენაზე მოღვაწეობდნენ.

ამავე 1871—1875 წლებში, გარდა რუსული დრამატული წარმოდგენებისა და ოპერებისა, დროგამოშვებით ქართველ სცენისმოყვარეთა მიერ თბილისში იდგმებოდა აგრეთვე ქართული წარმოდგენებიც. ამ წარმოდგენების შესახებაც თუმანიშვილების წერილები გარკვეულ ცნობებს გვაწვდის. ასე, მაგალითად, 1872 წ. 5 იანვრით დათარიღებულ წერილში ბაბალე თუმანიშვილი აცნობებს გიორგის, რომ 3 იანვარს თბილისის „არტისტიულ წრეში“ წარმოდგენილი იყო ქართულ ენაზე ორი პიესა: მოლიერის „ძალათ ქორწინება“ და ანტონოვის „ქმარი ხუთი ცოლისა“.

ბაბალეს გადმოცემით, ამ წარმოდგენას აუარებელი ხალხი ესწრებოდა. ყველა განსაკუთრებული გულდასმით უგდებდა ყურს. მსახიობები თამაშობდნენ მონდომებით. განსაკუთრებით გამოირჩეოდა იმერელი ცოლის როლში (ზ. ანტონოვის პიესიდან „ქმარი ხუთი ცოლისა“) დიმიტრი ყიფიანის ქალი ელენე. სპექტაკლის დამთავრების შემდეგ დარბაზში ლეკურიც კი გაუჩაღებიათ.

1873 წ. თებერვალში, იმავე წრეში, დავით ერისთავის რეჟისორობით, ქართველ სცენისმოყვარეთა მიერ წარმოდგენილი იყო ზ. ანტონოვის პიესა „მზის დაბნელება საქართველოში“. ამ წარმოდგენა-

⁷⁸ იხ. ვ. თუმანიშვილის 1873 წ. აპრილით დათარიღებული წერილი.



საც დიდძალი ხალხი დასწრებია. ბაბაღე აღფრთოვანებით სტრეკინის გიორგის, რომ ეს იყო წმინდა პატრიოტული დღესასწაული⁷⁴.

აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდში, კერძოდ, 1875 წ. 4 აპრილს თბილისში მოეწყო პირველი ქართული სალიტერატურო და მუსიკალური საღამო. ამ საღამოში მონაწილეობას იღებდნენ ცნობილი ქართველი მწერლები და საზოგადო მოღვაწეები: ილ. ჭავჭავაძე, აკ. წერეთელი, დ. ყიფიანი, რაფიელ და დავით ერისთავები⁷⁵.

„თბილისის წრე“ გარდა თეატრალური წარმოდგენებისა და ლიტერატურული საღამოებისა⁷⁶, როგორც ეს თუმანიშვილების წერილებიდან ჩანს, დროგამოშვებით მართავდა აგრეთვე ბალ-მასკარადებსაც. ბავშვებისათვისაც კი⁷⁷.

ბაბაღე თუმანიშვილის ერთ-ერთ წერილში ნათქვამია, რომ გ. წერეთელს კერძოდ გაუმართავს ბალ-მასკარადი, სადაც ძალიან საინტერესო ნიღბები ყოფილა⁷⁸.

თუმანიშვილების წერილებივე გვაუწყებენ, რომ ამ წლებში თბილისში არსებობდა კერძო ხასიათის ე. წ. სამიწათმოქმედო საზოგადოება, რომელშიაც მონაწილეობას იღებდნენ ქალებიც. საზოგადოების ყოველი წევრი კითხულობდა ლექციას და შეჰქონდა აგრეთვე ყოველთვიურად 1 მან. საწევრო. ამ საზოგადოებაში, როგორც ამას ბაბაღე თუმანიშვილის წერილში ვკითხულობთ, სიმონოვიჩს წაუკითხავს ლექცია თემაზე „ლამარკისა და დარვინის თეორიის შედარება“, ხოლო ი. მამაცაშვილს, რომლის ბინაზედაც ჩვეულებრივ იკრიბებოდნენ — სოფლის მეურნეობაზე⁷⁹.

როგორც ვხედავთ, მიხეილის, ბაბაღეს, ანასტასიას, გიორგის, ვასილისა და კოტეს მიერ გაგზავნილი წერილები ერთმანეთს ავსებენ, ამდიდრებენ და 1871—75 წლების საქართველოს საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრების საკმაოდ ნათელ სურათს წარმოგვიდგენენ.

შემდგომი წლებისათვის დამახასიათებელ საინტერესო მასალას ვხვდებით გ. თუმანიშვილის წერილებში. ამჯერად უკვე სამშობლოს მოცილებულ ვასილს გიორგი თუმანიშვილი ატყობინებს თბილისში მომხდარ საინტერესო ამბებს. ამ პერიოდის წერილების რაოდენობა

74 იხ. 1873 წ. 16 თებერვლით დათარიღებული წერილი.

75 იხ. 1875 წ. 18 აპრილით დათარიღებული წერილი.

76 იხ. ან. თუმანიშვილის 1875 წ. 25 აპრილით დათარიღებული წერილი.

77 იხ. ბ. თუმანიშვილის 1872 წ. 5 იანვრით დათარიღებული წერილი.

78 იქვე.

შედარებით მცირეა; გარდა ამისა, ცხოვრების დამკვირვებლად ერთი პიროვნება გვევლინება და, ცხადია, მხოლოდ მის წერილებზე დაყრდნობით არ შეიძლება სრული წარმოდგენა შეგვექმნას საქართველოს იმდროინდელ საზოგადოებრივ-კულტურულ ცხოვრებაზე.

მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც მიზანშეწონილად მივიჩნით გ. თუმანიშვილის ამ წერილების გათვალისწინება, რადგან მათში მოცემულია ზოგიერთი საინტერესო ცნობა თუ დეტალი საქართველოს წარსულიდან.

გ. თუმანიშვილის იმდროინდელი წერილები უმეტესად 1877—1879 წლებშია დაწერილი. ამ პერიოდში რუსეთსა და თურქეთს შორის არსებულმა ომმა საქართველოს მშვიდობიანი ცხოვრება დაარღვია.

„უკანასკნელ ხანებში,—წერს გ. თუმანიშვილი 1877 წ. 22 ნოემბრით დათარიღებულ წერილში,—თბილისი ხანდახან იღებს საკმაოდ ნაღვლიან სახესაც. მხოლოდ ისღა ისმის, რომ ვიღაც ოფიცერი მოკვდა ჭრილობებისაგან, ვიღაც მოკლული ოფიცერი ჩამოიყვანეს დასასაფლავებლად თბილისში, ხოლო თბილისის საავადმყოფოები და ჰოსპიტლები სავსეა დაჭრილებითა და ავადმყოფებით“⁷⁹.

ასეთ მძიმე მდგომარეობას არ შეიძლებოდა გარკვეული ზეგავლენა არ მოეხდინა იმდროინდელ საზოგადოებრივ-კულტურულ ცხოვრებაზე. ბუნებრივია, ასეთ ვითარებაში საქართველოს კულტურული ცხოვრებაც მოდუნდა. გ. თუმანიშვილი ერთ-ერთ წერილში გულისტყვივლით აღნიშნავს, რომ თბილისში მოისპო საჯარო ლექციები, სხვადასხვა საზოგადოებათა საინტერესო შეკრებები, სცენისმოყვარეთა წარმოდგენები. ლიტერატურული საღამოები, კონცერტები და ოპერები. გიორგის სიტყვებით რომ ვთქვათ, აღარ არსებობდა თვით ლიტერატურაც კი⁸⁰.

მაგრამ, აი კულტურული ცხოვრების ასეთი საშინელი მოდუნების დროს, 1877 წ. ნოემბერში, თბილისში ხმა დარხეულა, რომ ნიკო ნიკოლაძე რუსული გაზეთის „ობზორის“ გამოცემას აპირებსო. ეს სასიხარულო ამბავი გიორგიმ დაუყოვნებლივ აცნობა მოსკოვში მყოფ ძმას. გ. თუმანიშვილის გადმოცემით, ნიკოლაძეს ქართველ არისტოკრატთა და სომეხ ვაჭართაგან შეუქმნია „ობზორის“ გამომცემელი საზოგადოება. ადმინისტრატორად დაუნიშნავს პ. იზმაილოვი⁸¹.

⁷⁹ იხ. ბ. თუმანიშვილის 1872 წ. 5 მარტით დათარიღებული წერილი.

⁸⁰ იხ. 1877 წ. 22 ნოემბრით დათარიღებული წერილი.

⁸¹ იქვე.

„ობზორი“ პირველ ხანებში უფერული გაზეთი ყოფილა. უხედავად იმისა, რომ ამ გაზეთში თანამშრომლებად მიწვეულნი იყვნენ საპატიო სახელის მქონე ჟურნალისტები, მაინც „ობზორს“ მხოლოდ 400 ხელისმომწერი ჰყავდა⁸². გ. თუმანიშვილის ის წერილი, რომელიც გაზ. „ობზორს“ ეხება, ვფიქრობთ, გვაწვდის რამდენადმე საგულისხმო დეტალს ამ გაზეთის ისტორიის შესწავლისათვის.

გარდა ამისა, გ. თუმანიშვილის წერილები შეიცავენ ზოგიერთ საყურადღებო ცნობას გასული საუკუნის საქართველოს თეატრალური ცხოვრებიდან.

1879 წ., როგორც ცნობილია, ქართველი ინტელიგენციის მათ შორის გ. თუმანიშვილის, თაოსნობით თბილისში დაარსდა მუდმივი ქართული დასი, რომელმაც ქართული კულტურის კერძოდ, ქართული თეატრის განვითარების ისტორიაში დიდი როლი შეასრულა. ამ დასის შესახებ ზოგიერთ ცნობას გ. თუმანიშვილის 1879 წ. დათარიღებული წერილები გვაწვდის. „აქაურმა ქართველმა სცენისმოყვარეებმა,—სწერს გ. თუმანიშვილი 1879 წ. 31 იანვარს ვასილს,— ბეჯითად მოჰკიდეს ხელი მუდმივი დასების შედგენას და ტანსაცმლის შეძენის მიზნით ხშირად დგამენ წარმოდგენებს. ღირეჭტორად დანიშნულია დავ. ერისთავი, მის ამხანაგად—ნ. ავალოვი, განმკარგულებლად—ნოდ. ჯორჯაძე, გაამპარტავნებულ მოყვარულთა ვნებების ასალაგმავად, კრებების თავმჯდომარედ—მე. რომელიც ყოველთვის ვცდილობ შევიარაღდე სიმშვიდითა და პირუთვნელობით“.

შემდეგ წერილებში გ. თუმანიშვილი უკვე აცნობებს ვასილს, თუ როგორი დიდი წარმატებით იდგმებოდა ქართული წარმოდგენები თბილისსა თუ პროვინციაში⁸³.

დაახლოებით ასეთია ჩვენს მიერ გამოსაცემად შერჩეული თუმანიშვილების წერილების მნიშვნელობა.

ვფიქრობთ, რომ ამ წერილების სახით ჩვენ საქმე გვაქვს ისეთ მასალასთან, რომელიც რამდენადმე შეავსებს ჩვენს წარმოდგენას 70-იანი წლების საქართველოს საზოგადოებრივ-კულტურულ ცხოვრებაზე.

თუმანიშვილების წერილების ტექსტს ვაქვეყნებთ სრულად. გარდა მიხეილის ორი და ვიორგის ერთი წერილისა, რომლებიდანაც გამოტოვებული გვაქვს ორიოდე გამოთქმა, რაც ტექსტში მრავალწერტილითაა აღნიშნული.

წერილების დაწერის თარიღი, რომლებიც ჩვენს მიერაა დადგენილი, კავებშია მოთავსებული.

⁸² იხ. 1878 წ. 16 იანვრით დათარიღებული წერილი.

⁸³ იხ. 1879 წ. 16 მარტითა და 12 ივლისით დათარიღებული წერილები.

09820984

მისივე თუზანოვსკის წერილები¹

1

Тифлис, 22 сентября 1871 г.

Любезный Георгий!

Шах-парунов² привёз твои письма и посылку и мы ему обрадовались, как одному из свидетелей и очевидцев твоего житья-бытья в Одессе. Ты пишешь о твоём предположении переменить квартиру³ и я вижу, что ты решаешься на это по необходимости, но было бы желательно, чтобы ты избегал частых перемен в этом роде, которые хуже всего. Удивляюсь и опять удивляюсь, что и до 8-го сент. моих трёх писем ты не получал; насчёт 2-х отправленных из Абастумана я уже принял меры, вследствие которых ты их, вероятно, уже получил или получишь⁴, если же нет—то напиши мне. Орбели⁵, вероятно, передал тебе все отправленные нами⁶ и притом рассказал подробно о нас. После того я распорядился об открытии тебе денежного кредита в Одессе через г. Еренчука⁷ и писал тебе о том по почте, 15-го сент.⁸ Очень рад, что ты на этот счёт уже успокоен и обеспечен. После долгих экзаменов, наконец разрешился великий вопрос насчёт Кости и Васи: первый принят во 2-й, а последний — в 3-й класс реальн. гимн. Вася оказался слабым, в особенности в русском и армянском языках и вообще мало подготовленным для 4-го класса, а поэтому мы, по совещании с г.г. Пенчинским⁹ и Иваненко¹⁰, при участии Нодара¹¹, решили отдать его в 3-й класс. Если он не бросит своей лени и распушенности, это даже послужит ему в пользу потому, что ему придётся этот год не голову себе ломать, а повторять уже пройденное, чтобы вступить потом в 4-й класс при наилучших условиях. Ты описываешь мне подробно начатое тобою слушание лекций¹². Из твоих слов вижу, что

4. სარქივო მასალები

как будто ты колеблешься ещё, выбрать ли тебе юридический факультет¹³. Кажется, мы довольно переговорили с тобой по этому вопросу и остановились именно на этом факультете — как самом жизненном, могущем приготовить человека для всех поприщ — и служебных и общественных и притом с верными и прочными задатками для правды, справедливости и добра, в каковых деятелях нуждается и служба и общество. Вопросы о выборе, мне кажется, не должно быть. Естественные науки только для так называемых любителей, которые так и останутся навсегда любителями в роде Гриши¹⁴, без прямого применения их специальности к поприщу гражданина — гражданина в том смысле, в каком желательно нам всем тебя видеть. Видно, ты поддался первому сильному впечатлению: тебя увлекла высокоуважаемая личность профессора и самый интерес науки, во всяком случае неоспоримый. Но сухость первого чтения не должна тебя охладить к раз избранному предмету. Надеюсь, что тот мир (я говорю об области юридических знаний), который перед тобою раскроется, всё дальше и дальше, оставит все за собой по своему высокому жизненному интересу и достоинству. Впрочем, не знаю, не хочешь ли ты первый университетский год посвятить слушанию лекций по всем предметам — по мысли, высказанной Авгаром Орбели (помнишь, в Абастумане). Это, может быть, было бы недурно. Я жду уведомления об окончательном твоём решении.

В настоящую минуту Государь¹⁵ в Тифлисе, чрезвычайно милостиво настроенный. От дворянства принял благосклонно адрес о необходимости расширения воспитательных средств в крае (не называя, каких; дворяне предоставляют самому Великому князю¹⁶ всякое ходатайство в этом отношении); вчера вечером удостоив своим присутствием обед, данный дворянством же в летнем театре¹⁷, пил за здоровье дворян и тут же пожаловал губернск. предводителя князя Реваза Андроникова¹⁸ в генерал-адъютанты. Награды по военной части крупные и неожиданные; князь Григ. Дмитриев. Орбелиани¹⁹ пожалован орденом Св. Андрея, дивизионный Иосиф Тарханов²⁰ — генерал-адъютантом, полковые командиры: князь Амилахваров²¹, Гурчин²² и князь Голицын²³ — флигель-адъютантами. Награды продолжают. По гражданской части пока ещё ничего и никому. Сегодня в Муштаиде²⁴ большой бал от городских обществ. Завтра Государь едет в Караязы²⁵ на охоту, а послезавтра выезжает в Боржом. Напиши обо всем подробнее в воскресенье.

Будь весел и здоров, мой дорогой Георгий.

Остаюсь любящий тебя

Михаил²⁶

Тифлис. 29-го сент. 1871 (среда).

Любезный Георгий!

Возвращаюсь к тому-же, о чём я беседовал с тобой в письме от 22-го числа. Хорошо выбирать что-либо по **сердцу**, но ещё лучше по **рассудку**. Думая и переговаривая долго, мы с тобой рассудили за лучшее, остановиться на науке права. Это, конечно, не по какому-нибудь меркантильному расчёту, а по убеждению в действительной пригодности этой науки для жизни. Чтобы ни говорили идеалисты, а действительность прежде всего. При юридической подготовке открыто всякое поприще: и административное и судебное и общественное и, повторяю, не для личных материальных целей, а для того, чтобы приносить пользу своим согражданам. Будет весьма прискорбно, если ты отступишь от принятого раз решения. Я теперь даже против мысли, чтоб первый год слушать тебе лекции по **всем предметам**. Боюсь, чтоб от этого не вышел сумбур. Начни тотчас же с юридических наук и всецело предайся им. О значении и пользе этих наук, в смысле применения их ко всем сторонам практической жизни, ты встретишь несколько дельных мыслей в «Правительственном Вестнике»²⁷, № 219, на обороте, в корреспонденции из Ярославля²⁸, которую советую тебе прочитать. Юридический факультет ещё тем полезнее, что он по относительной лёгкости своей и по относительно меньшему времени им требуемому, оставит тебе побольше досуга для чтения и изучения других, не только также нужных, но и любимых предметов. Таким образом, я сильно, сильно заинтересован твоим факультетом. Я жду дальнейших от тебя известий по этому предмету. Нет ли у вас печатной программы по всем факультетам и если есть, то перешли мне один её экземпляр, для моего сведения²⁹.

Я очень рад, что ты принялся серьёзно за французский язык³⁰. Если ты нуждаешься в книгах большего объёма, как напр., диксионеры по разным отраслям наук и знаний и они тебе недоступны по своим финансам, то напиши мне: на их покупку я ассигную особую сумму.

Мы все здоровы и веселы,—веселы и рады, в особенности получая от тебя письма вполне нас успокаивающие насчёт твоего здоровья и расположения духа. Продолжай оставаться также здоровым и пиши нам также аккуратно. Я доволен твоим слогом, сжатым, без вычур и без лишнего красноречия.

Мамаша ждёт от тебя, по твоему обещанию, особого — описания твоей новой кельи.

Государь¹⁵, на третий день своего пребывания в Тифлисе, в среду, 22-го числа, был на бале, данном городом в саду Муштаиде²⁴. Что за великолепие, что за волшебство вечера! Устройство и угощение обошлись до 60-ти тысяч рублей. Язон³¹ рисовался в своём камергерском мундире, как хозяин бала, но, к несчастью, он на другой день получил горестное известие о смерти в Сальянах³² брата его, Александра³³, мужа нашей Мелании³⁴ — сестры Нико³⁵.

В четверг Государь ездил на охоту в Караязы²⁵; в пятницу — целый лишний день противу маршрута оставался ещё в Тифлисе, осматривая разные учреждения и делая визиты Принцам персидским³⁶, а вечером побывал в театре, где шли «Птички певчие»³⁷ и 3-е действие оперы «Эрнани»³⁸.

В субботу же утром, в 8-мь часов, Государь выехал в Боржоми, в воскресенье — в Кутаис, а вчера — во вторник — в Крым. Всё время пребывания его в Тифлисе погода стояла великолепная; он был необыкновенно весел, всем доволен и ко всем приветлив. Наследник³⁹ обещался не на эту, а на зиму будущего года приехать и жить в Тифлисе с семейством. По-сылаю при этом, на особом листочке список некоторых из главных наград⁴⁰. Второстепенные, хотя также подписаны, но ещё не объявлены. О них после. Списочек составляла Тасо, которая, даже против собственного ожидания, сделалась вдруг писательницей⁴¹. Поздравь её с этим громким титулом. Одной Цебриковой⁴² больше на Руси.

Если ты не был ещё у Андреевских⁴³, то непременно побывай у них и передай им о новостях из Тифлиса, которыми они будут весьма интересоваться. Петру Григорьевичу⁴⁴ мой поклон. Его родные⁴⁵ все здоровы.

До свидания, опять и опять будь здоров и весел и побереги себя во всём. Целуем и обнимаем тебя сто раз.

Твой любящий отец

Михаил.

Письма от сестриц и братьев до следующего раза.

Любезный Георгий!

Получили мы твоё письмо от 6-го окт.⁴⁶ — ровно спустя две недели после предыдущего от 22-го сент.⁴⁷ А у нас, кажется, условлено было писать еженедельно. Оттого запазды-

вание твоих писем нас обыкновенно несколько тревожит. Пиши пожалуй хоть через 10, 15 дней,—только чтоб мы знали о том, чтобы не предаваться напрасным ожиданиям. Нам, конечно, приятно иметь от тебя почаще письма о твоём здоровье, о твоём житье-бытье; но в самом деле, нельзя и требовать, чтобы ты упражнялся только в письмах. Я вижу, что ты переписываешься и с товарищами в Петербурге и Тифлисе.

ეს კი, მე მგონია, მომეტებული იყოს: ჯერ ამაგების დრო არ არის,— დროს გაუფრთხილდი და დაზოგე,—უფრო შენს საჭირო სწავლაზე გამოიყენე. რალა გეხვეწო, ფრანციკულს დაეჩქარე, თორემ მერმე გვიანლა იქნება. ეს ენა მარტო კითხვისათვის არ არის: უმაგისოდ, ეხლანდელს დროში, ვერსად იოლად ვერ წახვალ—ვერც საზოგადოებაში, ვერც მგზავრობაში (напр. в Европе). Очень полезно в том отношении, как ты нам писал, бывать почаще в французском театре. Варенька ждёт от тебя описания французских спектаклей по французски и отчёта не только об игре артистов, но и о содержании пьес. К нам также ожидается зима, но в блестящей солнечной одежде. Днём гуляешь — не нагуляешься; по длинным вечерам концерты: спектакли, чтение. Гостил в Тифлисе Венявский⁴⁸ с превосходной своей скрипкой; на 2-х и 3-х его концертах публики тьма, на 4-м, как водится, никого, и он исчез. Побывал у нас и граф Соллогуб⁴⁹, поставил у нас одну живую картину со стихами. Теперь героем дня у нас молодой лектор, доктор медицины кн. Тарханов⁵⁰. Он начал ряд лекций в артистическ. кружке⁵¹. Программу при этом посылаем. Варенька пишет тебе о нём подробнее. Настя так и бредит до сих пор разрезанными лягушками. Вася и Костя покуда очень усердны. Вася с циркулем в руках просиживает иногда до полуночи. Дяденька Александр⁵² и все наши родственники и знакомые тебе кланяются... ამ ფომტით გიგზავნი კრებულს⁵³, დროგზას⁵⁴ და ერთ ნომერს კავკას⁵⁵. სადაც სალაგუბის აღლა-ვერდი დაბეჭდილია⁵⁶. მეორე გზით დედა აპირებს გამოგზავნას მურაბეებისას.—მე საჭირო ვიქნები, რომ მოვიდე, გნახო თუ არა, — ეხლა უფრო ცოტა მოცლით ვარ.

Узнай от себя и дай мне знать: существует ли у вас в Одессе отставной дипломат, тайный советник Константин Михайлович Базили⁵⁷ и какое он положение занимает, семейный или несемейный⁵⁸. Мой искренный поклон уважаемому Петру Григорьевичу⁴⁴.

Любящий тебя отец

Михаил.


31 октября, 1871 г., Тифлис.

Милый мой Георгий, мы вчера получили от тебя письмо (от 18-го числа)⁵⁹. Bravo тебе, что ты никого не забыл и подарил каждому по листочку. Вот что говорится — всем сёстрам по серьгам. Только Настя сильно негодует на тебя за то письмо, за выражения, критикует, вообще, твои воззрения на вещи и вместе с этим пишет тебе возражения. Предвижу, что между вами возгорится ожесточенная бумажная война; кому же из вас достанется поле сражения, Аллах ведаёт...

Мамаша довольна твоим письмом и радуется, что ты не забываешь родного языка, на котором и, вообще, на поприще родной литературы она ждёт с твоей стороны блестящих успехов. Только она заметила одно: იწერები შენი „მოყვარე“ შეილიო, მაშინ, როდესაც ჩვენში მოყვარეს მძახლებს ვეტყვითო, ესე იგი იმათ, ვისაც და ვუ მოყვრ დებითო, ანუ ვინც და გვი მოყვრ დებაო; დედას უნდა მოჰსწერო ხოლმეო, როგორც ქართულში არის მიღებული: თქვენი პატივისმცემელი ანუ მორჩილი შეილიო.

16. Великий князь — მიხეილ ნიკოლოზის ძე — მეფისნაცვალის კავკასიაში 1862—1881 წლებში.

17. თბილისის საზაფხულო თეატრი, რომელიც აშენდა 1870 წ. არქიტექტორ ზალცმანის პროექტის მიხედვით, მდებარეობდა მტკვრის მარჯვენა ნაპირას, ბარიათინსკის, ახლანდელი

ჯორჯიაშვილის, ქუჩის მახლობლად, აქ, სადაც წინათ ე. წ. „საინჟინერო უწყების ბაღი“ იყო (იხ. ცსსა, ფ. 482, საქმე № 3) 

18. Реваз Андроников — რევაზ ივანეს ძე ანდრონიკაშვილი (1818—1878)—1848 წ. — პოლკოვნიკი; 1854 წ. — გენერალ-მაიორი; 1859 წ. — ლეკთა კორდონის ჯარის მეთაური; 1871 წ. — გენერალ-ადიუტანტი, შემდეგში — თბილისის გუბერნიის თავად-ახნაურთა წინამძღოლი (იხ. ვეიდენბაუმი, კარტოთეკა, „КК на 1849 г.“ გვ. 67, „КК на 1871 г.“, გვ. 26, „КК на 1873 г.“ გვ. 26, 27, 119).

19. Григ. Дмитриев. Орбелиани — გრიგოლ დიმიტრის ძე ორბელიანი (1800—1883)—ცნობილი ქართველი პოეტი.

20. Иосиф Тарханов — იოსებ დავითის ძე თარხნიშვილი — გენერალ-ლეიტენანტი, კავკასიის გრენადერთა დივიზიის მეთაური (იხ. Козу́бский Е. И., Памятная книжка Дагестанской области, Темир-Хан-Шура, 1895, გვ. 92; „КК на 1872 г.“, გვ. 44).

21. Амилахваров — ივანე გივის ძე ამილახვარი (1822—1905) — ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკის მეთაური; 1871 წ. 19 სექტ. ალექსანდრე მეორისგან ებოძა ფლიგელ-ადიუტანტობა (იხ. „К“, 1871, № 110), შემდეგში — გენერალი (იხ. Потто, В., Иван Гивич Амилахваров, Тиф., 1900).

22. Гурчин — ალექსანდრე ბიკენტის ძე გურჩინ II — მისი უდიდებულესობის მე-13 ლეიბ-გვარდიის გრენადერთა პოლკის მეთაური, შემდეგში — პოლკოვნიკი (იხ. „КК на 1871 г.“, გვ. 133, „К“, 1871, № 116).

23. Голицын — გრიგოლ სერგის ძე გოლიცინი — პოლკოვნიკი, დიდი მთავრის კონსტანტინე ნიკოლოზის ძის გრენადერთა მე-14 ქართული პოლკის მეთაური (იხ. „КК на 1871 г.“, გვ. 133).

24. Муштаид — ამჟამად ორჯონიკიძის სახ. კულტურისა და დასვენების პარკი — მდებარეობს „დინამოს“ სტადიონთან, პლენხანოვის პროსპექტის გაგრძელებაზე. ამ პარკს საფუძველი XIX ს. პირველ ნახევარში ჩაეყარა. გადმოცემის თანახმად, ეს ბაღი ეკუთვნოდა სპარსელ სასულიერო მოღვაწეს, მირფეტა მუშტაიდს, რომელსაც ცოლად ქართველი ქალი ჰყავდა. მუშტაიდმა გაიყვანა აქ გვირაბი და სარწყავი არხი. შემდეგში მან ეს ბაღი სახელმწიფოს მიჰყიდა. მთავრობის მიერ აქ აშენებულ იქნა საზაფხულო

თეატრი და რესტორანი. ბალი რევოლუციამდე მუშტაილის სახელს
ატარებდა.

25. Караяз — ამჟამად გარდაბანი. გარდაბნის რაიონის
ცენტრი.

26. წერილის პირველი, მეორე და მესამე გვერდი გადახა-
ზულია ფანქრით შემდეგ წინადადებამდე: „Ты описываешь мне
подробно начатое тобой слушание лекций“. წანაშალის შემდეგ
გ. თუმანიშვილს ფანქრითვე მიუწერია: „Тифлис, 22 сентября,
1871 г.“, შემდეგ იგი განაგრძობს: „Любезный Георгий.“ იმავე
გვერდის ზედა კიდეზე გ. თუმანიშვილისავე ხელით ფანქრით წე-
რია: „Письма М. Г. Туманова к сыну Г. М. Туманову“; ფრჩხი-
ლებში შავი მელნით: „Приводятся в извлечений.“ იმავე გვერ-
დის ქვედა კიდეზე შავი მელნითვე გ. თუმანიშვილის ხელით წე-
რია: „Письма эти посланы в бытность сына в Одессе, в Но-
вороссийском университете“; მე-5 გვერდის ქვედა კიდეზე ვკი-
თხულობთ შავი მელნით დაწერილ სქოლიოს, რომელიც განმარტავს
სიტყვას „профессора“:

„В то время в Одессе преподавали известные профессора:
Сеченов, Мечников и другие естествоиспытатели“; მე-6 გვერდზე,
ქვევით, ორბელის განსამარტავად ფანქრით წერია: „Бывший то-
вар. прок. Тифл. Суд. Палаты, в то время студент Петерб.
университета“; უკანასკნელი გვერდის შემდეგი სტრიქონები: „На-
пишем об этом подробнее в воскресенье. Будь весел и здоров,
мой дорогой Георгий“ ფანქრით გადახაზულია.

როგორც ჩანს, გ. თუმანიშვილს განზრახული ჰქონია მიხეილ
თუმანიშვილის წერილების გამოცემა.

27. „Правительственный Вестник“ — ყოველდღიუ-
რი გაზეთი. გამოდიოდა პეტერბურგში 1869—1917 წლებში. გა-
ზეთში იბეჭდებოდა მთავრობის განკარგულებები, დეკრეტები სა-
ზღვარგარეთიდან და სხვადასხვა ცნობა.

28. 1871 წლის „პრავეტ. ვესტ.“-ში (№ 219) მოთავსებულია
ხელმოუწერელი კორესპონდენცია „Ярославские Губернские ве-
домости“, რომელშიაც გადმოცემულია იაროსლავის ლიცეის დირექტორის — მ. მ. კაპუსტინის მიერ წაკითხული ლექციის „ლი-
ცეის მატეანის“ მოკლე შინაარსი.

29. 1871 წ. 18 ოქტომბერს გ. თუმანიშვილი უგზავნის მამას
თავისი ხელით გადაწერილ სასწავლო პროგრამას იურიდიული
ფაკულტეტისათვის. როგორც გ. თუმანიშვილის წერილიდან ჩანს,

სტუდენტებს დაბეჭდილი პროგრამები ჯერ კიდევ ხელთ არ ჰქონიათ (იხ. მთ, № 506, 13r—14v).

30. გ. თუმანიშვილი ოდესაში ჩასვლისთანავე შეუდგა სეროიზულ მეცადინეობას ფრანგულ ენაში. ამ ხანებში იგი კითხულობდა ფრანგულ ენაზე სვიფტის „გულივერის მოგზაურობას“ (იხ. მთ, № 835, 7 v).

31. Язон — იასონ დიმიტრის ძე თუმანიშვილი — სტატსკი გენერალი; 1863—1867 წლებში — თბილისის თეატრის დირექტორი; 1870—1875 წლებში — ქალაქის თავი. მის დროს დაარსდა თბილისში სახელოსნო სასწავლებელი. გარდაიცვალა 1883 წ. (იხ. „Словарь Кавказских деятелей“, Тиф. 1890, გვ. 71; „КК на 1853 г.“ გვ. 503; „КК на 1871 г.“, გვ. 9,28).

32. Сальяны — ქალაქი, აზერბაიჯანის სალიანის რაიონის ცენტრი, ნავთსადგური მტკვრის მარჯვენა ნაპირზე.

33. Александр — ალექსანდრე დიმიტრის ძე თუმანიშვილი (განცხადება მისი გარდაცვალებისა და პანაშვილის შესახებ იხ. „К“, 1871, № 114).

34. Мелания — მელანია მირიმანოვა-თუმანიშვილისა — მიხ. თუმანიშვილის ბიძაშვილის შვილი დედის — ანა ათანასეს ას. მირიმანოვას მხრიდან (ცნობა მოგვაწოდა გ. თუმანიშვილის შვილმა — ელისაბედ თუმანიშვილმა).

35. Нико — ნიკოლოზ მირიმანოვი — მიხ. თუმანიშვილის ბიძაშვილის შვილი დედის მხრიდან. „არტისტიული წრის“ ერთ-ერთი მამასახლისი, კავკასიის მუსიკალური საზოგადოების წევრი (იხ. „К“, 1871, № 86).

36. თბილისში ამ დროს იმყოფებოდნენ სპარსეთის ელჩი ხამზა-მირზა — ეშმეტიდოულე და ხერსონის ჯარის მთავარსარდალი აბდულა-მირზა, რომლებიც თბილისში ჩამოვიდნენ თავიანთი ამალით 1871 წ. 16 სექტემბერს (იხ. „К“, 1871, № 109).

37. „Птички певчие“ — ფრანგულიდან გადმოკეთებული ორმოქმედებიანი ოპერეტა, მუსიკა ოფენბახისა.

38. „Эрнани“ — ვ. ჰიუგოს ნაწარმოები, ა. ს. როტჩევის თარგმანი, ოთხმოქმედებიანი ოპერა, მუსიკა ვერდისა.

39. Наследник — ალექსანდრე III ალექსანდრეს ძე — რუსეთის იმპერატორი 1881—1894 წლებში.

40. დაჯილდოებულ პირთა სია თუმანიშვილების არქივებში არ ჩანს.



41. 1871 წელს, როგორც ამაზე მიგვითითებს ანასტასის ერთ-ერთი წერილი (იხ. გვ. 105), მას დაუწყია მოთხრობების წერა და თარგმნა ფრანგული ენიდან.

42. Цебрикова — მარიამ კონსტანტინეს ასული ცებრიკოვა (1835—1917) — რუსი მწერალი ქალი, დემოკრატი; თანამშრომლობდა ჟურნალებში: „ოტჩესტვენიე ზაპისკი“, „დელო“, „რუსკოე ბოგატსტვო“ და სხვ. 1889 წ. ლონდონში მან გამოაქვეყნა „Письмо императору Александру III“, რომელშიაც იგი მკაცრად აკრიტიკებდა ცარიზმის პოლიტიკას. ამ წიგნის გამო ცებრიკოვა გადაასახლეს ვოლოგდის გუბერნიაში. 90-იან წლებში ცებრიკოვამ ჟენევაში გამოსცა ბროშურა „Каторга и ссылка“.

43 Андреевские — ცოლ-ქმარი ანდრეევსკები: ერასტი სტეფანეს ძე ანდრეევსკი და ბარბარე გიორგის ას. თუმანიშვილი. ე. ანდრეევსკი იყო მედიცინის დოქტორი, გრაფ მ. ს. გორონცოვის შინა ექიმი. ანდრეევსკი ისე დაუახლოვდა გორონცოვს, რომ, როდესაც ეს უკანასკნელი კავკასიის მეფისნაცვლად დანიშნეს, ისიც გადმოჰყვა მას თბილისში საცხოვრებლად. 1847 წ. ანდრეევსკი დროებით მართავდა საექიმო ნაწილს კავკასიაში. გორონცოვის კავკასიიდან წასვლის შემდეგ გადასახლდა ოდესაში.

ბარბარე გიორგის ას. თუმანიშვილი მ. თუმანიშვილის ახლო ნათესავი იყო. ერთხანს ბარბარე გ. ერისთავის დასში მუშაობდა. იგი იყო წევრი წმ. ნინოს სახელობის ქალთა საქველმოქმედო საზოგადოებისა. როდესაც ე. ანდრეევსკი ოდესაში გადავიდა საცხოვრებლად, ბარბარეც თან გაჰყვა ქმარს (იხ. აკ. წერეთელი, ჩემი თავგადასავალი, თბ., ტ. 1, 1930, გვ. 61—65; Зиссерман, А. А., 25 лет на Кавказе, II, 1879, I, გვ. 124—126; Филипсон, Г. Н. Воспоминания, „РА“, 1894, II); „КК на 1849 г.“, გვ. 45; ვეიდენბაუმი, კარტოთეკა).

44. Петр Григорьевич — პეტრე გრიგოლის ძე მელიქიშვილი (1850—1927) — ცნობილი ქიმიკოსი, სსრკ მეცნ. აკადემიის წევრ-კორესპონდენტი. უმაღლესი ცოდნა მიიღო ოდესაში, ნოვოროსიის უნივერსიტეტში. მელიქიშვილი იყო თბილისის უნივერსიტეტის დაარსების ერთ-ერთი ინიციატორი და მისი პირველი რექტორი (იხ. პ. მელიქიშვილი, ჩემი ცხოვრება, ე. „ქართ. მწერლობა“, 1927, № 5; პეტრე გრიგოლის ძე მელიქიშვილი. ცხოვრება და შრომები, კრებული, თბ., 1941; ქართველი მეცნიერები, კრებული, თბ., 1951; რ. ნიკოლაძე, ორი მეგობარი, „მე.“, 1944, № 1—2).



45. პეტრე მელიქიშვილის მამა — გრიგოლ მელიქიშვილი (1805—1890) თავის დროისათვის მეტად განათლებული პირი იყო. მის ოჯახში თავს იყრიდნენ იმდროინდელი საზოგადო მოღვაწეები და მწერლები: ილ. ჭავჭავაძე, აკ. წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, გ. წერეთელი, ბესარიონ და ნიკო ლოლობერიძეები, ს. მესხი და სხვ. გრიგოლის ინიციატივით მისმა უფროსმა ვაჟიშვილმა — სტეფანემ დაარსა ქართული სტამბა (იხ. პეტრე გრიგოლის ძე მელიქიშვილი. ცხოვრება და შრომები, კრებული, თბ., 1941, გვ. VI; ქართველი მეცნიერები, კრებული, თბ., 1951, გვ. 119).

46. გ. თუმანიშვილის 1871 წ. 6 ოქტომბრით დათარიღებული წერილი იხ. მთ, № 835, 11—12v.

47. გ. თუმანიშვილის 1872 წ. 22 სექტემბრით დათარიღებული წერილი იხ. მთ, № 835, 9—10v.

48. Венявский — პნრიკ ვენიავსკი (1835—1880) — ცნობილი პოლონელი კომპოზიტორი და მევიოლინე. დიდი წარმატებით მართავდა კონცერტებს ევროპის ქვეყნებში; 1860—1872 წლებში რუსეთის მეფის კარის სოლისტი და ამავე დროს (1862—1868) პეტერბურგის კონსერვატორიის პროფესორი; 1875—1877 წლებში — ბრიუსელის კონსერვატორიის პროფესორი. სიცოცხლის უკანასკნელ წლებში მოღვაწეობდა რუსეთში. გარდაიცვალა მოსკოვში (იხ. Ямпольский, И., Генрик Венявский (к столетию со дня рождения), „Советская музыка“, 1935, № 121).

ვენიავსკი თბილისში ჩამოვიდა 1871 წ. მისი უკანასკნელი კონცერტი შედგა 1871 წ. 8 ოქტომბერს (იხ. „ჩ“, 1871, №№ 115, 118, 120).

49. Соллогуб — ვლადიმერ ალექსანდრეს ძე სოლოგუბი (1813—1882) — ცნობილი რუსი მწერალი. ლიტერატურული მოღვაწეობა დაიწყო მე-19 ს. 30—40-იან წლებში. ამავე დროს იგი მუშაობდა ჯერ საგარეო, ხოლო შემდეგ — საშინაო საქმეთა სამინისტროში.

1851 წ. კავკასიის მეფისნაცვლის მ. ს. ვორონცოვის ბრძანებით სოლოგუბმა დაიწყო მუშაობა თბილისის თეატრის დირექციაში. სოლოგუბის იუმორისტული ვოდევილები თბილისის სცენაზე ხშირად იდგმებოდა, ხშირად ბეჭდავდა აგრეთვე იგი გაზ. „კავკასში“ თეატრალურ თუ ლიტერატურულ რეცენზიებს. 1855 წ., როდესაც თბილისში ახალი მეფისნაცვალის მურავიოვი ჩამოვიდა, სოლოგუბმა დატოვა თბილისი და საცხოვრებლად პეტერბურგში

გადავიდა (იხ. Белинский, В. Г., Тарантас. Путевые впечатления. Сочинение гр. В. А. Соллогуба. Собр. соч. в трех томах, т. 2, М., 1948; Добролюбов, Н. А., Сочинение гр. В. А. Соллогуба, Собрание соч. в шести томах, т. I, М., 1934; „Театр в Тифлисе с 1845—1856 год“, Тифлис, 1888, გვ. 63, 72—75, 79, 87, 89, 91, 96, 97, 99, 103—105, 110, 113, 131, 140, 178).

1871 წ. შემოდგომაზე სოლოგუბი კვლავ ეწვია თბილისს, სადაც მან 10 ოქტომბერს წარმოადგინა თავისი ნაწარმოები „ალავერდი“ (იხ. „К“, 1871, № 119).

50. Тарханов — ივანე რამაზის (რომანის) ძე თარხნიშვილი (1846—1908)—ცნობილი ფიზიოლოგი, ი. მ. სეჩენოვის მოწაფე. 1869 წ. დაამთავრა საექიმო-ქირურგიული აკადემია. 1877—95 წლებში—პროფესორი. 1895 წლიდან ლექციებს კითხულობდა პეტერბურგში (იხ. Эристави, К. Д. и Семеновская, Е. М., И. Р. Тархнишвили. Жизнь, научная и общественная деятельность, Тб., 1935; ქართველი მეცნიერები, კრებული, თბ., 1951, გვ. 67—87).

1871 წ. შემოდგომაზე თარხნიშვილი ჩამოვიდა თბილისში, სადაც მან წაიკითხა რამდენიმე პოპულარული ხასიათის ლექცია ფიზიოლოგიიდან. თარხნიშვილის ლექციებმა დიდი გამოხმაურება პოვა იმდროინდელ პრესაში, დაიწერა მრავალი რეცენზია, მათ შორის გ. წერეთლისაც (იხ. „დრ“, 1871, №№ 42, 45; „К“, 1871, №№ 129, 141 და სხვ.).

51. გასული საუკუნის 70-იან წლებში ე. წ. „არტისტიული წრე“ (შემდეგში „თბილისის წრედ“ წოდებული) ქართველი ხალხის კულტურულ ცხოვრებაში დიდ როლს ასრულებდა. ამ წრის უშუალო ინიციატივით თბილისში ხშირად ეწყობოდა საჯარო ხასიათის ლექციები, დილა-სალამოები, მასკარადები და, საზოგადოდ, ყველა სახის კულტურული გასართობი.

წრის წევრები იყვნენ: ვლ. აბაშიძე, ნ. ავალიშვილი, დ. ბართაშვილი, ვ. ელიოზიშვილი, ვ. თარხნიშვილი, ვ. თულაშვილი და სხვ.

52. Дяденька Александр—ალექსანდრე რევაზის ძე თუმანიშვილი — მიხეილ თუმანიშვილის ბიძაშვილი და მეგობარი (იხ. მ. ხელთუბნელი, სალიტერატურო საზოგადოებრივი წარსულიდან, 1938, გვ. 206).

53. კრებული — „კრებული. ახალი სალიტერატურო ჟურნალი“—გამოდიოდა 1871—1873 წლებში ყოველთვიურად; რედგამომც.—გ. წერეთელი.

54. დ რ ჳ ე ბ ა — „დროება. საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი“—გამოდიოდა 1866—1885 წლებში; რედაქტორები: გ. წერეთელი (1866—1869, 10 აპრ.); ს. მესხი (1869, 11 აპრ.—1873); კ. ლორთქიფანიძე (1873, 8 ოქტ.—1874, 3 ოქტ.); ს. მესხი (1874, 4 ოქტ.—1880); ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი (1880—1881); ს. მესხი (1882); ივ. მაჩაბელი (1883—1885).

55. კ ა ვ კ ა ზ ი — „Кавказ, еженедельная газета“ — გამოდიოდა 1846—1918 წ. თებერვლის ნახევრამდე; რედაქტორები: ო. კონსტანტინოვი (1846—1851); ნ. სლივიცკი (1852—1853); ვერდერევსკი (1854—1856); ნ. ბერძენოვი (1856 წ. ბოლო), თ. ბობილევი (1857—1859); ბაბილიოვი (1860—1863), ე. შვარცი; (1864—1867); პ. სლივიცკი (1868—1871); ე. ს. სტალინსკი (1872—1876); ნ. ვორონოვი და დ. კობიაკოვი (1877—1881), დ. ერისთავი (1882—1884); მ. ტებენკოვი (1885—1890); იუ. ი. შელიუტინი (1891—1897); ვ. ლ. ველიჩკო (1898—1899) და სხვ.

56. იხ. „K“, 1871, № 120.

57. К о н с т ა ნ т и н М и х а й л о в и ч Б а з и л и — დიპლომატი და მწერალი, წარმოშობით ალბანელი ბერძენი. დაიბადა კონსტანტინოპოლში. 1833 წ. მუშაობდა პეტერბურგში, საგარეო საქმეთა სამინისტროში. 1837 წ. მივლინებული იყო ამიერკავკასიაში. 1839 წ. — კონსული სირიასა და პალესტინაში. 1844 წლიდან სიკვდილამდე — გენერალური კონსული ბეირუთში („Переписка Грата с Плежаневым“, III, 279; ვეიდენბაუმი, კარტოთეკა).

58. 1871 წ. 7 ნოემბრით დათარიღებულ წერილში ბაზილის შესახებ გ. თუმანიშვილი ასეთ ცნობებს აწვდის მამას: „Базили в думе; у него дочери с усами“ (იხ. მთ, № 835, 18v).

59. გ. თუმანიშვილის 1871 წ. 18 ოქტომბრით დათარიღებული წერილი იხ. მთ, № 835, 13r—14 v.

60. С к а н д е л и — ნიკო ნიკოლაძე (1843—1928) — ცნობილი საზოგადო მოღვაწე, პუბლიცისტი და კრიტიკოსი (იხ. ნ. ნიკოლაძის თხზულებანი, ტ. II, თბ., უნივერსიტეტის გამოცემა, 1962 წ.).

61. „Дети капитана Гранта“ — ჟიულ ვერნის ნაწარმოები. პირველად გამოქვეყნდა 3 ტომად 1867—1868 წლებში.

62. Г о г ъ б е р и დ з ე — დავით ბესარიონის ძე ლოღობერიძე — გ. თუმანიშვილის ამხანაგი, სწავლობდა მასთან ერთად ოდესაში. დაამთავრა ნოვოროსიის უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო

ფაკულტეტი (იხ. Г. Туманов, Характеристики и воспоминания о Г. Туманове, Тифли., 1913, к. I, გვ. 232).

63. ბაბაღე აგროვებდა გამოჩენილ პირთა სურათებს (იხ. მთ, № 506, 40r; მთ, № 835, 35r).

64. მ. თუმანიშვილის ამ წერილს ვერ მივაკვლიეთ.

65. Лордкипანიძე — ანტონ ლორთქიფანიძე (1847—1894) — საზოგადო მოღვაწე, ქუთაისის მაცხოვრებელი, ერთხანს ქალაქის დეპუტატი. აქტიურ მონაწილეობას იღებდა ქუთაისელ სცენისმოყვარეთა მიერ წარმოდგენილ სპექტაკლებში. ქუთაისში მან მოაწყო საჯარო წიგნთსაცავი, რომელიც 1894 წ. ქალაქს შესწირა (იხ. გ. ლასხიშვილი, მემუარები, თბ., 1934, გვ. 52; პ. მელიქიშვილი, ჩემი ცხოვრება, წიგნში: „პეტრე მელიქიშვილი. ცხოვრება და შრომები“, კრებული, თბ., 1941, გვ. VIV; „ივ“, 1894, № 232; „ქვ“, 1894, № 45).

ან. ლორთქიფანიძემ უმაღლესი განათლება ნოვოროსიის უნივერსიტეტში მიიღო. აქ იგი სწავლობდა იურიდიულ ფაკულტეტზე. როგორც გ. თუმანიშვილის წერილებიდან ჩანს, ანტონს იგი დაუახლოვდა ოდესაში. 1871 წ. 18 სექტემბერს მათ ერთად დაიქირავეს სამოთახიანი ბინა იტალიის ქუჩაზე (იხ. გ. თუმანიშვილის 1871 წ. 22 სექტემბრით დათარიღებული წერილი, მთ, № 835, 10).

66. Мревлов — ს. ო. მრევლოვი — ექიმი, კავკასიის სამედიცინო საზოგადოების ნამდვილი წევრი (იხ. „Кк на 1871 г.“, გვ. 90).

67. იხ. მთ, № 835, 18r-v.

68. 1871 წ. 7 ნოემბრითა და 29 ოქტომბრით დათარიღებულ წერილებში (იხ. მთ., № 835, 15r—17v) გიორგი აცნობებს მამას ოდესის უნივერსიტეტში მომხდარი არეულობის შესახებ, რის გამოც იმპერატორის ბრძანებით უნივერსიტეტი დროებით დაუხურავთ (იხ. მთ, № 835, 15r—17v).

69. Барон Николаи — ალექსანდრე პავლეს ძე ბარონ ნიკოლაი (1821—1899) — 1852—1859 წლებში — სასწავლო ოლქის მზრუნველი; 1860 წ. — სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის სამმართველოს უფროსი კავკასიაში; 1862—1863 წლებში — სახალხო განათლების მინისტრის ამხანაგი; 1863—1875 წლებში — მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს უფროსი, სენატორი და სტატს-სეკრეტარი (ბარონ ნიკოლაის ცოლად ჰყავდა ალ. ჭავჭავაძის ქალიშვილი — სოფიო) (იხ. Г. Туманов, Характеристики и воспо-

მინანია, კნ. III, ტიფ., 1907, გვ. 94—99; „Но“, 1890, № 2334, გვ. 3; 1892, № 2950, გვ. I; „Т Л“, 1890, № 223—5).

70. Конецу — პავლე ესტატის (ავგუსტის) ძე კოცებუ — გრაფი, ესტლანდიის გუბერნიიდან (1801—1884), ინჟანტერიის გენერალი და სახელმწიფო საბჭოს წევრი. 1874 წ. მსახურობდა ვარშავაში. გარდაიცვალა 1884 წ. ქ. რეველში (იხ. Письма Ермолова к Воронцову, Архив князя Воронцова, т. 36, №№ 48, 57; Филипсон, Воспоминания, М., 1885, გვ. 145, 178, 182; Словарь кавказских деятелей, Тиф., 1890, გვ. 45; ვეიდენბაუმი, კარტოთეკა).

71. Белкин — ოდესის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის III კურსის სტუდენტი — 1871 წ. ნოემბერში სტუდენტთა არეულობაში აქტიური მონაწილეობის გამო გაასახლეს თავის სამშობლო სტავროპოლში. ბელკინის გარდა ოდესის უნივერსიტეტიდან გარიცხეს იურიდიული ფაკულტეტის III კ. სტუდენტები — ჟელიაბოვი და შესტაკოვი. 1871 წ. ოდესის სტუდენტთა არეულობაში აქტიურ მონაწილეობას იღებდა აგრეთვე ანტონ ლორთქიფანიძე (იხ. გ. თუმანიშვილის 1871 წ. 16 ნოემბრით დათარიღებული წერილი, გვ. 135—137).

72. Димитрий Джорджадзе — დიმიტრი დავითის ძე ჯორჯაძე (1822—1883) — 1846 წ. სამსახური დაიწყო ქართულ გრენადერთა გუბერნატორის კოლონიურ განყოფილებაში. შემდეგ გადაიყვანეს თბილისის სამოქალაქო გუბერნატორის კანცელარიაში მაგიდის უფროსის თანაშემწედ. 1849 წ. — თელავის მაზრის უფროსის თანაშემწე; 1852 წ. — უფროსი მოხელე ყოფ. ჭარ-ბელაქნის ოლქის სამმართველოში; 1850—1853 წლებში მსახურობდა ზაქათალაში (ყოფ. ჭარი); 1854—1872 წლებში — სამოქალაქო საქმეთა მმართველი დაღესტანში.

დ. ჯორჯაძე იყო მ. თუმანიშვილის მეგობარი. ის იყო ნათლია მიხეილის შვილის — ელისაბედისა (იხ. ვეიდენბაუმი, კარტოთეკა; მ. ხელთუბნელი, სალიტერატურო საზოგადოებრივი წარსულიდან, თბ., 1938, გვ. 209).

73. მ. თუმანიშვილის 1871 წ. 14 ნოემბრით დათარიღებული წერილი იხ. № 506, 27 r — 28 v.

74. „Орфей в аду“ — ოთხმოქმედებიანი ოპერა, ფარსი, მუსიკა ოფენბახისა, ლიბრეტო გ. კრემიესი, ფრანგულიდან გადმოაკეთა ვ. ალექსანდროვმა (კრილოვმა).

75. Соколов — ლეონიდ ილიას ძე სოკოლოვი (გრადოვსკი კოლოვი) — პეტერბურგის საიმპერატორო თეატრის დრამატული მსახიობი. შემდეგში იგი მეტწილად მოღვაწეობდა პროვინციის თეატრებში. ერთხანს მსახურობდა კორწის თეატრში, ბოლო ხანებში კი — მოსკოვის ე. წ. „გერმანულ კლუბში“.

თბილისის თეატრში სოკოლოვი მუშაობდა 1867—1874 წლებში. თბილისელ მყურებელთა შორის ის დიდი პოპულარობით სარგებლობდა. ცნობილი რუსი რეჟისორი და მსახიობი ვ. ნემიროვიჩ-დანჩენკო, რომელმაც ბავშვობა თბილისში გაატარა, თავის „პირველ თეატრალურ მოგონებებში“ განსაკუთრებული სიყვარულით იხსენიებს გრადოვ-სოკოლოვს და მალალ შეფასებას აძლევს მის მსახიობურ ნიჭს (იხ. Немирович-Данченко, В. И., Первые театральные воспоминания, „ИМ“, 1943, № I, გვ. 91—93, 98—99, 103; Нильский, А., Закулисная хроника, СПб., 1897, გვ. 327; „К“, 1867, №№ 72, 78; 1868, №№ 3, 8; 1870, №№ 12, 97; 1871, №№ 9, 61, 135, 149; 1872, №№ 3, 5, 8, 80; 108, 124, 128, 131, 148; 1873, №№ 8, 53, 74, 99, 100, 126; 1874, № 12, 17, 32; 1875, №№ 78, 81; „ГВ“, 1873, №№ 46, 52, 53, 105, 115, 135; 1874, № 18; ცხსა, ფ. 482, საქ. № 11, 1 რ, № 31, 125 რ).

76. Желиховский — ვლადიმერ ივანეს ძე ჟელიხოვსკი — თბილისის კლასიკური გიმნაზიის დირექტორი, რუსული გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიური განყოფილების კომიტეტისა და თბილისის საქველმოქმედო საზოგადოების წევრი (იხ. ნ. ნიკოლაძე, თხზ., ტ. II, თბ., 1963, გვ. 595—601; პეტრე მელიქიშვილი. ცხოვრება და შრომები, კრებული, თბ., 1941, გვ. XXXIII—XXXIV; „Кк на 1873 г.“, გვ. 126).

ლ. სოკოლოვისა და ვ. ჟელიხოვსკის მტრული დამოკიდებულების შესახებ მოგვითხრობს აგრეთვე ვ. ნემიროვიჩ-დანჩენკოც, რომელიც სწორედ ამ დროს თბილისის კლასიკურ გიმნაზიაში სწავლობდა. „Желиховский, — წერს ნემიროვიჩ-დანჩენკო, — и в гимназии устраивал какие-то спектакли, и организатором пригласил Леонида Соколова. Но из-за чего-то они вскоре поссорились, и Соколов, играя Юпитера в „Орфее в аду“, начал в „отсебятинах“ прохаживаться насчет „одного директора“. И тогда у нас в гимназии было вывешено запрещение посещать театр, полное запрещение“ (Немирович-Данченко, Первые театральные воспоминания, „ИМ“, 1943, № 1, გვ. 93).



77. Гарсеванов — მიხეილ ნიკოლოზის ძე გარსევანოვი (გერსევანოვი, იგივე გარსევანიშვილი) — ინჟინერ-პოლკოვნიკი, რუსული ტექნიკური საზოგადოების კავკასიური განყოფილების თავმჯდომარე, რუსული გეოგრაფიული საზოგადოების ნამდვილი წევრი, 1871 წ. „თბილისის წრის“ ერთ-ერთი მამასახლისი, ავტორი გამოკვლევისა „Очерк гидрографии Кавказского края“ (1886), ფაქტიური რედაქტორი ყოველწლიური კრებულისა „Записки Кавказского отделения русского технического Общества“. ამავე დროს ის იყო გაზ. „კავკაზის“ აქტიური თანამშრომელი (იხ. „Словарь кавказских деятелей“, Тиф., 1890, გვ. 28; „КК на 1871 г.“, გვ. 14, 88, 92).

78. Сталинский — ე. ს. სტალინსკი — გაზ. „კავკაზის“ რედაქტორი 1872—1876 წლებში.

79. Сливницкий — პ. ა. სლივიცკი — გაზ. „კავკაზის“ რედაქტორი 1868—1871 წლებში.

80. С. Петерб. Ведомости — რუსული გაზეთი, გამოდიოდა პეტერბურგში 1728—1917 წლებში; რედაქტორები სხვადასხვა დროს: გ. ფ. მილერი, ი. ი. ტაუბერტი, ი. ფ. ბოგდანოვიჩი, ა. ნ. ოჩინი, ვ. თ. კორში, ნ. ს. უსოვი, ე. ე. უხტომსკი და სხვ. ამ დროს გაზეთის რედაქტორი იყო ვ. კორში.

81. გ. თუმანიშვილის ამ წერილს ვერ მივაკვლიეთ.

82. Конст. Мих. Богданов-Калинский — კონსტანტინე მიხეილის ძე ბოგდანოვ-კალინსკი — დეისტეტიკონი სტატსკი სოვეტნიკი, პოლტავის გუბერნიიდან, კავკასიისა და ამიერკავკასიის სამედიცინო ნაწილის მმართველი. გარდაიცვალა 1871 წ. 24 ნოემბერს (იხ. „КК на 1871 г.“, გვ. 29; „К“, 1871, № 140).

83. Мольер — ფსევდონიმი გამოჩენილი ფრანგი მწერლისა, კომედიოგრაფის ჟან. ბატისტ პოკლენის (1622—1673).

„ძუნწი“ მისი ცნობილი ნაწარმოებია.

84. Георгий Эристов — გიორგი დავითის ძე ერისთავი (1811—1864) — ცნობილი ქართველი მწერალი, დრამატურგი, ქართული თეატრის ფუძემდებელი, ჟურნ. „ცისკრის“ პირველი რედაქტორი.

გ. ერისთავს უწოდებდნენ „გლუხარიჩსა“ და „ქართველ მოლიერს“.

85. Давид Эристов — დავით გიორგის ძე ერისთავი (1847—1890) — მწერალი, ჟურნალისტი და თეატრალური მოღვა-



წე. თანამშრომლობდა „დროებაში“, „კვალში“, „ფალანგში“, „კავკაზში“, „ტიფლისკი ვესტნიკში“, „გოლოსში“, 1882—1884 წლებში რედაქტორობდა გაზ. „კავკაზს“. 1881 წ. გადმოაკეთა ფრანგული ენიდან სარდუს ცნობილი პიესა „სამშობლო“ და თვითვე დადგა ქართულ სცენაზე. მანვე გამოსცა ა. ს. გრიბოედოვის კომედია „ვაი ჭკუისაგან“ ახალი ვარიანტებითა და შენიშვნებით. დ. ერისთავი წერდა ფსევდონიმებით „გლუხარჩი II“, „ნასლედსტვენი პოეტი“, „ზადეკაშვილი“ (იხ. ი. მეუნარგია, დავით გიორგის ძე ერისთავი, წიგნში „ქართველი მწერლები“, 1, თბ., 1956, გვ. 371—410; Г. Туманов, Характеристики и Воспоминания, Тифл., 1913, გვ. 18—34, 56, 96, 97, 120; მისივე გაზ. „თემში“, 1911, № 36; „ТЛ“, 1890, № 234—236).

86. „Отеч. Зап.“.—„Отечественные записки“ (1839—1884)—ს. პ. მეცნიერულ-ლიტერატურული ჟურნალი. გამომცემელი — რედაქტორები სხვადასხვა დროს: ა. ა. კრაევსკი (1860—1866); ა. ა. კრაევსკი და ს. ს. დუდიშკინი; (1866—1867); 1867—1871 გამომცემელი—ნ. ნეკრასოვი, თანამშრომლები: მ. ე. სალტიკოვ-შჩედრინი და გ. ზ. ელისეევი; 1877 წ. გამომც. — ა. ა. კრაევსკი, რედაქტ.—მ. ე. სალტიკოვ-შჩედრინი, თანარედაქტ.—ნ. კ. მიხაილოვსკი, გ. ზ. ელისეევი.

87. გ. თუმანიშვილის 1871 წ. 6 დეკემბრით დათარიღებული წერილი იხ. მთ, № 835, 22r—23v.

88. Семирамида - ოთხმოქმედებიახი დრამატული ოპერა, მუსიკა როსინისა. წარმოდგენილი იყო 1871 წ. 18 დეკემბერს (იხ. „К“, 1871, № 148).

89. „Ревизор“ — გოგოლის ცნობილი კომედია, რომელიც მე-19 ს. 70-იან წლებში თბილისის სცენაზე საკმაოდ ხშირად იდგმებოდა.

90. Курин — ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე ჟურინი (1874—1894)—ს. პეტერბურგის საიმპერატორო თეატრების დრამატული დასის მსახიობი. თბილისის თეატრში მოღვაწეობდა 1869—1875 წლებში. 1879 წ. მისივე განცხადების თანახმად ჟურინი გაათავისუფლეს სამუშაოდან. ამის შემდეგ იგი მუშაობს კერძო თეატრებში (ჟურინის ცოლი იყო მსახიობი ქალი ევგენია იაბლოჩკინა). 1894 წელს ჟურინმა თავი მოიკლა (იხ. Немирович-Данченко, Первые театральные воспоминания, „НМ“, 1943, გვ. 91, 98; Николаев, Н. И., Драматический театр в г. Киеве, К., 1898, გვ. 98, 99, 109, 155; Суворин, А. С., Театральные очерки, СПб, 1914, გვ. 219—222; Ярон, С., Воспоминания о



театре, К., 1898, გვ. 208—210; „К“, 1870, № 85; 1871, № 128, 135, 142; 1873, №№ 55, 61, 74; 1874, № 7; „ТВ“, 1873, №№ 46, 52, 53, 75, 97; 1874, № 18; „ЕИТ“, 1894—1895, გვ. 403; ЦГИАЛ, Ф. 497, оп. 2, № 21394; ცსსა, ფ. 482, საქ. № 31).

91. მ. თუმანიშვილს მხედველობაში აქვს 1871 წ. 19 ნომბერს ვახ. „დროებაში“ (№ 52) გამოქვეყნებული წერილი „თბილისის კლასიკური გიმნაზიის დირექტორის უფ. ჟელიხოვსკისა და მესაათეს—მეკენზტოკის საქმე“ (ამ წერილის მიხედვით ჟელიხოვსკის ბრალდებოდა საათის მოპარვა).

92. როგორც გ. თუმანიშვილის 1871 წ. 6 დეკემბრით დათარიღებული წერილიდან ჩანს, ოდესაში ხმა გავრცელებულა ვახ. „დროების“ გამოცემის შეწყვეტის შესახებ (იხ. მთ, № 835, 23 v).

93. Шавердов — შავერდოვი (შავერდიანცი) — ლიტერატორი, ჟურნალისტი, ვახ. „მშაკის“ თანამშრომელი.

94. Надлер — თედორე ივანეს ძე ნადლერი (გარდ. 1903) — მსახიობი, რეჟისორი და ანტრეპრენიორი, წერდა აგრეთვე პიესებს. ნადლერი მოღვაწეობდა პროვინციის თეატრებში. იგი იყო კიევიში, თბილისში, პიატიგორსკში, ომსკში, ეკატერინებურგში, ირბიტსკში, ხარკოვიში, ტულაში, ვოლოგდაში.

თბილისში ნადლერმა დაჰყო 5 წელი (1869—1873). 1869—72 წლებში იგი ითვლებოდა თბილისის რუსული დრამატული დასის მსახიობად და რეჟისორად, ხოლო 1872 წ. 1 სექტ-დან 1873 წ. 18 თებერვლამდე ნადლერი დაინიშნა თბილისის თეატრის ანტრეპრენიორად (იხ. Немирович-Данченко, Первые театральные воспоминания, „НМ“, 1934, № I, გვ., 94; Николаев, Н. П., Драматический театр в Киве, К., 1898, 81, 83, 84, 87, 101; Южин-Сумбатов, Ал. Ив., Записи, статьи, письма, 1951, М., 28, 29; „დრ“, 1871, № 25, 1872, № 28), „ТВ“, 1873, №№ 109, 135, 1874, № 55; ცსსა, ფ. 482, საქ. № 32).

1872 წ. პირველ იანვარს ნადლერის საბუნებისოდ წარმოდგენილი იყო თ. ტოლსტოის 4 მოქმ. დრამა „გერი“ და ლ. იაკოვლევის მიერ ფრანგულიდან გადმოკეთებული ოპერეტა „კოლია ყველაფერში დამნაშავე“ (იხ. „К“, 1871, № 150).

95. 1872 წ. 2 იანვარს წარმოდგენილი მასკარადის შესახებ დაწერილებით იხ. ბაბალე თუმანიშვილის 1872 წ. 5 იანვრით დათარიღებული წერილი, გვ. 92.



96. „ქმარი ხუთის ცოლისა“ — ზურაბ ანტონოვიძის მედია.

97. „ძალათ ცოლის შერთვა“ — მოლიერის კომედია. „ქმარი ხუთის ცოლისა“ და „ძალათ ცოლის შერთვა“ წარმოდგენილი იყო 1872 წ. 3 იანვარს (რეცენზია ამ წარმოდგენების შესახებ იხ. „დრ“, 1872 წ. № 2).

98. Николай Осипович Мейер — 70-იან წლებში მეიერი უკვე აღარ მსახურობს. იგი მუდმივად ცხოვრობს ოდესაში (იხ. გ. თუმანიშვილის 1871 წ. 16 დეკემბრით დათარიღებული წერილი, მთ, № 835, 25).

99. Андроников — რამაზ ივანეს ძე ანდრონიკაშვილი — მთავარი სამმართველოს კანცელარიის ჩინოვნიკი. რამაზმა ადრე გაანება თავი სამსახურს და გადასახლდა თავის მამულში — გურჯაანში. დროდადრო რ. ანდრონიკაშვილი აქვეყნებდა წერილებს „კავკაზსკი კალენდარსა“ და „კავკაზში“.

ახალგაზრდობის დროს რ. ანდრონიკაშვილი მეგობრობდა მიხ. თუმანიშვილის ძმასთან, გრიგოლთან, ხოლო უკანასკნელის გარდაცვალების შემდეგ — მიხეილთან (იხ. მ. ხელთუბნელი, სალიტერატურო-საზოგადოებრივი წარსულიდან, თბ., 1938, 211—212; ვეიდენბაუმი, კარტოთეკა).

100. Аристарх (217—145 ჩ. წ.) — დიდი ალექსანდრიელი ფილოლოგი; ჰომეროსის, ჰესიოდეს, არქილოქეს, პინდარას, ესქილესა და არისტოფანეს გამომცემელი და კომენტატორი.

101. „Биржевые Ведомости“ — (1861—1917). გამოდიოდა პეტერბურგში, 1861—1879 წლებში ყოველდღიურად. რედ. — გამომც. სხვადასხვა დროს: კ. ვ. ტრუბნიცკოვი, პ. ს. უსოვი, ვ. ა. პოლექტოვა, ი. კარსპონსკი, ე. პ. კარნოვიჩი. გაზეთი მკაცრად აკრიტიკებდა რუსულ ფინანსიურ მმართველობას, რის გამოც 1867, 1874 და 1875 წლებში გაზეთმა ცენზურისაგან მიიღო გაფრთხილება, ხოლო 1877 წ. მისი გამოცემა დროებით შეწყდა. გაზეთის გამოცემა განახლდა 1880 წ.

102. 1872 წლის „ბირჟევიე ვედომოსტის“ № 347 და მის მახლობელ ნომრებში დასახელებულ წერილს ვერ მივაკვლიეთ.

103. Полевой — ნიკოლოზ ალექსის ძე პოლევოი (1796—1846) — რუსი ჟურნალისტი, მწერალი და ისტორიკოსი. მისი რედაქტორობით გამოდიოდა „სინ ოტჩეჩესტვა“, „სევერნაია პჩელა“ და „რუსკი ვესტნიკი“.

104. Васильчиков — ალექსანდრე ილარიონის ძე ვასილჩიკოვი (1818—1881) — ერობის ცნობილი მოღვაწე. მისი წიგნი „О самоуправлении. Сравнительный обзор русских и иностран-“



ნых земских и общественных учреждений“ პირველად გამოიცა პეტერბურგში 1869 წ. წიგნმა ისეთი დიდი გამოხმაურება გამოიწვია ვაგრცელება ჰპოვა იმდროინდელ საზოგადოებაში, რომ 2 წლის მანძილზე ორჯერ იქნა გამოცემული (იხ. „Князь Александр Илларионович Васильчиков“. Составил А. Голубев, С. П., 1882 г.).

105. „Знание“ — მეცნიერული და კრიტიკულ-ბიბლიოგრაფიული ჟურნალი. გამოდიოდა პეტერბურგში 1870—1877 წლებში. გამომც.-რედ. სხვადასხვა დროს: პროფ. პ. ა. ხლებნიკოვი, პროფ. ა. პ. ბოროზდინი, დ. ა. კორობჩევსკი, ი. ა. გოლდმიტი, ს. პ. გლაზენაპი.

106. გ. თუმანიშვილის ამ წერილს ვერ მივაკვლიეთ.

107. Арцруни — გრიგოლ იერემიას ძე არწრუნი (1845—1892) — ფილოსოფიის დოქტორი, ჟურნალისტი, ჟურნ. „მშაკის“ დამაარსებელი (იხ. Г. Туманов, Характеристики и воспоминания, кн. 1, Тиф., 1913, 35—46; „Но“, 1892, №№ 3093, 3094, 3097).

108. იგულისხმება სომხური ჟურნალი „მშაკ“ (მუშაკი), რომელიც თბილისში დაარსდა გ. არწრუნის ინიციატივით 1872 წელს.

109. Константин Зубалов — კონსტანტინე იაკობის ძე ზუბალაშვილი — ნავთის მწარმოებელი, სიცოცხლის უკანასკნელ წლებში მილიონერი. მისმა შვილებმა (ლევანმა, სტეფანემ, პეტრემ და იაკობმა) სახელი მოიხვეჭეს, როგორც განათლებულმა და ამავე დროს ქველმოქმედმა ადამიანებმა. ძმებმა ზუბალაშვილებმა საკუთარი ხარჯით ააგეს ე. წ. სახალხო სახლი (ახლანდელი მარჯანიშვილის სახ. თეატრის შენობა) და ის შენობა, სასამართლოს ქუჩაზე, რომელშიაც ამჟამად ბავშვთა საავადმყოფოა მოთავსებული (იხ. Г. Туманов, Характеристики и Воспоминания, 1905, 114—115; ზ. ჭიჭინაძე, ქართველი კათოლიკენი ყველა ასპარესზედ და ზოგი რამ წერილები დას. საქართველოზე, თბ., 1905).

110. Леон Зубалов — ლევან კონსტანტინეს ძე ზუბალაშვილი (1852—1914 წ.) — 1914 წ. ომის პერიოდში სახელმწიფოს შესწირა ნახევარი მილიონი და გარდა ამისა დაუთმო მოსკოვში თავისი სახლი დაჭრილი მეომრებისათვის საავადმყოფოს მოსაწყობად (იხ. ზ. ჭიჭინაძე, ქართველი კათოლიკენი ყველა ასპარესზედ.., 1905, გვ. 47—48; „თეატრი და ცხოვრება“, 1914, № 41, 2).

111. Иосиф Туманов — იოსებ ბავლეს ძე თუმანიშვილი — იმ დროს თბილისის მაზრის უფროსი (იხ. „КК на 1871 г.“, 29; „К“, 1871, № 23).



112. 1872 წ. 15 იანვარს სოკოლოვის საბენეფისოდ თბილისის თეატრში წარმოდგენილი იყო ტარნოვსკის 3 მოქმ. კომედია „თავადის ქალი მანია“ და ოფენბახის „მშვენიერი ელენეს“ მე-2 მოქმ. (იხ. „ჩ“, 1871, № 5, განცხადება).

113. იგულისხმება ე. ს. სტალინსკი, რომელიც 1872 წ. დაინიშნა გაზ. „კავკაზის“ რედაქტორად.

114. იგულისხმება საზანდარის ფელეტონი (იხ. „ჩ“, 12/1, № 5).

115. გიორგი თუმანიშვილის 1872 წ. 1 მარტით დათარიღებული წერილი იხ. მთ, № 506, 53r—55v; იმავე წლის 5 მარტით დათარიღებულ წერილს ვერ მივაკვლიეთ.

116. სინამდვილეში გ. თუმანიშვილის ეს წერილი დაწერილია 1872 წ. 20 თებერვალს (იხ. მთ, № 835, 35r-v).

117. Захарий Туманов — ზაქარია გიორგის ძე თუმანიშვილი — სამხედრო პირი, მ. თუმანიშვილის ოჯახის ახლო ნათესავი, ძმა ბაბაღე თუმანიშვილ-ანდრეევსკაიასი.

ზ. თუმანიშვილი ოდესაში ჩასულა 1872 წ. 23 მარტს (იხ. გ. თუმანიშვილის 1872 წ. 23 მარტით დათარიღებული წერილი მამისადმი, გვ. 138).

118. Александр — ალექსანდრე გიორგის ძე თუმანიშვილი (1823—1872) — გენერალ-ლეიტენანტი, მონაწილეობდა დაღესტნის ბრძოლებში გრ. ორბელიანთან ერთად. აღ. თუმანიშვილი გარდაიცვალა მოულოდნელად, 1872 წ. 12 ოქტ., დაკრძალეს ქ. ვლადივოსტოკში, სადაც მისი ოჯახი ცხოვრობდა (იხ. გრ. ორბელიანის წერილები, ტ. 1, 1936, გვ. 200, 206, 208; მ. თუმანიშვილის 1872 წ. 16 ოქტომბრით დათარიღებული წერილი, გვ. 66; ვეიდენბაუმი, კარტოთეკა).

119. „Австралия“ — როგორც ზევეთაც გვქონდა აღნიშნული (იხ. გვ. 168), „119“ ნომრით აღნიშნული გვაქვს ის საკომენტარო ერთეულები, რომელთა ამოხსნაც ჩვენ ვერ შევძელით, ან რომელთა შესახებ დამატებით მასალას ვერაფერს ვიძლევი.

120. Воронковский — ილია მიხეილის ძე ვორონკოვსკი (1832—1903) — დრამატული მსახიობი და ანტრეპრენიორი, 1869—1873 წლებში ვორონკოვსკი თბილისში მოღვაწეობს. 1873 წ. რეჟისორი ა. იაბლოჩკინი ვორონკოვსკის ათავისუფლებს სამუშაოდან მსახიობ ვინოგრადოვთან მომხდარი ინციდენტის გამო (იხ. Нильский, А. А., Загулисная хроника, СПб, 1894, 327—328; „ჩ“, 1870, №№ 96, 138; 1871, №№ 13, 70, 129).



1872, №№ 26, 80, 105, 108, 142; 1873, №№ 52, 58, 74, 100, 136; 1874, №№ 100, 136; „ТВ“, 1873, № 97; 1874, № 18, 55; ცსსა, ფ. 482, საქ. № 31).

121. Каменский — ალექსანდრე დიმიტრის ძე კამენსკი (გარდ. 1917) — მსახიობი. მოღვაწეობდა თბილისში, მოსკოვში, ნიჟნი ნოვგოროდში, ყაზანში, კიევიში, ოდესასა და ორიოლში.

თბილისში კამენსკიმ დაჰყო 4 წელიწადი (1869—1872). უმთავრესად იგი ასრულებდა კომიკურ როლებს. თბილისელი მყურებლები განსაკუთრებული სიმპათიით იყვნენ გამსჭვალულნი მის მიმართ (იხ. Медведев, П. М., Воспоминания, Л., 1929, გვ. 136; Немирович-Данченко, Первые театральные воспоминания, „МН“, М., 1943, № I, გვ. 93; „К“, 1869, №№ 116, 1870, № 49; 1871, №№ 13, 38, 61, 128, 131, 199; 1872, №№ 26; 119, 131, ცსსა, ფ. 482, საქ. № 31).

122. Жан Жак Руссо (1712—1778) — დიდი ფრანგი მწერალი და ფილოსოფოსი.

ანასტასია და ბაბალე თუმანიშვილები განსაკუთრებით იყვნენ გატაცებულნი რუსოს პედაგოგიური იდეებით.

123. Эскирос — ჰანრი ალფონსი ესკიროსი (1814—1876) — ცნობილი ფრანგი მწერალი.

124. Лассаль — ფერდინანდ ლასალი (1825—1864) — გერმანელი წვრილ-ბურჟუაზიული სოციალისტი.

125. Брем — ალფრედ ედმუნდ ბრემი (1829—1884) — გერმანელი ზოოლოგი.

126. Помяловский — ნიკოლოზ გერასიმეს ძე პომიალოვსკი (1835—1863) გამოჩენილი რუსი მწერალი. მისი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში დიდი როლი ითამაშეს ნ. ჩერნიშევსკიმ და ნ. დობროლოუბოვმა.

127. Чернышевский — ნიკოლოზ გაბრიელის ძე ჩერნიშევსკი (1828—1889) — რევოლუციონერ-დემოკრატი, მწერალი და ლიტერატურის კრიტიკოსი.

128. Павленков — ლორენტი თევდორეს ძე პავლენკოვი (1839—1900) — რუსული პროგრესული წიგნების გამომცემელი. 1867 წ. პავლენკოვი გადასცეს სასამართლოს პისარევის წიგნების გამოცემისათვის. 1868 წ. დააპატიმრეს და გადაასახლეს ვიატკაში. პავლენკოვმა გამოსცა ფრ. ენგელსის „ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა“, ბელინსკისა და გერცენის თხზულებანი და სხვ. მრავალი.

129. Краземан — ლ. კრაზემანი — პიანისტი, თბილისელი მაცხოვრებელი.

კრაზემანის კონცერტი ჩატარდა 1872 წ. 17 მარტს კლასიკური გიმნაზიის დარბაზში, მსახიობ კომანის მონაწილეობით (იხ. „ჩ“, 1872, №№ 37, 42; 1872, №№ 30, 34, 103, 105, 107).

130. ფინანსიური მდგომარეობის გამოსასწორებლად კავკასიის მეფის ნაცვალმა მიხეილ ნიკოლოზის ძემ ვასცა განკარგულეზა, რათა 1872 წ. 1 სექტემბრიდან 1874 წ. პირველ მარტამდე თბილისში არსებული რუსული დრამატული და იტალიური ოპერის დასები (რომლებსაც მანამდე მთავრობა ინახავდა) გადასულიყო რომელიმე კერძო პირის საკუთრებაში. მომავალ ანტრეპრენიორს მთავრობა თავაზობდა მცირე სუბსიდიას. ს. პეტერბურგის საიმპერატორო თეატრების მთავარმა რეჟისორმა ა. ა. იაბლოჩკინმა კავკასიის მეფისნაცვლის ამ ბრძანების შესახებ, როგორც ჩანს, კერძო გზით გაიგო. 1872 წ. 15 ივნისს იგი ჩამოვიდა თბილისში და თეატრის დირექციაში წერილობით განაცხადა სურვილი ანტრეპრენიორობაზე. მაგრამ ვინაიდან ა. იაბლოჩკინს თბილისის თეატრის შენახვა მხოლოდ 1873 წ. გაზაფხულიდან შეეძლო, ამიტომ, დროებით, 1872 წ. 1 სექტემბრიდან 1873 წ. 18 თებერვლამდე, თბილისის თეატრის ანტრეპრენიორად დაინიშნა თ. ნაღლერი. ნაღლერს უნდა შეენახა მხოლოდ რუსული დრამატული დასი, ვინაიდან იტალიური ოპერის დასი 1872 წ. ფაქტიურად დაიშალა (იხ. ცსსა, ფ. 482, საქ. № 32).

131. Семейство Маркс — თბილისის სცენაზე მარქსის მთელი ოჯახი მოღვაწეობდა: ე. ს. მარქსი, მისი ცოლი — ვ. პ. მარქსი და მათი ქალიშვილი — ო. ს. მარქსი, რომელიც მარქს მეორედ იყო ცნობილი. მარქსები თბილისის თეატრში მოღვაწეობდნენ ჯერ კიდევ 1846—1856 წლებში. ერთხანს, 1855—1856 წლებში, ე. ს. მარქსი თბილისის თეატრის ანტრეპრენიორად ითვლებოდა. შემდეგ მარქსის ოჯახს თბილისის სცენაზე ვხვდებით 1867—1872 წლებში (იხ. ე. ს. მარქსი: Театр в Тифлисе с 1845—1856 год, Тифл., 1888, გვ. 6, 38, 40, 43, 51, 73, 74, 78, 84, 95, 96, 141, 163, 165, 170, 174, 178, 179, 184, 186, 188, 191; „ჩ“, 1867, №№ 72, 94; 1869, № 133; 1870, № 93; 1872, №№ 26, 30; ცსსა, ფ. 482, საქ. № 31; ვ. პ. მარქსი: Театр в Тифл., 1888, 39, 40, 43, 73, 74, 84, 133, 174; „ჩ“, 1867, № 94; 1870, №№ 78, 93, 96; 1872, №№ 30, 51; ცსსა, ფ. 482, საქ. № 31; ო. ს. მარქსი: Театр в Тифл., Тифл., 1888, გვ. 78, 98, 174, 175; „ჩ“, 1868;



№№ 8, 133; 1869, №№ 108; 1870, №№ 64, 78, 93, 96, 105, 1871, №№ 9, 16, 17; 1872, №№ 30, 51; „ТВ“, 1874, № 55; ცსსა, ფ., 482, საქ. № 31).

132. Белый — იგულისხმება თეთრი წყარო.

133. Елизабеталь — გერმანელების კოლონია თეთრ წყაროსთან.

134. Калантаров — გუსტავ არტემის ძე კალანტაროვი — სომეხი ლიტერატორი, თანამშრომლობდა რუსულ და სომხურ ჟურნალ-გაზეთებში. მიხეილ თუმანიშვილის ოჯახთან დაახლოებული პირი (იხ. მ. ხელთუბნელი, სალიტერატურო-საზოგადოებრივი წარსულიდან, თბ., 1937, გვ. 204).

135. Костя Бебутов — კონსტანტინე ალექსანდრეს ძე ბებუთოვი (გარდ. 1907) — საზოგადო მოღვაწე. 1873 წ. ბებუთოვმა დააარსა პირველი რუსული გაზ. „Тифлисский Вестник“, ამ გაზეთს იგი რედაქტორობდა 1874—1878 წლებში. 1878 წ. ბებუთოვი მიემგზავრება პეტერბურგში, სადაც იგი თანამშრომლობდა „გოლოსში“ და „პორიადოკში“. თბილისში დაბრუნებისას იგი რედაქტორობას უწყევდა ჯერ „ნოვოე ობოზრენიეს“, ხოლო შემდეგ — „არძაგანკის“ (გამოცხილი) რედაქციებს. ბებუთოვი ხშირად აქვეყნებდა ფელეტონებს „Зритель“-ის ან „Зр“-ს ფსევდონიმით (იხ. Г. Туманов, Характеристики и Воспоминания, кн. III, Тифл., 1908, 45—56).

136. Тифлисский листок (sic) — „Тифлисский Вестник. Газета литературная и политическая“. გაზეთის დამაარსებელი — კ. ბებუთოვი. 1873—1876 წლებში გამოდიოდა სამჯერ კვირაში; 1877—1882 — ყოველ დღე (გარდა ორშაბათისა), გაზეთის პირველი რედაქტორი იყო ლუბოვნიკოვი, 1874—1878 წლებში — ბებუთოვი, 1879 წ. — დ. ერისთავი, 1880 წ. — ჩიქოვანი. ამ წელს გამოვიდა 60 ნომერი, 1881 და 1882 წლებში — თითო-თითო ნომერი, ხოლო 1883 წ. ამ გაზეთის გამოცემა შეწყდა.

137. Сталинский — ლ. ს. სტალინსკი — სწავლობდა ოდესის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე (იხ. მთ, № 835).

138. ნაღღერის პიესა „Страдальны“ თბილისის სცენაზე წარმოდგენილი იყო პირველად 1872 წ. 26 აგვისტოს (იხ. „К“, 1872, № 97).

139. იგულისხმება ნაღღერის პიესა „Тифлисские уголки“ (იხ. კ. თუმანიშვილის [1872 წ. სექტემბრით] დათარიღებული წერილი, გვ. 133).



140. გ. თუმანიშვილის წერილები 1872 წ. 13 აგვისტოს 24 აგვისტოს თარიღით დატულია მთ, № 506, 41 r — 44 v.

141. კლუხაროვი — გ. თუმანიშვილის ამხანაგი, თბილისელი მაცხოვრებელი, სწავლობდა ოდესის უნივერსიტეტში 1871—1872 წლებში. 1873 წ. იგი გადავიდა მოსკოვის უნივერსიტეტში (იხ. გთ, № 178, 3v). ოდესაში კლუხაროვთან ერთად გიორგი ცხოვრობდა ნეჟინის ქ-ზე, სულთანის სახლში (იხ. მთ, № 506, 44 v).

142. მ. თუმანიშვილის 1872 წ. 12 აგვისტოთი დათარიღებული წერილი იხ. მთ, № 506,—60—61v).

143. А дам ов — არტემ ადამოვი — თბილისელი ვაჭარი. ადამოვი მიხეილ თუმანიშვილის თხოვნით, მოელაპარაკა თავის ოდესელ კომისიონერ-ერენჩაქს, რათა მას გიორგი თუმანიშვილისათვის მიეცა 50 მან. თვეში (იხ. მთ. № 506, 6v).

144. Реммерт — ად. ალ. რემერტი — 70—80-იან წლებში კავკასიის სამედიცინო ნაწილის მმართველი. იგი აქტიურად ზრუნავდა ბორჯომისა და აბასთუმნის მინერალური წყლების კეთილმოწყობაზე (იხ. „Словарь Кавказских деятелей“, 1891, გვ. 63, „КК на 1871 г.“, გვ 90).

145. Туркевич — გ. ა. ტურკევიჩი — ექიმი, კავკასიის სამედიცინო საზოგადოების ნამდვილი წევრი (იხ. „КК; на 1871 г.“, გვ. 91).

146. Акимовы — ძმები, თბილისელი მაცხოვრებლები, სწავლობდნენ გიორგისთან ერთად ოდესაში. როგორც გ. თუმანიშვილის წერილიდან ჩანს, მათ კარგი ურთიერთობა ჰქონიათ (თბილისში აკიმოვები სწავლობდნენ კონსტანტინე თუმანიშვილთან ერთად) (იხ. კ. თუმანიშვილის წერილი გიორგისადმი, გთ, № 1076, 6v).

147. ქეთეთო — ქეთევან მირიმანოვა — ცენზორ ყაითმაზოვის ცოლი, მიხეილ თუმანიშვილის ნათესავი დედის მხრიდან, მელანია და ნიკოლოზ მირიმანოვების და (ცნობა მის შესახებ მოგვაწოდა გ. თუმანიშვილის შეილმა — ელისაბედმა).

148. 1872 წ. აგვისტოში, როდესაც გიორგი მიემგზავრებოდა თბილისიდან ოდესაში, სოხუმში შეხვდა ქეთეთოს (იხ. გ. თუმანიშვილის 1872 წ. 13 აგვისტოთი დათარიღებული წერილი, მთ, № 506, 41r).

149. პეტრე მელიქიშვილის მიერ ოდესიდან ჩამოტანილი გ. თუმანიშვილის წერილი იხ. მთ, № 835, 45r-v.

150. Шатриан — ლუი შარლ — ალექსანდრე შატრიანი (1826—1890) — გამოჩენილი ფრანგი მწერალი, წერდა ერკმანთა ერთად საერთო ფსევდონიმით „ერკმან-შატრიანი“. მათ ეკუთვნით ცნობილი რომანი „გლეხი კაცის ისტორია“.

151. გ. თუმანიშვილი ოდესაში აგროვებდა ხალხურ ზღაპრებს პ. უმიკაშვილისათვის გადასაცემად (იხ. ბ. თუმანიშვილის 1872 წ. 22 ოქტომბრით დათარიღებული წერილი, გთ. № 1075, 17 რ).

152. იგულისხმება ეკატერინე მელიქიშვილი, შემდეგში ს. მესხის მეუღლე (1854—1928) — საზოგადო მოღვაწე, მთარგმნელი, საზღვარგარეთ არსებული ქართველი ახალგაზრდების წრის „უღელის“ ერთ-ერთი აქტიური წევრი (იხ. ანა ლვინიაშვილი, ქართული საბავშვო ლიტერატურის მოამაგენი, თბ., 1959, გვ. 142—148; რ. საყვარელიძე, ქალთა პედაგოგიური განათლება მე-19 ს. საქართველოში, თბ., 1958, 140—142).

153. Мизандари — ალოიზ ოსიპის ძე მიზანდარი (1838—1912) — ქართველი პიანისტი, მასწავლებელი და მუსიკალური მოღვაწე. ცხოვრობდა თბილისში, აქვე ისწავლა მან ფორტეპიანოზე დაკრა, უმაღლესი ცოდნა მიიღო პეტერბურგის უნივერსიტეტში. 1865—1868 წლებში კონცერტებს აძლევდა პარიზსა და ვენაში. 1868 წ. მიზანდარი გადმოსახლდა თბილისში. აქ მან ხელი მიჰყო პედაგოგიურ მოღვაწეობას. 1873 წ. ხ. ი. სავანელთან ერთად დააარსა მუსიკალური კურსები, რომელთაც დიდი როლი ითამაშეს არა მარტო ქართული, არამედ კავკასიური მუსიკალური კულტურის განვითარებაშიც (იხ. Корганов, В. Д. Алоиз Осипович Мизандари, წიგნში „Кавказская музыка“, სტატიათა კრებული, მე-2 გამოც., თბ., 1908; Ипполитов-Иванов, М. М., Воспоминания, 1934, გვ. 43).

154. „Петербургские когти“ — С. Х. და Г. Ж.-ს 4 მოქმ. დრამა. წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო 20 სექტემბერს. მედიკოსის როლი უნდა შეესრულებინა ლ. სოკოლოვს (იხ. „ჩ“, 1872, № 110).

155. Пенский — ალექსანდრე პავლეს ძე ლენსკი (1847—1908) — დიდი რუსი მსახიობი, რეჟისორი და მასწავლებელი. 1865—1876 წლებში მუშაობდა პროვინციის თეატრებში. 1876 წლიდან ლენსკი მოსკოვის მცირე თეატრის მსახიობია. 1882—1884 წლებში იგი მსახურობდა პეტერბურგის ალექსანდრინის თეატრში. 1898—1907 წლებში ხელმძღვანელობას უწევდა „ახალ თეატრს“ (მოსკოვის დიდ და მცირე თეატრების ფილიალს).

თბილისში ლენსკი პირველად ჩამოვიდა 1872 წ. სექტემბერში. ლენსკი თავისი ოსტატური თამაშით თბილისის საზოგადოებაში მუდამ მოწონებას იმსახურებდა (იხ. მისივე, Статьи, письма, записки, М., 1950; Зограф, Н., А. П. Ленский (1874—1908); Южин-Сумбатов, Ал. Ив., Записки, статьи, письма, М., 1951, გვ. 29—30; „К“, 1872 წ. №№ 105, 107, 108; „ТВ“, 1873, №№ 22, 53, 55).

156. Аграмов — მიხეილ ვასილის ძე აგრამოვი (მისი ნამდვილი გვარია აბრამოვი) — დრამატული მსახიობი და რეჟისორი. 1861 წ. მან თავი დაანება სამხედრო სამსახურს და პეტერბურგის ალექსანდრინის თეატრში დაიწყო მუშაობა. 70-იანი წლების დასაწყისში იგი მუშაობდა პროვინციებში ჯერ დრამატულ მსახიობად, შემდეგ — რეჟისორად. 1885—1887 და 1889—1890 წლებში რეჟისორობდა მოსკოვის კორმის თეატრში, ხოლო 1893 წ. — ოდესის თეატრში. გარდაიცვალა 1893 წ. (იხ. Глама-Мещерская, А. Я., Воспоминания, М.—Л., 1937, გვ. 88—92, 95—97, 242, 251, 252, 256, 257, 271, 307, 308; Медведев, П. М., Воспоминания, Л., 1929, გვ. 279, 280—282; Ярон, С., Воспоминания о театре, 1875—1876), Киев, 1898, გვ. 129, 373, 375, „ЕИТ“, сезон 1892—1893, СПб, 1894, გვ. 501—502 და სხვ.

თბილისის სცენაზე აგრამოვს ვხედავთ 1867—1872 წლებში. აქ იგი ასრულებდა ჰამლეტისა და არბენინის როლებს (იხ. Немирович-Данченко, „НМ“, М., 1943, გვ. 91; „К“, 1867 წ. №№ 78, 94; 1868, №№ 3, 8, 133; 1869, № 13; 1871, № 75; ЦГИАЛ, Ф. 497, оп. II, ед. хр. 17862; ცსსა, ფ. 482, საქ. № 31, 25r).

157. Ив. Иван. Евлахов — ივანე ივანეს ძე ევლახოვი — ჟურნალისტი, გაზ. „კავკაზის“ თანამშრომელი, ავტორი კომედიისა „Свадьба“. ევლახოვსა და მ. თუმანიშვილს მეგობრული ურთიერთობა აკავშირებდათ. ევლახოვი იყო ნათლია მ. თუმანიშვილის შვილის — მარიამის (იხ. მ. ხელთუბნელი, სალიტერატურო საზოგადოებრივი წარსულიდან, 1938, გვ. 143—145).

158. Стадлен — ა. ვ. სტადლინი (ასე აწერს იგი ხელს გაზ. „კავკაზში“ მოთავსებულ სტატიებს) — ჟურნალისტი და მასწავლებელი. ამზადებდა კერძოდ გიმნაზიის მოსწავლეებს სხვადასხვა სასწავლო საგნებში: მუსიკაში, ლათინურ, ფრანგულ და გერმანულ ენებში, ამავე დროს კითხულობდა საჯარო ხასიათის ლექციებს ე. წ. „თბილისის წრეში“. სტადლინმა გამოსცა აგრეთვე ფრანგულ-

ლი ენის გრამატიკის მოკლე კურსი (იხ. „დრ“, 1874, № 415; „რ“, 1872, № 17, „ТВ“, 1874, №№ 30, 31, 32, 33).

159. სტადლინის კრიტიკა თ. ნადლერის პიესა „Страдальцы“-ს შესახებ იხ. „რ“, 1872 წ., № 107.

160. Эрицов — ალექსანდრე დავითის ძე ერიწოვი (გარდაიცვ. 1902 წ.) — ჟურნალისტი, გაზ. „კავკაზის“ თანამშრომელი. 1873 წ. მან დააარსა ახალი ჟურნალი „კავკაზსკაია სტარინა“. ამავე დროს იგი ხშირად კითხულობდა პოპულარული ხასიათის ლექციებს ე. წ. „თბილისის წრეში“ (იხ. „დრ“, 1873, № 11; 1882, №№ 143, 145; „НО“, 1902, № 5997, გვ. 1).

161. „Кавказская Старина“ — გაზ. „კავკაზში“ მოთავსებული განცხადების თანახმად ეს ჟურნალი 1872 წ. 16 ნოემბერს უნდა გამოსულიყო, მაგრამ მისი გამოცემა შეგვიანდა (იხ. „რ“, 1872 წ. № 118) და „კავკაზსკაია სტარინას“ პირველი ნომერი გამოვიდა 1873 წ. 5 იანვარს. ამ ჟურნალის მხოლოდ რვა წიგნი გამოიცა და შემდეგ ფინანსიური დაბრკოლების გამო დაიხურა.

162. Мухр. — გიორგი კონსტანტინეს ძე ბაგრატიონ მუხრანსკი (1820—1877) — სენატორი, სტატს-სეკრეტარი, მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს უფროსის თანამდებობის აღმსრულებელი, საგლეხო საქმეების მომწყობი კომიტეტის წევრი (იხ. „Кк на 1873 г.“, გვ. 9).

1872 წ. მუხრანსკიმ გამოსცა ბროშურა „О существе национальной индивидуальности и об образовательном значении крупных народных единиц“. მ. თუმანიშვილის წერილში სწორედ ამ ბროშურაზეა ლაპარაკი. მუხრანსკის ბროშურამ იმდროინდელ პრესაში დიდი გამოხმაურება პოვა. საზოგადოების დიდი ნაწილი მკაცრად აკრიტიკებდა მას. მუხრანსკის ბროშურის კრიტიკით გამოვიდა ს. მესხიცი გაზ. „დროებაში“ (იხ. „დრ“, 1872 წ. № 35).

163. მ. თუმანიშვილის 1872 წ. 4 სექტემბრით დათარიღებული წერილი იხ. მთ, № 50, 64—66 v.

164. ან. თუმანიშვილის 1872 წ. 6 სექტემბრით დათარიღებული წერილი იხ. გთ, №1076, 10r—11v.

165. Умиков — პეტრე იოსების ძე უმიკაშვილი (1838—1904) — საზოგადო მოღვაწე, მასწავლებელი, პუბლიცისტი და ჟურნალისტი. თანამშრომლობდა „ცისკარში“, „კრებულში“, „დროებაში“, „ივერიაში“, „კვალში“, „მომამბეში“. 1874—1880 წლებში მისი რედაქტორობით გამოდიოდა „სასოფლო გაზეთი“. უმიკა-

შვილმა შეაგროვა და გამოსცა ქართული ხალხური ზეპირსიტყვიერების მასალები და ძველი ხელნაწერი წიგნები (იხ. მისივე სტატიები ბიოგრაფია, „ივ“, 1904, № 124; ფ. გოგიჩაიშვილის წერილი — წინასიტყვაობა წიგნისა „ხალხური სიტყვიერება“, 1937).

166. იხ. მთ, № 506, 69—70v.

167. მ. თუმანიშვილის 1872 წ. 7 ოქტომბრით დათარიღებული წერილი იხ. მთ, № 506, 69—70v.

168. მ. თუმანიშვილის 1872 წ. 7 ოქტომბრით დათარიღებული წერილიდან ჩანს, რომ გ. თუმანიშვილს განუზრახავს ბიბლიოთეკაში (უთუოდ უნივერსიტეტის) მუშაობა და ამავე დროს ბინის გამოცვლა (თვით გიორგის წერილს, რომელშიაც იგი ამ ამბებს უნდა აცნობებდეს მამას, ვერ მივაკვლიეთ). მიხეილი ფრთხილად, მაგრამ მაინც წინააღმდეგობას უწევს შვილის ამ სურვილებს. „Зная, какой ты страстный библиоман, опасаясь, чтоб ты не захотел сразу и всецело проглатить всю библиотеку“, — სწერს იგი შვილს.

169. გ. თუმანიშვილის 1872 წ. 28 სექტემბრით დათარიღებული წერილი იხ. მთ, № 835, 482r-v.

170. ფოთი-თბილისის რკინიგზის გაყვანის საკითხი პირველად 1857 წ. წამოიჭრა. ამ საქმის ინიციატორები იყვნენ ნადვორნი სოვეტნიკი ვ. ზაგურსკი და სამხედრო ინჟინერი ჩერვინი. რკინიგზის გასაყვანად თბილისში შეიქმნა დროებითი კომიტეტი, რომელსაც კავკასიის მეფისნაცვალმა ბარათინსკიმ ხელმძღვანელობდა. ფოთი-თბილისის რკინიგზის პროექტი პირველად წარმოდგენილი იყო 1851 წ. ბელის მიერ, საბოლოო სახე ამ პროექტს 1864 წ. მიეცა. ინგლისიდან და ბელგიაიდან სპეციალურად იყვნენ მოწვეულები თბილისში გამოცდილი ინჟინრები ფოთი-თბილისის რკინიგზის გასაყვანად. რკინიგზის მშენებლობა საბოლოოდ 1872 წ. დამთავრდა (იხ. Аргутинский-Долгоруков, История сооружения и эксплуатации закавказской железной дороги за двадцать пять лет существования—1871—1896 гг., Тифл., 1896).

171. Владикавказ — ახლანდელი ორჯონიკიძე.

172. Игнатий Туманов — ეგნატე ევსევის ძე თუმანიშვილი — მთავარი სამმართველოს დეპარტამენტის საქმეთა მწარმოებელი (იხ. „Кк на 1871 г.“, გვ. 11).

173. Залесский — პავლე ზალესკი.

174. ზალესკის კრიტიკული წერილი „მშაკის“ შესახებ დაიბეჭდა გაზ. „კავკაზში“ სათაურით „Местная литература“ („К“, 1872, №№ 113, 119, 120).

175. Даниельбеков — ა. დანიელბეგოვი — ექიმი.

176. სტადლინის წერილი თარხნიშვილის შესახებ სათაურით „Г. Тарханов и его брошюра“ დაიბეჭდა გაზ. „კავკაზში“, 1872 წ., №№ 89, 92, 93, 100, 101. სტადლინის ამ წერილს მძაფრი კრიტიკით უპასუხა ა. დანიელბეგოვმა სტატიით „Г. Тарханов и Стадлин“ (იხ. „К“, 1872, № 116).

177. იგულისხმება სტადლინის წერილი „Письмо к г-ну Даниель-Бекову“ (იხ. „К“, 1872, № 118).

178. Вольтер — ფრანსუა მარი ვოლტერი (1694—1778) — დიდი ფრანგი მოაზროვნე დი მწერალი.

179. მონა — მონავარდისა. წერილებში გვხვდება აგრეთვე „მონაარცა“ — თუმანიშვილების შინამოსამსახურე. მ. თუმანიშვილის ცოლს მოჰყოლია მზითევში. ოქტომბრის რევოლუციის შემდეგაც იგი თავისი სურვილით კვლავ თუმანიშვილების ოჯახში დარჩენილა (ცნობა მის შესახებ მოგვაწოდა გ. თუმანიშვილის შვილმა — ელისაბედ თუმანიშვილმა).

180. ზალიკო — მსახური. როდესაც გიორგი ოდესაში პირველად გაემგზავრა, მას თან ახლდა ზალიკო (იხ. მთ, № 835, 2r, 4r, 5v).

181. პეტრე — მსახური.

182. ან. თუმანიშვილის 1872 წ. 26 ოქტომბრით დათარიღებულ წერილს ვერ მივაკვლიეთ.

183. გ. თუმანიშვილის 1872 წ. 12 და 26 ოქტომბრით დათარიღებული წერილები იხ. მთ, № 835, 29r—30v და 49r—50v.

184. 1872 წ. 25 ოქტომბრით დათარიღებულ წერილში გიორგი აცნობებს მამას, რომ იგი კითხულობს შექსპირის „მეფე ლირს“ და გოეთეს „ფაუსტს“ და რომ ამავე დროს მას განზრახული აქვს თარგმნოს რომელიმე ფრანგული თხზულება სტატიკიდან (იხ. მთ., № 835, 5r-v).

185. Вихман — ლ. ლ. ვიხმანი — გახსნილი ჰქონდა წიგნების მაღაზია ატამანის ქუჩაზე, სასულიერო სემინარიის პირდაპირ (იხ. „К“, 1872, № 103).

186. Тэн — იპოლიტ ტენი (1828—1893) — ცნობილი ფრანგი ფილოსოფოსი, ისტორიკოსი და ხელოვნებისა და ლიტერატურის თეორეტიკოსი.

187. იხ. „К“, 1872, №№ 126, 127.

188. სტადლინის პასუხი ვ. თარხნიშვილისადმი იხ. „К“, 1872 წ., №№ 130, 131, 133.



189. მ. თუმანიშვილი გიორგის წერილის თარიღს სწავლით არ უთითებს, უთუოდ 20 ოქტ. ნაცვლად გულისხმობს 20 ნოემბრით დათარიღებულ წერილს. ამ წერილს ვერ მივაკვლიეთ.

190. Добролюбов — ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე დობროლუბოვი (1836 — 1861) — დიდი რუსი რევოლუციონერ-დემოკრატი.

191. Илья Чавчавадзе — ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძე (1837—1907) — გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე, მწერალი.

ცნობილია, რომ ილ. ჭავჭავაძე ცხოველ მონაწილეობას იღებდა ბანკის დაარსების საქმეში. იგი სათავეში უდგა ახალ თაობას, რომელიც წინააღმდეგ მამათა თაობისა, ნაცვლად მოკლევადიანი ბანკისა, ე. წ. გრძელვადიანი სათავადაზნაურო-საადგილ-მამულო ბანკის დაარსებას მოითხოვდა. მ. თუმანიშვილი ამ შემთხვევაში უფროს თაობას უჭერდა მხარს და ამდენად იგი ილ. ჭავჭავაძის მოწინააღმდეგეთა ბანაკში აღმოჩნდა.

192 ბ. თუმანიშვილის 1872 წ. 14 დეკემბრით დათარიღებული წერილი იხ. გთ, № 1075, 21—22, დედის წერილს კი ვერ მივაკვლიეთ.


193. გ. თუმანიშვილის 1872 წ. 7 დეკემბრით დათარიღებული წერილი მამისადმი იხ. მთ, № 835, 55—56 ვ.

194. აკიმოვების მამა — ნიკოლოზ ზაქარიას ძე აკიმოვი იყო თბილისის გუბერნიის გლეხთა საქმეთა საკრებულოს საქმის მწარმოებელი (იხ. „Кк на 1872 г.“, გვ. 26). გ. თუმანიშვილის 1872 წ. 13 სექტემბრით დათარიღებული წერილი მამისადმი, იხ. მთ, № 506, 46 ვ.

195. სოკოლოვის ბენეფისი შედგა 1872 წ. 20 დეკემბერს თბილისის საზამთრო თეატრში. წარმოდგენილი იყო პირველად ხუდიაკოვის მიერ ფრანგულიდან თარგმნილი კომედია „კუნძული ტიულიპატან“ (იხ. „К“, 1872, № 148).

196. Протасов — პეტრე ვერასიმეს ძე პროტასოვი — მსახიობი, მოღვაწეობდა ოდესაში, ხარკოვში, ყაზანში, სარატოვში. თბილისის სცენაზე მას ვხვდავთ როგორც ნადლეგის, ასევე იაბლოჩკინის ანტრეპრენიორობის დროს, 1872—1874 წლებში.

(იხ. Велизарий, М. И., Путь провинциальной актрисы, М.—Л., 1938, გვ. 80, 83, 84, 287; Николаев, Н., Драматический театр в Киеве, К., 1898, გვ. 85, 87—89, 115; Синельников, Н. И., Шестьдесят лет на сцене, 1935, გვ. 124, 142, 157); Немирович-Данченко, Первые театральные воспоминания, „НМ“, 1943, № 1, გვ. 94; „К“, 1872, №№ 56, 74, 95, 100, 128; „ТВ“, 1873, №№ 47, 53, 115; 1874, № 18).



197. Яблочкин — ალექსანდრე ალექსანდრეს ძე იაბლოჩკინი (1821—1895) — ცნობილი რუსი მსახიობი და რეჟისორი. სცენაზე მოღვაწეობა დაიწყო პეტერბურგის ალექსანდრინის თეატრში. 1846 წ. კავკასიის მეფისნაცვალმა ვორონცოვმა ა. იაბლოჩკინი მიიწვია თბილისის თეატრში სამუშაოდ. აქ იგი რეჟისორობდა რუსულ დრამატულ დასს 1851 წლამდე. შემდეგში ა. იაბლოჩკინს თბილისის თეატრში ვხედავთ 1867—1868 წლებში, ხოლო 1873—1874 წლებში იგი იყო თბილისის თეატრის ანტრეპრენიორი და რუსული დრამატული დასის რეჟისორი. 1874 წ. იანვარში, სამსახურში გამოუცხადებლობის გამო, ა. იაბლოჩკინს სამუდამოდ აეკრძალა საიმპერატორო თეატრებში მუშაობა (იხ. Немирович-Данченко, Статьи, речи, беседы, письма, М., 1952, გვ. 145, 257, 365—366, მისივე, „Первые театральные воспоминания“, „НМ“, 1943, I, გვ. 98—100; Яблочкин, А. А., 75 лет в театре, М., 1960, გვ. 33, 34, 37, 42; მისივე, Воспоминания об отце, „Театр“, М., 1960, № 12, გვ. 103—109; „Театр в Тифлисе с 1845—1856 год“, Тиф., 1888, გვ. 40, 43, 44, 46, 51, 72, 131, 161; „К“, 1867, №№ 69, 70, 72, 78, 94, 96, 1868, №№ 3, 12, 133, 1873, №№ 53, 126; „Тифл. Вест.“, 1873, № 130; 1874, №№ 3, 18, 55, 86; ШИАЛ, ф. 497, оп. 1, ед. хр. №№ 22386, 10359; ЦТМ, ф. 291, ед. хр. № 2348; ცსსაფ. 482, საქ. № 32).

198. იგულისხმება ან. თუმანიშვილის [1872 წ. 28 დეკემბრით] დათარიღებული წერილი (იხ. გვ. 109—110). ამ წერილში ანასტასია აცნობებს გიორგის, რომ ქუთაისის გაზეთს გადმოუთარგმნია და დაუბეჭდავს გაზ. „დროებიდან“ კორესპონდენცია შვეიცარიიდან (იხ. „დრ“, 1872, № 47). ვინაიდან ეს წერილი სოციალური შინაარსისა იყო, გრაფ ლევაშოვს (ქუთაისის გუბერნატორს) ამის შესახებ მოუხსენებია ბარონ ნიკოლაისათვის, რის შედეგადაც გაზ. „დროებას“ ცენზურისაგან გაფრთხილება მიუღია. ამ „კახუხუხა“ ლაპარაკი მ. თუმანიშვილის წერილში.

199. Берне — კარლ ლუდვიგ ბერნე (1786—1837) — გერმანელი პუბლიცისტი.

200. „Неделя“ — პოლიტიკური და ლიტერატურული გაზეთი — გამოდიოდა პეტერბურგში 1866—1901 წლებში. 1866—1868 წლებში გამომც. რედაქტ.—ნ. მუნტი; 1868 წლიდან — ვ. ე. გენკელი; 1869 წ. ნოემბრიდან — ფაქტიური გამომც. რედ. — პ. ა. გაიდებუროვი, ე. ი. კონრადი, ა. როსელი, ე. ი. რაგოზინი და სხვა. ოფიციალური რედაქტ.—ვ. ე. გენკელი და 1872 წლის № 111-დან — ვ. ა. კანდუროვი. 1868—1869 წლებში

ამ გაზეთში თანამშრომლობდა ა. ი. გერცენი, ხოლო 1872 წელს — ნ. ვ. შელგუნოვი. 70-იან წლებში ეს გაზეთი გახდა ხალხოსანთა ორგანო.

201. „Рус. старина“ — „Русская старина“ — ყოველთვიური ჟურნალი. გამოდიოდა პეტერბურგში 1870—1918 წლებში. ჟურნალის დამაარსებელი — მ. ი. სემევსკი, გამომც. — რედაქტ. — ვ. ა. სემევსკი, მ. ი. სემევსკი, ნ. კ. შილდერი, ა. ს. ლაპინსკი, ს. პ. ზიკოვი და სხვ.

202. Коган — ოდესის მაცხოვრებელი, დიდი ქონების პატრონი. აწყობდა საცხოვრებელ ბინას სპეციალურად სტუდენტებისათვის (იხ. გ. თუმანიშვილის 1872 წ. 7 დეკემბრით დათარიღებული წერილი, მთ, № 835, 56r).

203. იხ. გ. თუმანიშვილის 1872 წ. 7 დეკემბრით დათარიღებული წერილი, მთ, № 835, 55 v.

204. ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცულ გ. თუმანიშვილის წერილებიდან არ ჩანს, მიიღო თუ არა მან მონაწილეობა წარმოდგენაში.

205. ბ. თუმანიშვილის 1873 წ. 8 იანვრით დათარიღებული წერილი იხ. გვ. 98—99.

206. გ. თუმანიშვილის ამ წერილს ვერ მივაკვლიეთ.

207. „Горе от ума“ — ა. ს. გრიბოედოვის ცნობილი კომედია.

208. Чацкий — მთავარი მოქმედი პირი კომედიისა „ვაიჭკუისაგან“.

209. Лукашевич — კაროლინა ოსიპის ასული ლუკაშევიჩი — დრამატული მსახიობი. მოღვაწეობდა პროვინციულ თეატრებში. მისი თანამედროვე მსახიობები ს. იარონი და ნ. ნ. სინელნიკოვი ლუკაშევიჩს ახასიათებენ, როგორც ნიჭიერსა და კეთილსინდისიერ მსახიობს. თბილისის სცენაზე ლუკაშევიჩს ვხედავთ 1872 წ. თავისი არტისტული ნიჭით თბილისელ მაყურებელთა შორის იგი იმსახურებდა დიდ სიმპათიას (იხ. Синельников, Н. И., Шестьдесят лет на сцене, Харьков, 1935, გვ. 123, 132, 157, 184, 185 224; Ярон, С., Воспоминания о театре (1875—1876), Киев, 1898, გვ. 129, 373, 375; Немирович-Данченко, Первые театральные воспоминания, „НМ“, 1943, № I, გვ. 101; „К“, 1872, №№ 59, 62; „ТВ“ №№ 60, 61; 1874, № 55).

210. იხ. „ГВ“, 1873, № 8. მიუხედავად იაბლოჩკინის ხმობისა, ლუკაშევიჩი იაბლოჩკინის ანტრეპრენიორობის დროს თბილისში არ ჩამოსულა.

211. იგულისხმება ნ. ნიკოლაძის (სკანდელის) ფელეტონი „საწყალი ბანკი“, რომელიც მიმართულია ქუთაისის ბანკის საწინააღმდეგოდ (იხ. „ღრ“, 1873, № 1).

212. „Один в поле не воин“ — ფ. შპილგაგენის ნაწარმოები.

213. „Комедия всемирной истории“ — იოგან შერის ნაწარმოები.

214. „История крестьянской войны в Германии“ — იგულისხმება ვ. ციმერმანის წიგნი, რომელიც მეორედ გამოიცა 1872 წ.

215. Головачов — ა. ა. გოლოვაჩოვი. მისი წიგნი „10 лет реформ“ გამოიცა პეტერბურგში, 1872 წელს.

216. Суворин — ალექსი სერგის ძე სუვორინი (1834—1912) — რუსი ჟურნალისტი. 60-იანი წლების დასაწყისში მუშაობდა პროვინციალურ პრესაში, შემდეგ — მოსკოვსა და პეტერბურგში. თანამშრომლობდა რუსულ ჟურნალ-გაზეთებში: „ს. პეტერბურგსკიე ვედომოსტი“, „ოტჩინესტვენიე ზაპისკი“, „სოვრემენიკი“ და სხვ. 1876 წ. ის იყო გაზ. „ნოვოე ვრემიას“ გამომცემელი.

„Русский календарь Суворина“ პირველად გამოიცა 1872 წელს.

217. გ. თუმანიშვილის 1873 წ. 12 იანვრით დათარიღებულ წერილს ვერ მივაკვლიეთ: 1873 წ. 25 იანვრით დათარიღებული წერილი იხ. მთ, № 835, 60—62r.

218. Гоголь — ნიკოლოზ ვასილის ძე გოგოლი (1809—1852) — რუსი მწერალი. „რევიზორი“, რომელშიაც ავტორი იძლევა ბურჟუაზიული აპარატის მკაცრ კრიტიკას, პირველად წარმოდგენილ იქნა პეტერბურგის ალექსანდრინის თეატრში 1836 წელს.

219. „Голос“ — პოლიტიკური და ლიტერატურული გაზეთი, გამოდიოდა პეტერბურგში 1863—1884 წლებში. გამომც. — რედაქტორი: ა. ა. კრაევსკი; 1871 წ. — ა. ა. კრაევსკი და ვ. ა. ბილბასოვი. გაზეთში მონაწილეობას იღებდნენ: ნ. ვ. ალბერტინი, ვ. პ. ბეზობრაზოვი, ა. ი. ვედენსკი, ა. დ. გრადოვსკი, ვ. რ. ზოტოვი და სხვ.

220. ამ წერილის ავტორი იყო „გოლოსის“ რედაქტორი ანდრია ალექსანდრეს ძე კრაევსკი.



221. Зейдлиц — ნ. კ. ზეიდლიცი — კავკასიის სტატისტიკური კომიტეტის გამოცემათა „Сборник сведений о Кавказе“ (1871—1886) და „Статистический временник кавказского края“-ს (1887—1890) რედაქტორი. ზეიდლიცმა შეადგინა კავკასიის ეთნოგრაფიული ქარტა. მასვე ეკუთვნის გამოკვლევები კავკასიის ბუნებისა და ეთნოგრაფიის შესახებ (იხ. Словарь кавказских деятелей, Тифл., 1890, გვ. 38; „Кк на 1873 г.“, გვ. 126).

222. Пфаф — ვ. ბ. პფაფი — დოქტორი, ავტორი გამოკვლევებისა: „О формальных договорах древняго римского права“, Одесса, 1866; „Материалы для древней истории Осетии“, Тифл., 1871., „Путешествие по ущельям северной Осетии“, Сборн. свед. о Кавказе, изд. под ред. Н. Зейдлица“, т. I, Тифл., 1871).

223. Зиссерман — არნოლდ ზისერმანი (1824—1897) — პოდოლსკის გუბერნიიდან. გიმნაზიის კურსის დამთავრების შემდეგ ჩამოდის საქართველოში და იწყებს სამსახურს სახელმწიფო ქონების პალატის კანცელარიაში ჩინოვნიკად. 1844 წ. მუშაობს თუშ-ფშავ-ხევსურეთის ოლქის სამმართველოში. აქ მან შეისწავლა ამ კუთხის ცხოვრება და ზნე-ჩვეულებანი და შემდეგ დაბეჭდა მათ შესახებ წერილები გაზ. „კავკაზში“. 1851 წ. მსახურობს დაღესტნის ფეხოსან პოლკში. 1864 წ. — პოდპოლკოვნიკი. ამავე წელს გათავისუფლებულ იქნა სამუშაოდან. ზისერმანს ეკუთვნის შემდეგი ისტორიული შრომები: „Двадцать пять лет на Кавказе“, П., 1879; „История Кабанского пехотного полка“, Тифл., 1881; „Фельдмаршал князь А. И. Барятинский“, М., 1889—1891 гг. (იხ. Бартенов, П., Пятидесятилетие А. Л. Зиссермана, „Р. А.“, 1896, март. Словарь Кавказских деятелей, Тифл., 1890, გვ. 38, 39; ვეიდენბაუმი, კარტოთეკა).

224. იხ. „Тифлисская летопись“ („К“, 1873, 28, 1, № 12. წერილი ხელმოუწერელია).

225. „Москов. Ведом.“ — „Московские Ведомости“ — გაზეთი, მოსკოვის უნივერსიტეტის მიერ დაარსებული. გამოდიოდა 1856—1917 წლებში. 1856—1863 წლებში რედაქციაში შედიოდნენ: უნივერსიტეტის პროფ.—ნ. ნ. პოპოვსკი, ა. ა. ბარსოვი, პ. დ. ვენიამინოვი, ხ. ა. ჩეხოტარევი; 1779—1789 წლებში: ნ. ი. ნოვიკოვი; 1813—1836 წლებში: პ. ი. შალიკოვი; 1856—1862 წლებში: ვ. ფ. კორში; 1863—1887 წლებში: მ. ნ. კატკოვი.



226. სტატია „Русские Эмигранты“ დაიბეჭდა 1873 წ. გვ. 1-2 „მოსკოვსკიე ვედომოსტის“ მე-12, მე-13 და მე-14 ნომრებში. ნ. ნიკოლაძის შესახებ ლაპარაკია მე-13 და მე-14 ნომრებში.

227. გ. თუმანიშვილის 1873 წ. 8 მარტით დათარიღებული წერილი იხ. მთ, № 835, 66—67v.

228. Эпштейн — ს. ეპშეტეინი — მართავდა წარმოდგენებს ევროპის ყველა სატახტო ქალაქში. 1872 წ. რუსეთის იმპერატორმა ეპშეტეინი გამოიძახა ოდესიდან ლივადიაში, სადაც მან 15 და 18 ოქტომბერს წარმოადგინა ორი ე. წ. „მაგიური და წინასწარმეტყველური“ წარმოდგენა. ფულადი დასაჩუქრების გარდა იმპერატორისაგან და მეფისწულისაგან მიიღო ძვირფასი ბრილიანტის ბეჭდები, ხოლო იმპერატრიცასგან — ოქროს ქრონომეტრი ჯაჭვითა და მედალიონით (იხ. „К“, 1873, №№ 28, 31).

229. Яссе — იასე ანდრონიკაშვილი — მ. თუმანიშვილის უახლოესი მეგობარი. სწავლობდა ნ. ბარათაშვილთან და მ. თუმანიშვილთან ერთად თბილისის კეთილშობილთა გიმნაზიაში. შემდეგ იგი მსახურობდა სამოსამართლო პალატაში. აქტიურ მონაწილეობას იღებდა ბანკის დაარსებაში. იასე იყო ნათლია მიხეილის შვილების: ანასტასიასი, გიორგის, ვასილისა და კონსტანტინესი (იხ. მ. ხელთუბნელი, სალიტერატურო-საზოგადოებრივი წარსულიდან, თბ., 1938, გვ. 31, 32, 69, 210). გ. თუმანიშვილი თავის ავტობიოგრაფიაში იასე ანდრონიკაშვილის შესახებ ასეთ ცნობებს გვაწვდის: „Моим крестным отцом был И. А. Андроников, гимназический товарищ моего отца. Он служил в суде и пользовался уважением общества. Это был добродушный человек и после смерти отца в трудные минуты жизни я пользовался его советами“ (იხ. გთ, № 956, 1r).

230. Басси — იტალიელი დირიჟორი, გლინკას ნაწარმოებთა შესანიშნავი შემსრულებელი. თბილისში მას ვხვდავთ 1868 წლიდან (იხ. ცსსა, ფ. 482, საქ. № 11,3r; „К“, 1869, № 104, 1871, № 20).

231. გ. თუმანიშვილის 1873 წ. 21 მარტით დათარიღებული წერილი იხ. მთ, № 835, 68—69v, იმავე წლის 27 მარტით დათარიღებულ წერილს კი ვერ მივაკვლიეთ.

232. იგულისხმება სერაფიმა ვასილის ას. სოროკინა (1842—1898) — ა. იაბლოჩკინის მე-2 ცოლი, იაბლოჩკინა I, დედა ცნობილი საბჭოთა მსახიობისა ა. ა. იაბლოჩკინასი. 1861—1874 წლებში იგი მუშაობდა პეტერბურგის ალექსანდრინის თეატრში, ხოლო



1877 წლიდან — მოსკოვის მცირე თეატრში. თბილისის სცენაზე მას ვხედავთ 1867, 1868, 1871, 1872 და 1873 წლებში. 1874 წლებში იაბლოჩკინა თამაშობდა მიხაილოვას გვარით (იხ. Кара-Мурза, Малый театр, 1924, გვ. 141; Немирович-Данченко, Первые театральные воспоминания, „НМ“, 1943, № I, გვ. 91, 98; Яблочкина, А. А., 75 лет в театре, М., 1960, გვ. 34, 72—73; „დრ“, 1871, № 25; „რ“, 1867, №№ 72, 78, 94; 1868, №№ 8, 133; 1871, № 78; 1873, №№ 74, 99; „ТВ“, 1873, №№ 97, 102; 1874, № 18; ЦГИАЛ, Ф. 497, оп. 2, ед. хр. № 17980).

233. ივულისხმება ევგენია ალექსანდრეს ასული იაბლოჩკინა (იაბლოჩკინა მე-2 1852—1912), ა. ა. იაბლოჩკინის შვილი პირველი ცოლიდან (მსახიობ ა. მ. მედვედევასთან). 1860—1872 წლებში იგი ირიცხება პეტერბურგის ალექსანდრინის თეატრის დრამატულ დასში. 1871—1875 წლებში ე. ი. იაბლოჩკინა დიდი წარმატებით მოღვაწეობს თბილისის სცენაზე. თბილისში იგი ცოლად მიჰყვება მსახიობ ჟურინს და 1875 წლიდან მასთან ერთად მოგზაურობს სხვადასხვა პროვინციულ ქალაქებში (იხ. Савина, М. Г., Горести и скитания, Л., 1927, გვ. 153—154, 162; Немирович-Данченко, Первые театральные воспоминания, „НМ“, 1943, № I, გვ. 91; Ярон, С., Воспоминания о театре, Киев, 1898, გვ. 208—210; „დრ“, 1871, № 25; „რ“, 1867, №№ 72, 94; 1871, № 76; 1873, № 55, 74, 100, 126; 1874, №№ 1, 7; 1875, № 21; „ТВ“, 1873, № 103; 1874, № 18; ЦГИАЛ, Ф. 497, оп. 2, ед. хр. 21850; ცსსა, ფ. 482, საქ. № 9).

234. Музиль — ნიკოლოზ ეგნატეს ძე მუზილი (1839—1906) — მოსკოვის მცირე თეატრის მსახიობი, მის არტისტულ ხელოვნებას დიდად აფასებდნენ ნ. ოსტროვსკი და თითქმის ყველა მისი თანამედროვე მსახიობი თუ თეატრმცოდნე (იხ. Станиславский, К. С., Моя жизнь в искусстве, изд. 2-ое, Л., 1928, გვ. 65—66; Южин-Сумбатов, Воспоминания, записи, статьи, письма, М.—Л., 1941, გვ. 23, 37, 42, 54, 60, 77, 216, 551, 552, 562, 565; Яблочкина, А., Жизнь в театре, М., 1953, გვ. 151—143; „ЕИТ“, 1890—91, გვ. 251, 252).

თბილისში მუზილი მოღვაწეობდა 1867—1868 და შემდეგ — 1870—1871 წლებში. აქ შეასრულა მან მოლჩალინისა და ტიხონ კაბანოვის როლები (იხ. Немирович-Данченко, Первые театральные воспоминания, „НМ“, 1943, № I, გვ. 94; „რ“, 1871,



მუშაობს მოსკოვის მცირე თეატრში. უმეტესად იგი ასრულებდა სახასიათო და კომიკურ როლებს. ამავე დროს იგი ასწავლიდა მსახიობის ოსტატობას მოსკოვის თეატრალურ სასწავლებელსა და მოსკოვის ფილარმონიის საზოგადოების დრამატულ სასწავლებელში (იხ. Ленский, А. П., Статьи, письма, записки, М.—Л., 1935, გვ. 344, 348, 600, 601, 605; Немирович-Данченко, Первые театральные воспоминания, „НМ“, 1943, № 1, გვ. 98; Южин-Сумбатов, Воспоминания, записки, статьи, М.—Л., 1941, გვ. 32, 35, 61, 63, 70, 85, 86, 103, 126, 138, 142, 146, 215, 216, 516, 551, 562, 564, 566; „Галерея мастеров Малого театра“, М., 1935, გვ. 78—80; „К“, 1873, №№ 74, 99, 100, 126, 139; „К“, 1875, № 26; „ТВ“, 1873, №№ 39, 75, 115, 130; 1874, №№ 7, 18, 56; 1875, №№ 24, 26; ЦТМ, ф. 217, ед. хр. 98885).

239. Бородин — ლიტერატურას და საარქივო მასალებს მსახიობ ბოროდინის შესახებ ვერ მივაკვლიეთ. მხოლოდ თუმანიშვილის წერილებისა და თბილისში არსებული იმდროინდელი პრესის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ბოროდინი თბილისის სცენაზე მოღვაწეობდა 1872—1873 წლებში (იხ. „К“, 1872, № 128; „ТВ“, 1873, № 75).

240. Самойлов — ვასილი ვასილის ძე სამოილოვი (1813—1887) — დიდი რუსი მსახიობი. სცენაზე მან დაჰყო 50 წელი. შესანიშნავად თამაშობდა როგორც ვოდევილებსა და კომედიებში, ასევე ტრაგედიებში. იაბლოჩკინის ანტრეპრენიორობის დროს სამოილოვი თბილისში არ ჩამოსულა (იხ. Березняки, И., Василий Васильевич Самойлов, Л., ВГО, 1948; В. В. Самойлов, Чествование столетия со дня его рождения 1813—1913, СПб, (1913) და სხვ.).

241. Виноградов — ვასილი ივანეს ძე ვინოგრადოვი (მისი ნამდვილი გვარია აბრამოვი) — პეტერბურგის ალექსანდრინის თეატრის მსახიობი 1824—1827 წლებში. ასრულებდა უმეტესად სახასიათო და კომიკურ როლებს. თბილისში ვინოგრადოვი ჩამოვიდა მხოლოდ 1873 წ. ზაფხულში (მოწვეული იქნა ა. იაბლოჩკინის მიერ მსახიობ ნილსკისთან ერთად) (იხ. Велизарий, М. И., Путь провинциальной актрисы, Л.—М., 1938, გვ. 20, 21, 275; Нильский, Закулисная хроника, СПб, 1897, გვ. 319—330; „К“, 1873, № 78; „ТВ“, 1873, № 85).

242. Арди — ნიკოლოზ ივანეს ძე არდი (ნეჩაიევი) (1834—1890) — პეტერბურგის საიმპერატორო თეატრის დრამატული მსა-

ხიობი და მომღერალი (ტენორი). სცენაზე მოღვაწეობა დაიწყო 1855 წ. 16 წლის განმავლობაში თამაშობდა პროვინციის სცენაზე შემდეგ იგი გადავიდა ალექსანდრინის თეატრში. არდი თბილისის თეატრში მუშაობდა 1868—1869 წლებში (იხ. Велизарий, М. И., Путь провинциальной актрисы, Л.—М., 1838, გვ. 80, 83, 84, 287; Островский, А., Полн. собр. соч., т. 12, М., 1952, გვ. 217; „Артист“, М., 1890, № 7, გვ. 188; „К“, 1868, № 103; ცხსა, ფ. 482, საქ. № 19; 5r—6r).

243. Абаринова — ანტონინა ივანეს ას. აბარინოვა (რეიხელტ) (1942—1901) — რუსული ოპერისა და დრამის მსახიობი. სწავლობდა სიმღერას ჯერ პეტერბურგში, შემდეგ — მილანში. 60-იანი წლების ბოლოს იგი მოღვაწეობდა ოდესაში. 1872 წ. აბარინოვა იწყებს მუშაობას პეტერბურგის დრამატულ თეატრში. 1873 წ. დეკემბრიდან იგი გადადის პეტერბურგის ოპერის დასში. 1878 წ. კვლავ უბრუნდება დრამატულ თეატრს და წარმატებით ასრულებს მთელ რიგ საპასუხისმგებლო როლებს.

თბილისში აბარინოვამ სამი წელი დაჰყო (1870—1873). როგორც იმდროინდელი პრესიდან ჩანს, თბილისელი მყურებლები აბარინოვას მუდამ აღფრთოვანებით ხვდებოდნენ (იხ. მისივე, Воспоминания, „ИВ“, II, 1901, янв., გვ. 213—224; „ЕИТ“, сезон 1897—98, СПб, 1899, გვ. 430—437; Словарь сценических деятелей, II, 1902, вып. I, გვ. I.; „დრ“, 1871, № 6; „К“, 1870, № 130; 1871, №№ 9, 13, 34, 49, 61, 77, 119, 120, 121, 126, 128, 142, 149; 1872, №№ 3, 8, 26, 31; „ТВ“, 1873, № 84).

244. Островский — ალექსანდრე ნიკოლოზის ძე ოსტროვსკი (1823—1886) — დიდი რუსი დრამატურგი.

მისი ნაწარმოები „Гроза“ პირველად წარმოდგენილი იქნა პეტერბურგის თეატრში 1859 წ. გამოქვეყნდა 1860 წელს.

245. იხ. გ. თუმანიშვილის 1873 წ. 11 აპრილით დათარიღებული წერილი, მთ, № 835, 70—71v.

246. Байрон — ჯორჯ-ნოელ გორდონ ბაირონი (1788—1824) — დიდი ინგლისელი მწერალი.

247. Александровский сад — ამჟამად კომუნარების ბაღი. ძველად წარმოადგენდა მეფეების საასპარეზო ადგილს, სადაც იმართებოდა ყაბახი და ფალავანთა კიდაობა. მე-19 ს. 40-იან წლებში ამ ადგილზე ვარჯიშობდა მეფის რუსეთის ჯარი.

1859 წ. ეს ტერიტორია დააპროექტა არქიტექტორმა სიმონსონმა და გააშენეს ბაღი, რომელსაც ალექსანდრეს ბაღი უწო-

დეს. ის იყო პირველი დიდი საზოგადოებრივი დანიშნულებების
ლი თბილისში.



248. Нильский — ალექსანდრე ალექსანდრეს ძე ნილსკი
(1841—1899) — ალექსანდრინის თეატრის მსახიობი. სცენაზე მოღ-
ვაწეობა დაიწყო 1858 წ. ასრულებდა პირველხარისხოვან რო-
ლებს. თანამედროვენი არ იყვნენ მაღალი შეხედულებისა ნილსკის
ოსტატობაზე. თითქმის ყველა მას ახასიათებს, როგორც ერთფე-
როვან მსახიობს. ა. ნილსკი ავტორია წიგნისა „Закулисная хро-
ника 1856—1894“, СПб, 1897. ამ წიგნში იგი მოგვითხრობს
თბილისის გასტროლების შესახებაც (იხ. გვ. 326—330). თბილისში
ნილსკი ჩამოიყვანა იაბლოჩკინმა 1873 წ. (იხ. Глама-Мещерская,
Воспоминания, М.—Л., 1937, გვ. 54, 55; Мичурин-Самойло-
ва, Пол века на сцене Александрийского театра, Л., 1935,
გვ. 217, 223, 228, 268; „ЕИТ“, 1910, вып. 4, გვ. 44—45 და
სხვ.; „ТВ“, №№ 53, 75).

249. а b o v o — დასაწყისიდან, თავიდან.

250. Михайлово — ამჟამად ხაშური.

251. Надиров — რომ. პავლ. ნადიროვი — თბილისის
რეალური გიმნაზიის საპატიო მზრუნველი, დოქტორი. მონა-
წილეობას იღებდა საბანკო საქმეებში. თანამედროვეთა შორის
სარგებლობდა პატივისცემითა და სიყვარულით (იხ. ჟ. „ცისკარი“,
№ 12, გვ. 29—30; 31—40; „ჩკ“ № 1872 გ., გვ. 78).

252. Ново-Сенаки — ამჟამად ცხაკაია.

253. ამ დებეზას ვერ მივაკვლიეთ.

254. ამ დებეზას ვერ მივაკვლიეთ.

255. alma mater — ასე უწოდებდნენ ძველად სტუდენტე-
ბი უნივერსიტეტს, სადაც ისინი სწავლობდნენ და იღებდნენ სუ-
ლიერ საზრდოს.

256. Робинзон-Крузо — ცნობილი ინგლისელი მწერ-
ლის დანიელ დეფოს თხზულება.

257. იგულისხმება ნ. ნიკოლაძის წერილი „Наш театр“ (იხ.
„ТВ“, 1873, №№ 94, 98).

258. იგულისხმება ხელმოუწერელი წერილი „Наши домашние
дела (Пос. рец., ТВ.)“ (იხ. „ჩკ“, 1873, № 107).

259. იგულისხმება კ. ბებუთოვის წერილი „Наша наука и
балаханские источники“ (იხ. ТВ“, 1873, № 95).

260. იხ. კ. ბებუთოვის წერილი „Тифлис“ („ТВ“, 1873,
№ 94).

261. იგულისხმება ნ. ნიკოლაძის (სკანდელის) წერილი „Прелемика о Кутаиском банке“ (იხ. „ТВ“, 1873, № 96).
262. იგულისხმება ფელეტონი: „Еще демон“ (посвящается редакции „Дрозда“ и „Кребули“) (იხ. „ТВ“, 1873, № 95).
263. Горисели — ფსევდონიმი გ. წერეთლის მამის — ექვთიმე წერეთლისა.
264. გორისელმა დ. ერისთავის წერილის „Библиография“ (იხ. „Тифл. Вестн.“, 1873, № 2) საბასუხოდ „დროებაში“ გამოაქვეყნა წერილი, სათაურით „ერთი უგბილიმ“ (სქოლიოში ავტორის მიერ განმარტებულია „გონებით მკვახე“) (იხ. „დრ“, 1873, № 36).
265. Ванечка Псаров — ივანე ფსაროვი — თუმანიშვილების ნათესავი. 1873 წ. სექტემბერში ჩამოვიდა ოდესაში. აქ იგი სწავლობდა კომერციულ სასწავლებელში (იხ. მ. ხელთუბნელი, სალიტერატურო-საზოგადოებრივი წარსულიდან, თბ., 1938, გვ. 221; გ. თუმანიშვილის 3 ოქტომბრით დათარიღებული წერილი, გთ, № 78; მთ, № 506, 117v).
266. ამ დეპეშას ვერ მივაკვლიეთ.
267. 1873 წ. 15 ივნისს გარდაიცვალა ბაბაღე.
268. იხ. „Вестник“, 1873, № 33. კ. ბებუთოვი თავის წერილში გამოთქვამს აღშფოთებას იმის გამო, რომ მიხაილოვას (იგივე იაბლოჩკინა 1) საბენეფისოდ თბილისის საზოგადოება უმზადებს საჩუქრებს, მაშინ როდესაც, ბებუთოვის აზრით, იგი სრულიად უნიჭო მსახიობია.
269. Пнтоев — ისაი ეგნატეს ძე პიტოევი (გარდ. 1904) — საზოგადო მოღვაწე, ხელოვნების დიდი თაყვანისმცემელი. ის იყო ერთ-ერთი დამაარსებელი თბილისის არტისტული საზოგადოებისა და მუსიკალური სასწავლებლის. 1887 წ. იგი იყო თბილისის კერძო თეატრის დირექტორი (პიტოევის ცოლი იყო მსახიობი ქალი ო. ს. მარქსი მეორე), (იხ. Словарь Кавказских деятелей, Тифл., 1890, გვ. 61—62; Г. Туманов, Характеристики и воспоминания, 1905, გვ. 106—113; „НО“, 1888, № 145, გვ. 3).
270. იგულისხმება გ. კალანტაროვის პიესა „ნუ ჯავრობთ“, რომელსაც მან შემდეგში „თბილისის ზნე-ჩვეულებანი“ უწოდა (იხ. ა. ნ. თუმანიშვილის 1873 წ. 5 დეკემბრითა და 1874 წ. 28-29 დეკემბრით დათარიღებული წერილები, გვ. 112, 117, 118).
271. Шах-Азизов — ა. შახ-აზიზოვი — გარდა წიგნების მალაზიისა შახ-აზიზოვს გახსნილი ჰქონდა აგრეთვე ბიბლიოთეკა და სამკითხველო (იხ. „R“, 1873, № 150; 1874, № 52).

272 გ. თუმანიშვილის 1873 წ. 12 დეკემბრით დათარიღებული წერილი იხ. გთ. № 178, 14r—15v.

273. Анненков—პავლე ვასილის ძე ანენკოვი (1812—1887)—რუსი კრიტიკოსი. მისი ცნობილი თხზულებებია: „Замечательное десятилетие (1838—1848)“, „Литературные воспоминания“, „Молодость И. С. Тургенева“, „И, В. Станкевич“, „А. С. Пушкин в Александровскую эпоху“ და სხვ.

274. Пушкин—ალექსანდრე სერგის ძე პუშკინი (1799—1837)—დიდი რუსი მწერალი.

275. Вестник Европы—ჟურნალი. გამოდიოდა პეტერბურგში 1866 წ. მარტიდან 1918 წლამდე. გამომც. — რედ. — მ. მ. სტასულევიჩი. 1909 წლიდან გამომცემელი — მ. მ. კოვალევსკი, რედ. — კ. კ. არსენევი. 1917 წლიდან გამომც. — დ. ნ. ოვსიანიკო-კულიკოვსკი, რედ. — დ. ი. გრიმი.

276. იმ წერილს, რომელშიაც გ. თუმანიშვილი კონკრეტულად ასახელებს თავისი სადისერტაციო შრომის თემას, ვერ მივაკვლიეთ.

277. „ცისკარი“ — ჟურნალი. გამოდიოდა 1852—1853 და შემდეგ 1857—1875 წლებში. ყოველთვიური გამოცემა. რედაქტორი — გამომცემლები: გიორგი ერისთავი (1852—1853), ივანე კერესელიძე (1857—1875).

278. იგულისხმება გრ. ორბელიანის ლექსი „პასუხი უდირსთა შვილთა“, რომელიც მან გამოაქვეყნა „ძველი სემინარისტის“ ფსევდონიმით „ცისკარში“ 1874 წ. (ივლისი-აგვისტო).

279. ან. თუმანიშვილის 1875 წ. 14 იანვრით დათარიღებული წერილი გიორგისადმი იხ. გვ. 118—120.

280. იგულისხმება გრ. ორბელიანის წერილი „მგზავრობა სვანეთისაკენ. გ. წ. განხილვა“, რომელიც მან გამოაქვეყნა „ძველი სემინარისტის“ ფსევდონიმით „ცისკარში“ 1874 წ. (სექტ.-ოქტ.). ამ წერილში გრ. ორბელიანი მკაცრად აკრიტიკებს გ. წერეთლის ნაწარმოების „მგზავრის წიგნების“ ენას.

281. Цагарели—ალექსანდრე ანტონის ძე ცაგარელი (1844—1920)—საზოგადო მოღვაწე, ისტორიკოსი და ფილოლოგი. 1886 წ. — ს. პეტერბურგის ქართული და სომხური სიტყვიერების კათედრის პროფესორი. ალ. ცაგარელს აქვს შრომები ლინგვისტიკაში, ლიტერატურის ისტორიაში, ისტორიასა და არქეოლოგიაში (იხ. ალ. ცაგარელი, „ჩემი იუბილე“, ე. „ქართული



მწერლობა“, 1927 წ. მარტი-აპრილი; ა კ. შანიძე, პროფ. ალ. ცაგარელი, უნივერსიტეტის მოამბე, 1930, № 10; თ. ჭყონია, ალ. ცაგარელი და ძველი ქართული ლიტერატურა, ჟურნ. „ლიტერატურული ძიებანი“, 1948; გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1954, № 4).

282. გ. თუმანიშვილის ამ წერილს ვერ მივაკვლიეთ.

283. ამ წიგნში გამოქვეყნებული ბაბაღე თუმანიშვილის წერილები დატულია გთ, № 1075, ხოლო 1872 წ. 5 მარტით დათარიღებული — გთ, № 485.

284. დაჯილდოებულ პირთა სია იხ. „K“, 1871, №№ III, II6, II7, II8, II9.

285. В. Княгиня — Великая Княгиня, ოლა თეოდორეს ასული — დიდი მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის მეუღლე, ქალთა გიმნაზიებისა და პროგიმნაზიების დამაარსებელი და მზრუნველი („Kk на 1899“, გვ. 1).

286. „Жизнь за царя“ — კომპოზიტორ გლინკას ნაწარმოები.

287. „Prince—Caniche“ (sic) „Le prince Canihe“ (პრინცი კანიში) — ფრანგი მწერლის ედუარდ ლაბულაიეს ნაწარმოები.

288. „Revue Positive“ — „პოზიტიური მიმოხილვა“.

289. Сеченов — ივანე მიხეილის ძე სეჩენოვი (1829—1905) — დიდი რუსი ბუნებისმეტყველი, რუსული ფიზიოლოგიური სკოლის ფუძემდებელი.

1870—1876 წლებში, როდესაც გიორგი თუმანიშვილი ოდესაში სწავლობდა, სეჩენოვი იყო ნოვოროსიის უნივერსიტეტში ფიზიოლოგიის კათედრის გამგე.

290. Дарвин — ჩარლზ რობერტ დარვინი (1809—1882) — დიდი ინგლისელი ბუნებისმეტყველი, ევოლუციური თეორიის, დარვინიზმის, ფუძემდებელი.

291. Иванов — ი. ა. ივანოვი — ბიბლიოთეკისა და წიგნების მალაზიის მფლობელი (იხ. „დრ.“ 1870, № 47; 1871, № 11; 1876, № 50).

292. ვ. თუმანიშვილის ამ წერილს ვერ მივაკვლიეთ.

293. Циммерман — ედუარდ ციმერმანი — მისი ნაწარმოები „Путешествие по Америке в 1869—1870 г.“ გამოიცა მესამედ 1872 წელს.

294. Измаилов — პავლე იზმაილოვი (1852—1895) — საზოგადო მოღვაწე. 1873 წ. ნ. ნიკოლაძის, დ. მიქელაძისა და

3. იზმაილოვის თაოსნობით პარიზში გამოვიდა პექტოგრაფიული
გაზეთი „დროშა“. 1878 წლიდან იზმაილოვი რედაქტორობდა
„ტიფლისკი ვესტნიკს“. 1893 წ. იგი არჩეულ იქნა ქალაქის თა-
ვად (იხ. Г. Туманов, Характеристики и воспоминания, Тиф.,
1900, გვ. 79—101.; „К“, 1895, № 62, 74; „Нива“, 1895, № 13;
315—316; „НО“, 1895, №№ 3842, 3843; „ТЛ“, 1895, № 54).

295. Церетели — გიორგი ექვთიმეს ძე წერეთელი (1842—
1900)—ცნობილი საზოგადო მოღვაწე, მწერალი და ჟურნალისტი.

296. Месхи — სერგეი მესხი (1844—1883) — საზოგადო მო-
ღვაწე, ჟურნალისტი და პუბლიცისტი, გაზ. „დროების“ რედაქ-
ტორი (იხ. გ. აბზიანიძე, ნარკვევები XIX ს. ქართული საზოგა-
დოებრივი აზროვნების ისტორიიდან, თბ., 1959; მ. გაფრინდა-
შვილი, ნარკვევები XIX ს. ქართული საზოგადოებრივი აზროვნე-
ბის ისტორიიდან, თბ., 1959; დ. მესხი, მოგონებანი, თბ., 1940;
ი. მეუნარგია, ქართველი მწერლები, II, თბ., 1957; ს. მესხი,
წერილები, ი. ბოცვაძის რედაქც. გამოცემული, სოხუმი, 1950).

297. Шедрин — მიხეილ ევგრაფის ძე სალტიკოვ-შჩედრი-
ნი (1826—1889)—გამოჩენილი რუსი მწერალი-სატირიკოსი.

შჩედრინის ნაწ. „Ташкенцы приготовительного класса“
იბეჭდებოდა 70-იან წლებში ჟურნალში „ოტჩეტსტვენნიე ზაპისკი“.

298. იგულისხმება ვლ. ჟელიხოვსკის რეცენზია, იხ. „К“,
1871 წ., № 120.

299. ვლ. ჟელიხოვსკი თავის რეცენზიაში წერს, თუ რა რე-
აქცია მოახდინა დამსწრეებზე, როდესაც სცენაზე წარმოადგინეს
იმპერატორის ქანდაკება და ორკესტრმა დაუკრა ჰიმნი: „Описать
восторг зрителей нет слов. Такие минуты переживаются в ча-
ду какого-то опьянения. Видел я слезы на многих глазах; ви-
дел, как старый кавказский ветеран, выхватив у музыканта
палки, начал ими колотить по барабану и кричать ура! Видел
я, как старик-генерал колотил своей пашкой по барьеру; ви-
дел, как целовались и обнимались мужчины, как женщины и
дети махали платками и кричали ура!...“

300. იგულისხმება სკანდელის (ნ. ნიკოლაძის) წერილი „От-
рывки о Кавказе“, რომელიც დაბეჭდილია 1871 წ. „ს. პეტერ-
ბურგის ვედომოსტის“ არა 277, არამედ 220, 225 და 227 ნომ-
რებში.

301. Колубанская — ალექსანდრა მიხეილის ას. კოლუ-
ბანსკაია—80-იან წლებში ის იყო ამიერკავკასიის ქალთა ინსტი-

ტუტის სამოსწავლო ნაწილის წევრი და ქართული ენის მასწავლებელი ამიერკავკასიის ქალთა ინსტიტუტში (იხ. „КК на 1885“ № 91).

302. Олендорф — ჰენრიხ გოტფრიდ ოლენდორფი (1803—1865)—პროფესორი. 1871 წ. გამოქვეყნდა მისი სახელმძღვანელო „Новые методы выучиться правильно читать, писать и говорить на французском языке в 6 месяцев“, М., тип. Ф. Иогансон, 1971.

303. გ. თუმანიშვილის ამ წერილს ვერ მივაკვლიეთ.

304. Весминстерское Агнѣтство — პეტრე მოციქულის ტაძარი ლონდონში, სადაც დაკრძალულნი არიან მეფეები და გამოჩენილი პირები.

305. Нерон — კლავდიუს ცეზარი ნერონი (37—68) — რომის იმპერატორი, ცნობილი თავისი დესპოტიზმით.

306. Вашингтон — ჯორჯ ვაშინგტონი (1732—1799) — ცნობილი სახელმწიფო მოღვაწე, ამერიკის შტატების პირველი პრეზიდენტი.

307. Божий — ივ. ღ. ბოკი — მასწავლებელი. თბილისის რეალურ სასწავლებელში ასწავლიდა ფიზიკასა და ქიმიას (იხ. „КК на 1870 г.“, გვ. 69; „К на 1872 г.“, გვ. 78).

308. იგულისხმება გერმანელი მეცნიერის მედიცინის დოქტორის ო. ი. დრესლერის წიგნის რუსული თარგმანი „Очерк физической антропологии. Руководство для педагогических курсов и учительских семинарии“, რომელიც გამოიცა ი. პაულსონის რედაქციით ს. პეტერბურგში 1870 წელს.

309. გ. თუმანიშვილის დედისადმი გაგზავნილ ამ წერილს ვერ მივაკვლიეთ.

310. იგულისხმება გ. თუმანიშვილის 1871 წ. 29 ოქტომბრით დათარიღებული წერილი (იხ. მთ, № 835, 15r—17v).

311. Мамука Орбелиани — მამუკა თომას ძე ჯამბაკურ-ორბელიანი — გენერალ-მაიორი, 32 წლის შეთქმულების მონაწილე, რომელმაც შემდეგში თავი გამოიჩინა კავკასიის ბრძოლებში. დაკრძალულია სიონის ტაძარში.

ვლ. ჟულიხოვსკიმ ლექცია მამუკა ორბელიანზე წაიკითხა 1871 წ. 15 ნოემბერს რეალური გიმნაზიის დარბაზში (მამუკა იყო ვლ. ჟულიხოვსკის მამის მეგობარი) (იხ. დ. ყიფიანი, მემუარები, თბ., 1930, გვ. 106; „დრ“, 1884, № 80, გვ. 2; „თტრ“, 1886, № 37, გვ. 428; „ცის“, 1871, № 11—12, გვ. 787—799).



312. იგულისხმება რუსეთის სინოდის ეგზარხოსი ევსევი ილინსკი (1858—1877).

313. Сушлова — ნადეჟდა პროკოფის ასული სუსლოვა (1843—1918) — ერთ-ერთი პირველი ექიმი ქალი რუსეთში, მედიცინის დოქტორი (იხ. Розова, К., Первая русская женщина врач, „Фельдшер и акушерка“, 1845, № 3; Смирнов, А., первая русская женщина, врач, М., 1960).

314. Глеб Успенский — გლებ ივანეს ძე უსპენსკი (1843—1902) — რუსი მწერალი, რევოლუციონერ-დემოკრატი.

315. „Наблюдения провинциального лентяя“ — ამ ნაწარმოების პირველი ორი თავი დაიბეჭდა ჟურნ. „ოტჩინესტვ. ზაპისკის“ 1871 წ. სექტემბრის ნომერში.

316. Оффенбах — ჟაკ (იაკობ) ოფენბახი (1819—1880) — ფრანგი კომპოზიტორი, კლასიკური ოპერეტის ერთ-ერთი ფუძემდებელი.

317. Михайловский — ნიკოლოზ კონსტანტინეს ძე მიხაილოვსკი (1842—1904) — რუსი პუბლიცისტი და კრიტიკოსი. მიხაილოვსკის ეკუთვნის მრავალი ნარკვევი, სტატია, შენიშვნა და რეცენზია რუსი და უცხოელი მწერლების ცალკეულ ნაწარმოებთა შესახებ.

318. იგულისხმება მიხაილოვსკის წერილი „Дарвинизм и оперетки Оффенбаха“ (იხ. Михайловский, Н. К., Соч., т. I, С. П., 1896, გვ. 391—422).

319. Мольтке — ხელმუტ კარლ ბერნჰარდ მოლტკე (1800—1891) — გრაფი, პრუსიელი, ფელდმარშალი და რეაქციული სამხედრო მწერალი. გერმანიის იმპერიის პირველი კანცლერის — ბისმარკის თანამოღვაწე, იმპერატორ ვილჰელმ I-ის მეგობარი და აღმზრდელი.

320. Бисмарк — ოტო ბისმარკი (1815—1898) — სახელმწიფო მოღვაწე, პრუსიისა და გერმანიის დიპლომატი.

321. იხ. გ. თუმანიშვილის 1871 წ. 16 ნომერით დათარიღებული წერილი, გვ. 135—137.

322. „Пасынок“ — თ. ტოლსტოის ოთხმოქმედებიანი დრამა.

323. „Блестящая партия“ — ვ. ა. დიაჩენკოს ოთხმოქმედებიანი დრამა.

324. Исак Туманов — ისაკ შიოშის ძე თუმანიშვილი — გენერალ-ლეიტენანტი, რუსული გეოგრაფიული საზოგადოების



კავკასიური განყოფილებისა და ამიერკავკასიის ქალთა ინსტიტუტის საბჭოს წევრი (იხ. „КК на 1870 г.“, გვ. 73; „КК на 1872 г.“, გვ. 22, 113, 124).

325. Неверов — იანუარ ნევეროვი (1810—1893) — 1867—1878 წლებში კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველი, ამავე დროს რუსული ტექნიკური საზოგადოების კავკასიური განყოფილების ნამდვილი წევრი (იხ. „КК на 1873 г.“, გვ. 126).

326. Антонов — ზურაბ ანტონოვი (1820—1854) — დრამატურგი. მისი დრამატული ნაწარმოებებია: „მზის დაბნელება საქართველოში“, „მე მინდა კნეინა გავხდე“, „ქმარი ხუთი ცოლისა“, „განა ბიძიამ ცოლი შეირთო“, „ხევსურთა ქორწილი“, „ტივით მოგზაურობა ლიტერატორთა“, „ქოროლი“ (იხ. ილ. ჭავჭავაძე, რჩ. ნაწ., ტ. II, გვ. 304; ელ. აბრამიშვილი, ზურაბ ანტონოვი, ბათუმი, 1959; დ. გამეზარდაშვილი, ნარკვევები ქართული რელიზმის ისტორიიდან, თბ., 1961, გვ. 197—270; ანბ. გაჩეჩილაძე, ნარკვევები XIX ს. ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, თბ., გვ. 130—147).

327. Кипиани — ელენე ყიფიანი (1855—1890) — ცნობილი საზოგადო მოღვაწის დიმიტრი ყიფიანის ქალიშვილი, შემდეგში — ანტონ ლორთქიფანიძის მეუღლე. საზოგადო მოღვაწე, მთარგმნელი, აქტიურ მონაწილეობას იღებდა საქართველოს თეატრალურ ცხოვრებაში (იხ. „დრ“, 1871, № 6; 1875, №№ 88, 94, 145; „ივ“, 1890, № 251; „კვ“, 1894, № 45).

328. Бесарион Гогоберидзе — ბესარიონ ლევარსის ძე ლოლობერიძე (1832—1879) — საზოგადო მოღვაწე, ერთხანს ეწეოდა პედაგოგიურ მუშაობას. 1872 წ. იგი იყო ამიერკავკასიის ქალთა ინსტიტუტში სამოსწავლო ნაწილის გამგედ და პედაგოგიკის მასწავლებლად. 1873 წ. შეადგინა ქუთაისის საადგილმამულო ბანკის პროექტი. 1876 წ. იგი არჩეულ იქნა ქუთაისის საადგილმამულო ბანკის თავმჯდომარედ (Баскаков, В. Г., Мироззрение Чернышевского, М., 1956, გვ. 151, 230, 235; კ. მეძველია, თერგდალეულები და რუსეთის სამოციანი წლების რევოლუციამდელი მოღვაწეები, ნაწ., 1, თბ., 1959; პ. რატიანი, ქართველი ხალხის რევოლუციურ განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიიდან, „მნათობი“, 1960, № 4, გვ. 158—164; ს. ცაიშვილი, სახალხო განათლების ქართველი მოღვაწეები და სახალხო მასწავლებლები, 1, თბ., 1953, გვ. 63—68; „КК на 1872 г.“, გვ. 87).



329. „Рефлексы головного мозга“ — ი. სეჩენოვის შრომა, რომელიც ცალკე წიგნად გამოვიდა 1866 წელს.
330. Челокаев — ალექსანდრე ზაალის ძე ჩოლოყაშვილი — 70-იან წლებში თბილისის სათავადაზნაურო ბანკის მმართველობის წევრი (იხ. „КК на 1877—1878 гг.“, გვ. 31; „საქართველოს კალენდარი“, გვ. 447—468).
331. გიორგიმ ბაბაღეს გამოუგზავნა იუმანის „უახლესი განათლება“, „ავსტრალია“, „სკოლის ჰიგიენა“, ბოკის რომელიღაც წიგნი და ლასალის, ფურიეს, დალამბერის, გერშელის, შჩეპკინისა და ოფენბახის სურათები (იხ. მთ, № 835, 35r).
332. Бокн — კ. ბოკი — მე-19 ს. მე-2 ნახვრის მოღვაწე, პათოლოგიური ანატომიის პროფესორი ლაიპციგში.
- ფეიქრობთ, ვ. თუმანიშვილი კითხულობდა კ. ბოკის წიგნის რუსულ თარგმანს „Человеческое тело, его строение, жизнь и холя“, რომელიც გამოიცა ი. პაულსონის რედაქციით ს.—პეტერბურგში 1871 წ.
333. იგულისხმება გ. თუმანიშვილის 1862 წ. 20 თებერვლით დათარიღებული წერილი (იხ. მთ, № 835, 35r—36v).
334. როგორც გ. თუმანიშვილის წერილიდან ჩანს, თბილისიდან ოდესაში ჩასული ივ. თარხნიშვილი გამოთქვამდა აღფრთოვანებას ქართველი ახალგაზრდების გამო (იხ. მთ, № 835, 35r).
335. Тарханова — ეკატერინე რევაზის ას. თარხნიშვილი გაბაშვილისა (1851—1938) — ცნობილი ქართველი მწერალი ქალი, საზოგადო მოღვაწე, თანამშრომლობდა თითქმის ყველა პერიოდულ გამოცემაში. ამავე დროს ის იყო ქართველთა შორის წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრი და ქალთა სკოლა-სამკერვალოს გამგე (იხ. ე. ქარელიშვილი, გაბაშვილი ეკატერინე, თბ., 1953).
336. Россель — ლუი ნათანიელ როსელი (1844—1871) — მონაწილეობას იღებდა პარიზის კომუნაში. 1871 წ. ნოემბრის 28-ს იგი დახვრიტეს.
- 1871 წ. „დროებაში“ (№ 50) დაიბეჭდა როსელის დღიური „ჩემს მშობლებს“.
- 1872 წ. ელენე ყიფიანმა თარგმნა ფრანგული ენიდან „უკანასკნელი დღენი ნათანიელ როსელისა“ (იხ. „თარგმანნი საამო საკითხავთა წიგნთა“, 1872, გვ. 111—142).
337. „Американка XVIII века“ — მოთხრობა „მეტე-რამეტე საუკუნის ამერიკელი ქალები“ თარგმნა ეკ. მელიქიშვილმა

და გამოაქვეყნა 1872 წ. წიგნში; „თარგმანნი საამო საკითხავთა წიგნთა“.

338. „Жюль-Тарро“ — ეს მოთხრობა ფრანგულიდან თარგმნეს ელენე ყიფიანმა, ეკატერინე მელიქიშვილმა და ეკატერინე გაბაშვილმა და გამოაქვეყნეს 1872 წელს წიგნში „თარგმანნი საამო საკითხავთა წიგნთა“, გვ. 65—116.

ს. მესხის რეცენზია მთარგმნელ ქალთა შესახებ იხ. „ღრ“, 1872, № 44.

339. И. Маманев — იოსებ ქრისტეფორეს ძე მამაცაშვილი (გარდ. 1874 წ.) — კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭოს წევრი, სტატისკი სოვეტნიკი (იხ. „КК на 1872 г.“, გვ. 26; „КК на 1873 г.“, გვ. 26, 27, 119; „К“, 1874, № 147).

340. Симонович — ვფიქრობთ, ადელიდა სიმონოვიჩის მეუღლე უნდა იყოს (იხ. კომენტარი 344).

341. Ламарк — ჟან ბატისტ პიერ ანტუან ლამარკი (1744—1829) — გამოჩენილი ფრანგი ბუნებისმეტყველი.

342. А. Пурцеладзе — ანტონ ფურცელაძე (1839—1919) — მწერალი, პუბლიცისტი (იხ. მ. ზანდუკელი, ახალი ქართული ლიტერატურა, ტ III, 1955; შ. რადიანი, ახალი ქართული ლიტერატურა, წიგ. II, 1950; ვ. ვახანია, ანტონ ფურცელაძის მსოფლმხედველობა, თბ., 1958).

343. იგულისხმება „მაცი-ხვიტია“, რომელიც გარჩეულია სტატიაში „დიდი მარხვის მიმოხილვა“, წერილს ხელს აწერს „ქოლო-ბუზა“ (იხ. „ღრ“, 1872, № 9).

344. Симонович — ადელიდა სიმონოვიჩი — გახსნილი ჰქონდა თბილისში (სოლოლაკში) კერძო საბავშვო ბაღი და პირველ დაწყებითი სასწავლებელი ქალებისა და ვაჟებისათვის (იხ. „ღრ“, 1871, № 2; „К“, 1872, № 101; „К“, 1874, № 50).

345. Надеждина — მარიამ ალექსანდრეს ას. ნადეჟდინა — გეოგრაფიისა და არითმეტიკის მასწავლებელი ამიერკავკასიის ქალთა ინსტიტუტში (იხ. „КК на 1872 г.“, გვ. 87).

346. Ворѣпаев — ვ. ვოროპაევი — ასწავლიდა არითმეტიკას თბილისის წმინდა ნინოს ქალთა სასწავლებელში (იხ. „КК на 1872 г.“, გვ. 90).

347. იგულისხმება ილ. ჭავჭავაძის „გამოცანები“, რომელიც დაიწერა ანონიმურად და რომელიც ხელნაწერის სახით ვრცელდებოდა. როგორც ცნობილია, ავტორი ამ ლექსში დასცინის იმ პირებს, რომლებიც ალექსანდრე II-დმი წარდგენილ ადრესში,

ნაცვლად უნივერსიტეტის დაარსებისა, მოითხოვდნენ კადრებს კორპუსის გახსნას.

348. Илиашенко-Иляшенко — თეოდორე დიმიტრის ძე ილიაშენკო — კავკასიის სამოსწავლო ოლქის ინსპექტორი („КК на 1874 г.“, გვ. 13).

349. Гамлет — შექსპირის ცნობილი ტრაგედიის „ჰამლეტის“ მთავარი მოქმედი პირი.

350. Голембладт (sic). Гольмбладт — ედუარდ რომანის ძე გოლმბლადტი — საოლქო-სამხედრო მედიცინის ინსპექტორი („КК на 1873, г.“, გვ. 129, 146).


351. იგულისხმება სოლოგუბის ხელმოუწერილი წერილი „Внутренния известия“ (იხ. „К“, 1872, № 24).

352. „Эмиль“ — ჟან-ჟაკ რუსოს ნაწარმოები.

353. „Африканка“ — კომპოზიტორ მეიერბერის ოპერა, ლიბრეტო ე. სკრიბის. პირველად წარმოდგენილი იყო პარიზში 1865 წ. 28 აპრილს.

354. Глебова — მარიამ მიხეილის ას. გლებოვა (1840—1919) — რუსი მსახიობი და ანტრეპრენიორი. 1861—1864 წლებში იგი მუშაობს ალექსანდრინის თეატრში, შემდეგ წარმატებით მოღვაწეობს პროვინციის ქალაქებში (თბილისი, სარატოვი, ოდესა, ნიჟნი-ნოვგოროდი, ხარკოვი, ყაზანი, კიევი). 1866—1870 და 1882—1883 წლებში იგი კვლავ ალექსანდრინის თეატრშია. 1902 წლიდან, როდესაც გარდაიცვალა მისი მეუღლე, ცნობილი მსახიობი და ანტრეპრენიორი — სოლოვცოვი, იგი ხელს ჰკიდებს ანტრეპრენიორობასაც.

გლებოვა ითვლებოდა შესანიშნავ მსახიობად და თბილისელ მაყურებლებშიაც დიდ მოწონებას იმსახურებდა. ერთ-ერთი ბენეფისის დროს თბილისელებს მისთვის მიუტომევიათ საჩუქრები, რომელთა ღირებულება 300 თუმნამდე აღწევდა (იხ. Глама-Мещерская, А. Я., Воспоминания, М.—Л., 1937, გვ. 89, 289—290, 392; Ленин, М., Пятьдесят лет в театре. Театральные мемуары, М., ВТО, 1957, გვ. 26; Савина, Г. М., Горести и скитания, записки 1854—1877, Л., 1927, გვ. 146—149, 151, 152, 155; Синельников, Н. И., Шестьдесят лет на сцене, Харьков, 1935, გვ. 123, 143, 192; Немирович-Данченко, Первые театральные воспоминания, „НМ“, 1943, № 1, გვ. 26; „დრ“, 1871, № 6; „К“, 1871, №№ 19, 59, 85, 135; 1872, № 17; ცსსა, ფ. 482, საქ. № 31.



355. Симонович — გეოლოგიის პროფესორი. სწავლობდა თბილისის გიმნაზიაში პეტრე მელიქიშვილთან ერთად (იხ. პეტრე მელიქიშვილის ცხოვრება და შრომები, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოცემა, 1941, გ. XXXVII).

1872 წლის თებერვალში გიორგიმ სიმონოვიჩის ოდესიდან თბილისში გამოატანა წერილი, წიგნები და სურათები ბაბალესათვის (იხ. მთ., № 835, 35რ).

356. ბაბალეს ამ წერილში კვლავ ლაპარაკია ილ. ჭავჭავაძის „გამოცანებზე“. ამ ლექსის ერთ-ერთი ხელნაწერის განმარტებაში იასე ჭავჭავაძის ნაცვლად იასე ანდრონიკაშვილია დასახელებული (იხ. ილია ჭავჭავაძე: ტ. 1, თბ., 1951, გვ. 388—389, სქოლიო). როგორც ჩანს, ბაბალეს სწორედ ეს ხელნაწერი აქვს მხედველობაში, როდესაც წერს: იასე კ ი ა რ ა, მაგრამ დიმიტრი ჯორჯაძე ძრიელ ჯავრობსო...

დიმიტრი ჯორჯაძის შესახებ ილ. ჭავჭავაძის გამოცანებში წერია:

„პირტიტველა და ქროდთვალა,
თავმდაბლად გამომხედია,
არც კარგი, არცა რამ ავი
მის ხელთ არ უმოკმედია.
ყველას უყვარს, ყველა უყვარს,
ყველასთვის მეტად ტკბილია,
ზემოთქმულ ღობემძვრალისა
უკან მიმყოლი ჩრდილია.
მე ვიცი, რომ ქვეყნისადმი
მის გულში ტრფობა დიდია,
მაგრამ საქმით კი ქვეყანა
მასაც ფეხებზედ ჰკიდია“

(ილია ჭავჭავაძე, ტ. I, თბ., 1951, გვ. 87).

357. იხ. გ. თუმანიშვილის 1872 წ. 9 ნოემბრით დათარიღებული წერილი, მთ, № 835, 52—53 ვ.

358. „Парижские письма“ — ბერნეს საუკეთესო პუბლიცისტური ნაწარმოები, რომელსაც იგი 1830—1834 წლებში წერდა.

359. Свифт — ჯონათან სვიფტი (1667—1745)—გამოჩენილი ინგლისელი მწერალი, სატირიკოსი.

მისი ნაწარმოები „გულივერის მოგზაურობა“ პირველად 1826 წ. გამოიცა.

360. „დროების“ 1872 წ. № 44-ში მოთავსებულია შემდეგი განცხადება: „ე. ვ. მამაცოვისა იყვანს შაგირდათ ქალებს და მუქ-თად ასწავლის ქალებს ფეხსაცმლის კერვასა და წერა-კითხვას“.

361. Денисенко — მიხეილ სიმონის ძე დენისენკო — რუსული ენისა და სიტყვიერების მასწავლებელი ამიერკავკასიის ქალთა ინსტიტუტში. გახსნილი ჰქონდა კერძო სასწავლებელი ქალებისათვის სოლოლაკში (იხ. „КК на 1872 г.“, გვ. 87; „К“, 1874, № 68).

362. იგულისხმება გ. ა. კალანტაროვი (იხ. კომენტ. 134).

363. იგულისხმება ბერმენის სამოსწავლებო სემინარიის დირექტორის ავგუსტ ლუბენის წიგნის თარგმანი რუსულ ენაზე „Руководство к систематическому изучению зоологии и антропологии для школ и самообучения, რომელიც გამოიცა ს. პეტერბურგში 1871 წ.“

364. იხ. ბ. თუმანიშვილის 1872 წ. 20 ნომბრით დათარიღებული წერილი, გვ. 95—96.

365. ახალი წესდების თანახმად უნდა დაარსებულიყო გრძელვადიანი საადგილმამულო ბანკი.

366. Абамяликов — ნიკოლოზ მიხეილის ძე აბამელიქოვი — თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო დაწესებულებათა 1 განყოფილების მოსამართლე (იხ. „КК на 1871 г.“, გვ. 36).

367. ილ. ჭავჭავაძის სიტყვა, წარმოთქმული ბანკის თაობაზე იხ. „დრ“, 1872, № 41; „ტიფლისკი ვესტნიკში“ არ დაბეჭდილა.

368. С. Мещников — სტეფანე გრიგოლის ძე მელიქიშვილი — ძმა პეტრე და ეკატერინე მელიქიშვილებისა. საზოგადო მოღვაწე, გაზ. „დროების“ გამომცემელი. მანვე დაარსა ქართული სტამბა (იხ. ეკ. მელიქიშვილი, ჩემი ბავშვობის მოგონებანი წიგნში „საბავშვო ლიტერატურის მოამაგენი“, თბ., 1959, გვ. 147—148; „НО“, 1887, № 1383, გვ. 2).

669. Беранже — პიერ ჟან ბერანჟე (1780—1857) — ფრანგი პოეტი, დემოკრატი.

370. Стефенсон — ჯორჯ სტეფენსონი (1781—1848) — გამოჩენილი ინგლისელი გამომგონებელი, საფუძველი ჩაუყარა ორთქლის რკინიგზის ტრანსპორტის განვითარების საქმეს.

371. Смайц — სამუილ სამაილსი (დაიბადა 1816 წ.) — ცნობილი ინგლისელი მწერალი, ერთხანს იგი იყო რკინიგზელთა საზოგადოების მდივანი.



372. იხ. „ოტეჩ. ზაბ.“, 1872 წ. № 10, გვ. 331—366. ხელნაწილი აწერს „М. М.“ ამ ნაწარმოების გაგრძელება დაიბეჭდა იმავე ჟურნალის ნომერ 11-სა და 12-ში.

373. იგულისხმება გ. თუმანიშვილის 1872 წ. 21 დეკემბრით დათარიღებული წერილი (იხ. მთ. № 835, 57—58).

374. 1872 წ. 21 დეკემბრით დათარიღებულ წერილში გიორგის აღწერილი აქვს მათი ოჯახის სამზადისი ახალი წლის წინაღამეს. საერთო ფუსფუსში მხოლოდ ტასო არ იღებს მონაწილეობას, იგი კითხულობს ციურისის უნივერსიტეტის პროფესორის ბემერტის სტატიაა „ქალები ციურისის უნივერსიტეტში“.

375. იგულისხმება დ. ერისთავის ფელეტონი „Сон накануне нового года“ (იხ. „ТВ“, 1873; № 1). ხელს აწერს ფსევდონიმით „Отыскивающий княжеское звание, Мартин Залекашвили“.

376. Нико Чавчавадзе — ნიკოლოზ დიმიტრის ძე ჭავჭავაძე — საოლქო სასამართლოს თავმჯდომარე (იხ. „КК на 1873 г.“, გვ. 23, 32).

377. Вано Эрстов — ივანე ერისთავა — ლიტერატორი, მთარგმნელი, დავით ერისთავის სკოლის ამხანაგი (იხ. ი. მეუნარგია, ქართველი მწერლები, თბ., 1954, გვ. 372—374; „დრ“, 1872, № 14, გვ. 1).

378. იგულისხმება თამარ მიხეილის ასული შერვაშიძე.

379. Шервашидзе — გიორგი მიხეილის ძე შერვაშიძე (1846—1918) — პოეტი, დრამატურგი; აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის შვილი, მეუღლე ერასტი ანდრეევსკის ქალიშვილის — ელენესი (ს. ჯანაშია, გიორგი შერვაშიძე, მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, 1940, ნაკვ. II).

380. Гагарина — სოფიო ანდრიას ას. გაგარინა — წმ. ნინოს სახელობის ქალთა საქველმოქმედო საზოგადოების წევრი. მისი თაოსნობით 1882 წ. თბილისში დაიდგა „ვეფხისტყაოსნის ცოცხალი სურათები“ (იხ. „КК на 1872 г.“, გვ. 89; „დრ“, 1882, № 54).

381. „Рус. вест.“ — „Русский Вестник“ — ლიტერატურული და პოლიტიკური ჟურნალი. გამოდიოდა მოსკოვში 1856—1887 წლებში, რედაქტ. გამომც. — მ. ნ. კატკოვი.

382. Спенсер — ჰერბერტ სპენსერი — ინგლისელი ფილოსოფოსი, ევოლუციური თეორიის მიმდევარი. ერთხანს მასწავ-



ლებლობდა, შემდეგ ხელი მიჰყო საინჟინერო საქმეს. 1849-1850 წლებში დაწინაურდა პუბლიცისტობას.

მისი შრომის „Научные, политические и философские опыты“ თარგმანი რუსულ ენაზე გამოქვეყნდა 1866 წ. ს.—ბეტერბურგში.

383. ზ. ანტონოვის კომედია „მზის დაბნელება საქართველოში“ წარმოდგენილი იყო 1873 წ. 8 თებერვალს.

384. იხ. „ТВ“, 1873, № 18.

385. ამ წერილს ვერ მივაკვლიეთ.

386. 1873 წ. 2 თებერვალს „დროებაში“ გამოქვეყნდა „ქართველი კათოლიკეს“ წერილი „კათოლიკების სასწავლებლებზე“, რომელშიაც ავტორი აკრიტიკებდა კათოლიკური ეკლესიის მსახურებს. ამ წერილს კრიტიკით უპასუხა გაზ. „კავკაზში“ სტადლინმა (იხ. „О наших полемизаторах“, „К“, 1873, № 16).

387. იგულისხმება ნ. ნიკოლაძის წერილი „იმერეთის ამბები („დროების“ კორესპონდენცია)“, რომელშიაც ავტორი მძაფრად აკრიტიკებს საქართველოს სატრანსპორტო მეურნეობას (იხ. „დრ“, 1873, № 5).

388. Кир. Лордкипანიძე — კირილე ბეჟანის ძე ლორთქიფანიძე (1839—1919) — საზოგადო მოღვაწე, პუბლიცისტი და ჟურნალისტი. თანამშრომლობდა „საქართველოს მოამბეში“, „ცისკარსა“ და „დროებაში“. 1873—1874 წლებში, როდესაც „დროების“ რედაქტორი ს. მესხი გაემგზავრა საზღვარგარეთ, ამ გაზეთის რედაქტორობა კ. ლორთქიფანიძემ იკისრა. გარდა ამისა, კ. ლორთქიფანიძე დიდი ხნის განმავლობაში იყო ქუთაისის ბანკის დირექტორი (გ. აბზიანიძე, ნარკვევები XIX ს. ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიიდან, თბ., 1959; კ. მეძველია, კ. ლორთქიფანიძე — პუბლიცისტი და მოაზროვნე, „ქუთაისის პედ. ინსტიტუტის შრომები“, ტ. XX, 1959, გვ. 103—143; მისივე, კირილე ლორთქიფანიძე და სერგეი მესხი, „როიონი“, 1958, გვ. 124—127; მისივე, ილ. ჭავჭავაძე და კ. ლორთქიფანიძე, „როიონი“, 1957, გვ. 172—177).

389. Писарев — დიმიტრი ივანეს ძე პისარევი (1840—1868) — გამოჩენილი რუსი კრიტიკოსი და პუბლიცისტი, რევოლუციონერ-დემოკრატი.

წერილს, რომელშიაც გიორგი ურჩევს ბაბალეს წაიკითხოს დ. პისარევის ნაწარმოებები, ვერ მივაკვლიეთ.

390. იგულისხმება პისარევის მიერ 1868 წ. დაწერილი წიგნი „Французский крестьянин в 1789 году“.

391. იგულისხმება პისარევის მიერ 1864 წ. დაწერილი ნარკვევის „Реалисты“ ბოლო თავები, რომლებშიაც ავტორი ლაპარაკობს ცოდნის, მეცნიერების პოპულარიზაციის აუცილებლობის შესახებ.

392. Геттнер — გერმან თეოდორ გეტნერი (1821—1882) — გერმანული ლიტერატურისა და ხელოვნების ისტორიკოსი.

393. იგულისხმებიან ელენე ყიფიანი, ეკატერინე მელიქიშვილი და ეკატერინე თარხნიშვილი-გაბაშვილისა.

394. იგულისხმება „თარგმანი საამო საკითხავთა თხზულებათა“, რომლის პირველი წიგნი გამოვიდა 1872 წ.

395. ლაპარაკია და-ძმა მელიქიშვილების (პეტრესი და ეკატერინეს) საზღვარგარეთ გამგზავრების შესახებ.

396. Олико Гурамова — ოლა ალექსანდრეს ას. გურამიშვილი (1855—1940) — შემდეგში ნიკო ნიკოლაძის მეუღლე, საზოგადო მოღვაწე.

1871 წ. დაამთავრა ამიერკავკასიის ქალთა ინსტიტუტი. 1873 წ. ნიკოლაძისა და გ. წერეთლის დახმარებით გაიპარა საზღვარგარეთ. სწავლობდა ჯერ ციურხში, შემდეგ — ჟენევაში. ოლა იყო „უღელის“ აქტიური წევრი. ჟენევაში ის დაუახლოვდა რუს ემიგრანტებს: ტკაჩოვს, ვერა ფიგნერსა და სხვ. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ მასწავლებლობს, ამავე დროს აქტიურ მონაწილეობას იღებს გაზ. „ობზორის“ გამოცემაში (იხ. „დრ“, 1873, № 9; „ცის“, 1958, № 8; „საბჭოთა ქალი“, 1958, № 3, გვ. 12—13; „დროშა“, 1963, № 3, 3, 6—7; „Веч. Тр.“, 1963, 23, III, გვ. 3).

397. იგულისხმებიან ეკატერინე და ოლიმპიადა ნიკოლაძეები.

ეკატერინე (1856—1931) — მთარგმნელი. უმაღლესი განათლება მიიღო ციურხისა და ჟენევაში. ეკატერინე იყო „უღელის“ ერთ-ერთი აქტიური წევრი. სამშობლოში დაბრუნებისას იგი იწყებს მასწავლებლობას (იხ. „დრ“, 1872, № 43; 1873, № 10; „დროშა“, 1963, № 3; „Веч. Тр.“, 1963, — 23. III, გვ. 3).

ოლიმპიადა — (1852—1883) — შემდეგში გ. წერეთლის პირველი ცოლი. სწავლობდა ციურხში („დრ“, 1884, № 238).

398. ოლ. გურამიშვილთან ერთად გაემგზავრა ეკატერინე ნიკოლაძე (იხ. „დრ“, 1873, № 10).

399. იგულისხმება დავით ერისთავის ფელეტონი „На нѣмцѣхъ“ (იხ. „ТВ“, 1873, № 12).
400. იგულისხმება ილ. ჭავჭავაძის „კიდევ გამოცანები“, დაიწერა 1871 წ. და ხელნაწერის სახით ვრცელდებოდა.
401. Иракъ Грузинскій — ერეკლე ალექსანდრეს ძე ბატონი-შვილი — გრუზინსკი (1818—1882) — მეფე ერეკლე II-ის შვილი-შვილი (იხ. „დრ“, 1882, №№ 88, 90, 126).
402. იხ. გ. თუმანიშვილის 1873 წ. 8 მარტით დათარიღებული წერილი (მთ, № 835, 66—67v).
403. მხატვრული გამოფენა დაიწყო 1873 წ. 19 თებერვალს. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო საკუთრივ მხატვრობა, სკულპტურა, ფოტოგრაფია, ლითოგრაფია და არქიტექტურა. გამოფენის შემოსავალი უნდა მოხმარებოდა თბილისის უფასო სასწავლებლებს (იხ. „К“, 1873, № II).
404. Тараканова — (ნამდვილი გვარი და სახელი უცნობია, გარდ. 1775 წ.) — ცნობილია, როგორც პოლიტიკური ავანტურისტი. თავი გამოაცხადა იმპერატორ ელისაბედ პეტრეს ას. შვილად, პუგაჩოვის დად და სურდა სამეფო ტახტის ხელში ჩაგდება. 1775 წ. იგი დააპატიმრეს და იმავე წლის 4 დეკ. გარდაიცვალა.
405. Науменко — ალექსანდრე ალექსანდრეს ძე ნაუმენკო — ქალაქის 1 განყოფილების უმცროსი პოლიცემისტერი (იხ. „КК на 1873 г.“, გვ. 28).
406. Майков — აპოლონ ნიკოლოზის ძე მაიკოვი (1821—1897) — რუსი პოეტი, სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდა 40-იან წლებში.
407. იგულისხმება ნ. ნიკოლაძის წერილი „ჩვენი მწერლობა“ (კრიტიკული მიმოხილვა)“ (იხ. „კრ“, 1872 წ. № 10—11—12, გვ. 91—191).
408. პეტრიძის (პეტრე უმიკაშვილის) წერილი მუხრანსკის ბროზურის შესახებ იხ. „კრ“, 1872 წ., № 10—11—12, გვ. 1—53.
409. ვფიქრობთ, ბაბალეს გ. ა. კალანტაროვი ჰყავს მხედველობაში.
410. შჩედრინის ნაწარმოები „Дневник провинциала в Петербургѣ“ იბეჭდებოდა 1872 წ. ჟურნალში „ოტეჩ. ზაბისკი“, ცალკე წიგნად პირველად გამოიცა 1873 წ. ამ წიგნის შესახებ „ნედელიაში“ (იხ. 1873, №№ 6, 7) გამოქვეყნდა სარედაქციო სტატია სათაურით „Свежая струя в русск. литературе“.

411. ამ წიგნში გამოქვეყნებული ანასტასია თუმანიშვილის ყველა წერილი დაცულია გთ, № 1976.
412. თბილისის გამოცოცხლება გამოწვეული იყო ალექსანდრე II-ის ჩამოსვლით.
413. В. К. Владимир — დიდი მთავარი ვლადიმირი, ალექსანდრეს ძე.
414. „Эмилъ XIX Века“ — ჰ. სპენსერის ნაწარმოები.
415. „Классификация наук“ — ციურხის უნივერსიტეტის პროფესორის ბემერტის ნაწარმოები.
416. გ. თუმანიშვილის ამ წერილს ვერ მივაკვლიეთ.
417. იგულისხმება ძალთა ხევი ჩუღურეთში.
418. იგულისხმება სეჩენოვის წიგნი „Физиология нервной системы“, რომელიც პირველად 1866 წ. გამოიცა.
419. Вартанов — სოლომონ არტემის ძე ვართანოვი — კავკასიის სამოსწავლო ოლქის კომისიონერი. თბილისში მას გახსნილი ჰქონდა წიგნის მაღაზია (იხ. „К“, 1871, № 38).
420. Скабичевский — ალექსანდრე მიხეილის ძე სკაბიჩევსკი (1838—1910) — ცნობილი რუსი კრიტიკოსი. თანამშრომლობდა სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთში: „ოტჩინესტვენოე სლოვო“, „ნოვოე სლოვო“, „ბირჟევიე ვედომოსტი“, „ნედელია“, „სევერნი ვესტნიკი“ და სხვ. ცალკე წიგნებად გამოსცა „Беллетристы народники“, „История новейшей русской литературы“, „Очерки из истории русской цензуры“. სკაბიჩევსკიმ დაწერა დობროლუბოვის, პისემსკის, პუშკინისა და სხვა მწერლებისა და მოღვაწეების ბიოგრაფიები.
421. Герцен — ალექსანდრე ივანეს ძე გერცენი (1812—1870) — დიდი რუსი რევოლუციონერ-დემოკრატი, ფილოსოფოს-მატერიალისტი, პუბლიცისტი და მწერალი.
422. Шпильгаген — ფრიდრიხ შპილგაგენი (1829—1911) — ცნობილი გერმანელი მწერალი.
- გ. თუმანიშვილის წერილს, რომელშიაც იგი ლაპარაკობს შპილგაგენის შესახებ, ვერ მივაკვლიეთ.
423. გერცენის „Кто виноват“ პირველად გამოქვეყნდა 1847 წ. ს. - პეტერბურგში.
424. Роман — ალექსანდრე ი. კომანი — მეგიოლინე. თბილისში ჩამოვიდა 1871 წ. (იხ. „К“, 1871, № 81; 1872, №№ 30, 105, 107).
425. იხ. „К“, 1872, № 32.

426. იხ. „*К*“, 1872, № 30.

427. Модзалевский — ლევ ნიკოლოზის ძე მოძალეს-
კი — მასწავლებელი. თბილისის ქალთა სასწავლებელში ასწავლიდა
პედაგოგიკასა და დიდაქტიკას, ამავე დროს ხშირად კითხულობდა
ლექციებს „თბილისის წრეში“ (იხ. „*К*к на 1871 г.“, გვ. 79; „*К*“,
1871, №№ 26, 28, 37, 38, 41, 52).

428. Коменский — იან ამოს კომენსკი (1592—1670) —
დიდი ჩეხი პედაგოგი.

429. Песталоцци — იოჰან ჰენრიხ პესტალოცი (1746—
1827) — გამორჩენილი შვეიცარიელი პედაგოგი-დემოკრატი.

430. მოძალესკის ამ ლექციის ზუსტი დასახელება ასეთია:
„Три главные европейские расы и три гениальных рефор-
матора в области воспитания: Амос Коменский — представитель
славянской расы, Жан-Жак Руссо — романской расы и Генрих
Песталоцци — германской расы“ (იხ. „*К*“, 1872, № 32).

431. იგულისხმება გაიანე იონესიანი — ექიმ ლ. ი. იონესია-
ნის ქალი, თარგმნა ვილდეს ფიზიკური გეოგრაფია სომხურ ენაზე
(იხ. „*К*“, 1872, № 32).

432. იგულისხმება სომხური გაზეთი „სომხეთის ფუტკარი“.

433. Самшвилю (sic) — სამშვილდე — სოფ. ქვემო ქართლში.

434. Наталия — ნატალია ტარიელის ას. ლორის-მელიქო-
ვა-ენიკოლოპოვისა — მ. თუმანიშვილის ცოლის ძმის, მიხეილ ენი-
კოლოპოვის მეუღლე.

435. Миримановы — მ. თუმანიშვილის ნათესავები მისი
დედის მხრიდან.

436. Анечка — ანა მელიქ-მერაბოვა — თუმანიშვილების ნა-
თესავი. გ. ენიკოლოპოვის მეუღლე (?) გარდ. 1877 წელს (იხ.
გ. თუმანიშვილის 1872 წ. 22 ნოემბრით დათარიღებული წე-
რილი).

437. მე-9—11 საუკუნეებში ქვემო ქართლის ტერიტორიაზე
არსებობდა სომხური სახელმწიფო — ტაშირო ზოროგეტი, აღმოცე-
ნებული საქართველოს სამხრეთი ნაწილის დაპყრობის შედეგად,
რომლის ცენტრი იყო სამშვილდე.

438. Химшиев — დიმიტრი ხიმშიაშვილი — მთარგმნელი.
თანამშრომლობდა „ცისკარში“. მან თარგმნა რუსული ენიდან და-
ნიელ დეფოს „რობინზონ კრუზო“ (იხ. „ცის“, 1860, № 7, გვ.
174—209).

439. აღნიშნულ გაზეთში კალანტაროვის კორესპონდენტის
ვერ მივაკვლიეთ.

440. ანასტასიას უთუოდ მხედველობაში აქვს გაზ. „კავკაზის“. რედაქტორის ძმის — ლ. სტალინსკის ვოდვეილი „Услужливая тетушка или скандальная ночь“, რომელიც თბილისის თეატრში წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო 1872 წ. 30 აგვისტოს (იხ. „К“, 1872, № 101).

441. ანასტასიას მხედველობაში აქვს ნადღერის დრამა „Стрададьшы“.

442. „Применение железных дорог к защите материка“ — დობროლუბოვის ნაწარმოები. დაიწერა 1857 წ. და პირველად გამოქვეყნდა 1858 წ. „სოვრემენიკში“ ავტორის ხელმოუწერლად.

443. Левашов — ვლადიმერ ვასილის ძე ლევაშოვი — ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი (იხ. „К на 1872 г.“, გვ. 23).

444. დასახელებული სტატია იხ. „დრ“, 1872 წ., № 47.

445. ამ ამბების შესახებ იხ. „დრ“, 1873, № 43.

446. იხ. „ТВ“, 1873, № 145.

447. 1873 წ. „კრებულში“ (№ 7) დაბეჭდილია ნიკო ნიკოლაძის წერილი „ჩემ პიროვნებაზე, პოლემიკური სტატია ნ. სკანდელისა“, რომელშიაც ავტორი აკრიტიკებს ანტ. ფურცელაძეს.

448. მნათობი — „სალიტერატურო და სამეცნიერო ჟურნალი“ (1869—1872), ყოველთვიური, რედაქტ. — ნიკოლოზ ავალიშვილი, გამომცემელი — ივ. ელიოზიშვილი, უახლოესი თანამშრომლები: აკ. წერეთელი, ნ. ლომოური, ს. მაგალობლიშვილი, ანტ. ფურცელაძე, გ. ქიქოძე, გ. ჭალადიძელი, დ. ბაქრაძე, ვ. პეტრიაშვილი და სხვ.

1872 წ. ე. „კრებულში“ (№ 12) ნ. ნიკოლაძემ გამოაქვეყნა წერილი „მნათობის“ შესახებ, რომელშიაც იგი მძაფრად აკრიტიკებდა ამ ჟურნალს და ამავე დროს მის თანამშრომელს ანტონ ფურცელაძეს. ნიკოლაძის საპასუხოდ ან. ფურცელაძემ დაწერა სტატია „საწყალი კუდაბზიკა“ (იხ. „სნ“, 1872, №№ 10, 11, 12). ამ უკანასკნელი წერილის პასუხს წარმოადგენს ნ. ნიკოლაძის სტატია „ჩემ პიროვნებაზე, პოლემიკური სტატია ნ. სკანდელისა“.

449. იგულისხმება 1873 წ. „კრებულის“ მე-4 ნომერი.

450. ან. თუმანიშვილის მიერ დასახელებული წერილები ეკუთვნის სკანდელს (ნ. ნიკოლაძეს).

451. 1873 წ. ბოლო თვეებში ნ. ნიკოლაძეს „დროებაში“ დაბეჭდილი აქვს შემდეგი წერილები: „საქართველო“ (№ 40), „სა-

მართალი. ბაზენის პროცესი“ (№ 41), „დასაწყისი დასასრულე“ (№ 42), „გაზისა და წყლის გაყვანა თბილისში“ (№ 42), „საქართველო“ (№ 43), „მშვიდობით, მშვიდობით“ (№ 45) და „მწერლობა“ (№ 47).

452. Дидро — დენი დიდრო (1713—1784) — გამოჩენილი ფრანგი მწერალი, განმანათლებელი.

453. იგულისხმება დიდი ფრანგი მწერლის ვიქტორ მარი ჰიუგოს (1802—1885) ცნობილი რომანი „93“, რომელიც პირველად 1874 წ. გამოქვეყნდა.

454. Молчанов — ა. ი. მოლჩანოვი — ნაფიცი ვეჭილი. კითხულობდა ლექციებს „თბილისის წრეში“ პოლიტეკონომიიდან. (იხ. „დრ“, 1874, № 415, „ТВ“, 1874, № 28).

455. Людвик XIV — ლუდოვიკო XIV (1638—1715) — სავრანგეთის მეფე 1643—175 წლებში.

456 Адам Смит — ადამ სმიტი (1730—1790) — ბურჟუაზიული ინგლისური კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის მამამთავარი.

457. გ. „მშაკმა“ 1874 წ. (იხ. № 9) გამოაქვეყნა წერილი, რომელშიაც განხილული იყო „თბილისის წრეში“ წაკითხული ლექციები. წერილში სხვა ლექტორებთან ერთად გაკრიტიკებულია ა. სტადლინიც.

458. იხ. სტადლინის წერილი „Письмо к г. редактору газеты „Мшак“, „К“, 1874, № 32.

459. Скоров — მიხეილ ვასილის ძე სკოროვი — ექიმი. 1871 წ. ის იყო კავკასიის ექიმთა საზოგადოების მდივანი, 1873 წ. — კავკასიის გრენადერთა დივიზიის ექიმი (იხ. „К“, 1871, № 45; „Кн на 1873 г.“, გვ. 148).

460. Грачевский — ალექსანდრე სიმონის ძე ტრაჩევსკი (დაიბ. 1838 წ.) — ისტორიკოსი. სწავლობდა სტავროპოლის გიმნაზიაში, შემდეგ — მოსკოვის უნივერსიტეტში. 1869 წ. მოსკოვში დაიცვა მაგისტრის ხარისხი, ხოლო 1877 წ. — დოქტორის.

1873—1878 წლებში ტრაჩევსკი ასწავლიდა თბილისის გიმნაზიაში, 1878—1890 წლებში — ნოვოროსიის უნივერსიტეტში. 1879 წ. ოდესაში დააარსა ქალთა კლუბები. 1890 წ. დაამტკიცეს ს.-პეტერბურგის პრივატ-დოცენტად.

461. Екатерина II — რუსეთის იმპერატორი (1672—1796).

462. Фридрих II — პრუსიის მეფე (1740—1786).

463. Иосиф II — გერმანია-რომის იმპერატორი (1765-1790).

464. ზემოხსენებული ლექცია ტრაჩევსკიმ „თბილისის წრეში“ წაიკითხა 1874 წ. 19 და 28 მარტს (იხ. „ТВ“, 1874, № 31). რეცენზია ამ ლექციის შესახებ იხ. „ТВ“, 1874, № 35.

465. 1874 წ. „ტიფლისკი ვესტნიკში“ მსახიობ სოკოლოვის შესახებ მოთავსებულია 2 წერილი (იხ. „ТВ“, 1874, № 16). ერთ წერილს ხელს აწერს „მ. პ.“, ხოლო მე-2 წერილი ვახუშტის რედაქციას ეკუთვნის. წერილების ავტორები დაბეჯითებით მოითხოვენ სოკოლოვის დატოვებას თბილისის თეატრში. მიუხედავად ხალხის ასეთი საერთო სურვილისა, ა. იაბლოჩკინმა სოკოლოვი სამუშაოდან გაათავისუფლა.

466. ლ. სოკოლოვის ცოლი იყო კუგლერ-სოკოლოვა. პროვინციის მსახიობი. თბილისში ის მოწვეული იყო, როგორც იტალიური ოპერის პრიმადონა (იხ. „К“, 1872, №№ 128, 131; „К“, 1875, № 78; ПТМ, Словарь Мельгунова).

467. სოკოლოვის გამოსამშვიდობებელი საღამო მოეწყო 1874 წ. 10 აპრილს (იხ. „ТВ“, 1874, № 38).

468. Михо Мириманов с женой — თუმანიშვილების ნათესავები, მიხეილის დედის ანა ათანასეს ას. მირიმანოვას მხრიდან.

469. Акакий Церетели — (1840 — 1915) — ცნობილი ქართველი მწერალი.

470. იგულისხმება დ. ერისთავის ფელეტონი: „На сегодня. Письмо из Китая шиндинскому помещику Бардзиму Гивичу Домхалидзе“, ხელს აწერს „Мартин Задекашвили, отыскивающий княжеское звание“.

ამ ფელეტონში დ. ერისთავი კალანტაროვზე ასე წერს: „Однако-же я, когда умишком понатужусь, засяду—часу не сижду, и как-то невзначай вдруг калямбур рожу!“ (იხ. „ТВ“, 1874, № 35)

471. Домбровская — თბილისელი მაცხოვრებელი. უმაღლესი ცოდნა მიიღო ჟენევაში. დები დომბროვსკები მოხსენებული ჰყავს წერილში სერგეი მესხსაც (იხ. ს. მესხის 1874 წ. 27 მაისით დათარიღებული წერილი პარიზიდან ეკატერინე მედიქიშვილისადმი. სერგეი მესხი, ი. ბოცვაძის რედაქციით, წინასიტყვაობითა და შენიშვნებით, სოხუმი, 1950, გვ. 41).

472. ამ წერილს ვერ მივაკვლიეთ.

473 Шерр — იოჰან შერი — გერმანული ლიტერატურის ისტორიკოსი, პუბლიცისტი, ბელეტრისტი და საზოგადო მოღვაწე.

474. იგულისხმება შერის რომანი „მსოფლიო ისტორიის კომედი“.

475. Кошут — ლაიოშ კოშუტი (1802—1894) — უნგრეთის პოლიტიკური მოღვაწე, მთავარი ორგანიზატორი უნგრეთის რევოლუციისა 1848—1849 წლებში.

476. „Bal masque“ — „ბალ-მასკარადი“ — ჯუზეპე ვერდის ოპერა, ა. სომის ლიბრეტო.

477. იგულისხმება „ქართველი კათოლიკეს“ წერილი — „კათოლიკების სასწავლებელზე“ (იხ. „დრ“, 1873, თებერვლის 2).

უფრო დაწვრილებით ამ კორესპონდენციის გამო ჩამოვარდნილ უთანხმოებაზე „დროებასა“ და „ტიფლისკი ვესტნიკს“ შორის იხ. ბ. თუმანიშვილის 1873 წ. 16 თებერვლით დათარიღებული წერილი.

478. იგულისხმება დავით ერისთავის ფელეტონი „На сегодня“ (იხ. „ТВ“, 1874, № 95).

479. უცხოეთიდან ს. მესხი დაბრუნდა 1874 წლის სექტემბერში. 4 ოქტომბერს უკვე მისი რედაქტორობით გამოვიდა „დროების“ მორიგი ნომერი.

480. Джанджугазов — ძმებს ეგ. და მ. ჯანჯუგაზოვებს თბილისში გახსნილი ჰქონდათ სასურსათო მაღაზია სასახლის ქუჩაზე (იხ. „ჩ“, 1871, № 12, 14). შემდეგში, როგორც ჩანს, ეგ. ჯანჯუგაზოვი სწავლობდა ოდესაში, ვინაიდან 1874 წლის „კავკაზში“ მაღაზიის პატრონად მხოლოდ მ. ჯანჯუგაზოვია დასახელებული.

481. Александр Македонский (356—323 ჩ.წ.) — გამოჩენილი მთავარსარდალი და საზოგადო მოღვაწე.

482. Атилла — ჰუნების მთავარსარდალი (გარდ. 453 წ.).

483. იგულისხმება საფრანგეთის დიდი რევოლუციის შემდეგ დაარსებული საფრანგეთის რესპუბლიკა.

484. Наполеон — ნაპოლეონ I — ბონაპარტე (1769—1821) — გამოჩენილი ფრანგი მთავარსარდალი; საფრანგეთის რესპუბლიკის პირველი კონსული (1799—1804), საფრანგეთის იმპერატორი 1804—1815 წლებში.

485. Аргутинская — მ. მ. არგუტინსკაია — პიანისტი. ხშირად იღებდა მონაწილეობას „თბილისის წრის“ მიერ მოწყობილ კონცერტებში (იხ. „დრ“, 1870, № 14; „ჩ“, 1872, № 62; „ТВ“, 1873, № 31).



486. ჭალადიდელი — გიორგი მაქსიმეს ძე ქოჩიაძე (1847—1898)—პოეტი და საზოგადო მოღვაწე (იხ. ი. მეუნარგია, „ქართველი მწერლები“, თბ., 1954).

487. Гордзиевский — ლექციებს კითხულობდა სიტყვიერებაში. 1874 წ. „თბილისის წრეში“ მან წაიკითხა ლექციები ზღაპრის აღმზრდელობითი მნიშვნელობის შესახებ (იხ. „ТВ“, 1874, № 21).

488. Шекспир — უილიამ შექსპირი (1564—1616)—გენიალური ინგლისელი პოეტი და დრამატურგი.

489 А х и л л — აქილევსი—ოფენბახის ოპერეტის „ორფეი ჯოჯობეთში“ მთავარი მოქმედი პირი, რომელსაც სოკოლოვი დიდი წარმიტებით ახორციელებდა თბილისის სცენაზე.

490. ამ დროს „დროების“ რედაქტორი იყო ს. მესხი.

491. სასამართლო ქრონიკა ნ. ნიკოლაძის შესახებ იხ. „ТВ“, 1874, № 3.

492. Арсеньев (Степанов) — ა. ვ. სტებანოვი—ნაფიცი მსაჯული. გამომც. ჟურნალის „Юридическое обозрение“ და გაზეთის „Новое обозрение“ (Г. Туманов, Характеристики и воспоминания, 1900, გვ. 46—63; „НО“, 1887, №№ 1123, 122²⁵; „ТЛ“, 1884, №№ 153, 156).

493. თბილისში არსებულ იმდროინდელ პრესაში სემინარიელების დასჯის შესახებ არაფერი ჩანს.

494. გიორგის სადისერტაციო თემა, როგორც ჩანს, სახალხო განათლებას ეხებოდა (იხ. მისი 1877 წ. 22 ნოემბრით დათარიღებული წერილი ვასილ თუმანიშვილისადმი.)

495. Мин. Нар. Просвещения — „Министерство народного просвещения“—ყოველთვიური ჟურნალი. გამოდიოდა პეტერბურგში 1834—1917 წლებში.

496. იგულისხმება ს. მიროპოლსკის წერილი „Обучение грамоте“ (იხ. „Мин. Нар. Просв.“, 1875, часть CLXXVI, გვ. 60—61).

497. Лев Толстой — ლევ ნიკოლოზის ძე ტოლსტოი (1828—1910)—გენიალური რუსი მწერალი.

ანასტასია გულისხმობს ლევ ტოლსტოის წერილს „О народном образовании“, რომელიც პირველად 1874 წელს გამოქვეყნდა. ლ. ტოლსტოის ამ წერილმა დიდი გამოხმაურება პოვა იმდროინდელ მასწავლებლობაში.



498. 70-იან წლებში ლ. ტოლსტოიმ გამოაქვეყნა „Азбука“ და „Новая азбука“, რომელშიაც მან მოათავსა თავისი საბავშვო ნაწარმოები.

499. Ушинский — კონსტანტინე დიმიტრის ძე უშინსკი (1824—1870) — დიდი რუსი პედაგოგი. რუსული პედაგოგიური მეცნიერებისა და სახალხო სკოლის დამაარსებელი.

500. სუვორინი იყო „ს. პეტ. ვედომოსტის“ უახლოესი თანამშრომელი ვ. კორვის რედაქტორობის დროს. ამ გაზეთში სუვორინი ბეჭდავდა პუბლუცისტური ხასიათის წერილებს, რომელშიაც ის თამამად აკრიტიკებდა რეაქციონერ ჟურნალისტებს — კატკოვს, მეშჩერსკის და სხვ. ამის გამო 1874 წ. ვ. კორვი და მისი რედაქციის წევრები, მათ შორის სუვორინიც, ჩამოაცილეს „ს. პეტ. ვედომოსტს“, რამაც დიდი უკმაყოფილება გამოიწვია იმდროინდელ საზოგადოებაში.

1875 წ. სუვორინმა თანამშრომლობა დაიწყო „ბირჟევე ვედომოსტში“, ხოლო 1876 წ. ვ. ი. ლიხაჩოვთან ერთად იგი რედაქტორობდა „ნოვოე ვრემიას“.

501. Салиас — Сальяс — „ს. პეტ. ვედომოსტის“ რედაქტორი.

502. „Гражданин“ — პოლიტიკური და ლიტერატურული ჟურნალი. შემდეგ ატარებდა სახელწოდებას „Газета-журнал политики и литературы“. გამოდიოდა პეტერბურგში 1872—1914 წლებში (1878—1881 წლებში არ გამოსულა). დამაარსებელი და გამომცემელი — ვ. პ. მეშჩერსკი. ეს გაზეთი იყო თავადაზნაურობის რეაქციული ფენის ორგანო.

503. „Русский Мир“ — პოლიტიკური და ლიტერატურული გაზეთი; 1874 წლის № 194-დან — პოლიტიკური, ეკონომიური და ლიტერატურული. გამოდიოდა პეტერბურგში 1871—1880 წლებში. გამომც.-რედაქტ. — ვ. ვ. კომაროვი, პ. ვისკოვატოვი, მ. ჩერნიაევი, დ. სტახეევი და სხვ. შემდეგში ეს გაზეთი შეუერთდა „ბირჟევი ვესტნიკს“.

504. ვფიქრობთ, გრ. ორბელიანის წერილის პასუხად ან. თუმანიშვილი მიიჩნევს აკ. წერეთლის ფელეტონს „ენების გასამართლება“ (იხ. „დრ“, 1874, № 452).

505. იგულისხმება ა. ერიწოვის წერილი „Местная литература. Газеты „Тифлисский Вестник“ за 1873 и 1874 годы, армянская газета „Мшак“ (Работник), „Мегу Гойастани“ (Пче-

ლა არმენი) и грузинская газета „Дროზბა“ („Время“), რომელიც დაიბეჭდა გაზ. „კავკაზში“ 1874 წ. № 149 და 1875 წ. № 150.

506. კ. ბებუთოვმა ერიწოვს უპასუხა წერილით „Новое открытие г. Ерицова“ (იხ. „ТВ“, 1875, № 1).

507. არძრუნი — ანდრეას არწრუნი — „მშაკის“ რედაქტორის გრიგოლის უმცროსი ძმა, ქიმიისა და მინერალოგიის დოქტორი. განათლება მიიღო ჯერ თბილისის სასულიერო სასწავლებელში, ხოლო შემდეგ — უცხოეთში.

1875 წ. 12 იანვარს ანდრეას არწრუნმა წაიკითხა ლექცია თემაზე „Сера, ее химические свойства, технические применения и геологическое положение“ (იხ. „К“, 1875, № 4). ამ ლექციის შესახებ რეცენზია დაწერა ა. ერიწოვმა „Чтение Андреаса Арцруни о сере (отчет)“ (იხ. „К“, 1875, № 18—21).

508. ამ ადგილას ტექსტი დაზიანებულია.

509. დ. ერისთავის ცოლი იყო მარიამ ზაქარიას ას. სარაჯიშვილი (იხ. ი. მეუნარგია, ქართველი მწერლები, თბ., 1954., გვ. 408).

510. გ. თუმანიშვილის 1875 წ. 12 მარტით დათარიღებული წერილი იხ. გვ. 148—149.

511. იგულისხმება ს. მესხის წერილი „გახშირებული ქორწინება“ (იხ. „დრ“, 1875, № 21).

512. ს. მესხის საპასუხოდ დ. ერისთავმა დაწერა ფელეტონი „На сегодня. Газета „Дрозба“. О значении браков. О безсмертии г. Кереселидзе. Поиски его за человеком. Находка человека. Речь кн. Ил. Чавчавадзе и шалости его поэтической музы, ხელს აწერს „Наследственный поэт“ (იხ. „ТВ“, 1875, № 26).

513. Саломея — სალომე ისაკის ასული თუმანიშვილი — მ. თუმანიშვილის ოჯახის ახლო ნათესავი, ამიერკავკასიის ქალთა ინსტიტუტის საქველმოქმედო საზოგადოების წევრი (იხ. „Кк на 1851 г.“, отд. V, გვ. 53).

514. იხ. ვ. თუმანიშვილის 1875 წ. 18 აპრილით დათარიღებული წერილი, გვ. 130—131.

515 დობროლუბოვის „Темное царство“ პირველად გამოქვეყნდა 1859 წელს.

516. „Луч света в темном царстве“ — დობროლუბოვის ცნობილი პუბლიცისტური წერილი, რომელიც პირველად 1860 წელს დაიბეჭდა.

517. აკაკის ისტორიული პოემა „ბაგრატ დიდი“, გამოქვეყნდა 1875 წ. „დროებაში“ (№ 41).

518. პირველი ქართული სალიტერატურო და მუსიკალური საღამო თბილისში მოეწყო 1875 წ. 4 აპრილს, კონცერტში მონაწილეობას იღებდნენ: დ. ყიფიანი, აკ. წერეთელი, ილ. ჭავჭავაძე, დ. ერისთავი.

ს. მესხი თავის წერილში „ქართული სალიტერატურო საღამო“ (იხ. „დრ“, 1875 წ. № 42) ასე აქებს ილ. ჭავჭავაძესა და აკ. წერეთელს: „...ნამდვილი დამამშვენებელი და გამაცხოველებელი ამ საღამოსი იყვნენ აკ. წერეთელი და ილ. ჭავჭავაძე. ჩვენ იშვიათად გავგიგონია ისეთი ოსტატური და ხელოვნური წაკითხვა, როგორც აკაკიმ თავის „ადვოკატის დილა“ და „სცენა საპურობილემო“ წაიკითხა და ი. ჭავჭავაძემ თავისი „კ. ად.“ ერთი ადგილი და გრ. ორბელიანის „დ. ო-ვის დარდები“ (პირველი ქართული სალიტერატურო და მუსიკალური საღამოს შესახებ დაწვრილებით იხ. ვ. თუმანიშვილის 1875 წ. 18 აპრილით დათარიღებული წერილი, გვ. 130—131).

519. მეორე ქართული სალიტერატურო და მუსიკალური საღამო თბილისში მოეწყო 1875 წ. 24 აპრილს (იხ. „დრ“, 1875, № 47).

520. ს. მესხი რეცენზიაში „ქართული სალიტერატურო საღამო“ დ. ერისთავის შესახებ ასე წერს: „დ. გ. ერისთავი ახლა ბევრად უკეთ კითხულობს ქართულს, ვიდრე ამ ორი-სამი წლის წინათ ჰკითხულობდა. უიმისოთ მშვენიერი და ძლიერი ლექსები პოემის „აჩრდილისა“ დ. ერისთავის წაკითხვაში უფრო მშვენიერად და ძლიერად გამოისმოდა“ (იხ. „დრ.“, 1875, № 42). როგორც ჩანს, დ. ერისთავს ს. მესხისაგან მისი ასეთი შეფასება წყენია და ამის გამო მეორე ქართულ სალიტერატურო საღამოში მონაწილეობა აღარ მიუღია.

521. Ахведиани — ნესტორ გ. ახვლედიანი — საქართველოში წერილ სამრეწველო საწარმოთა დამაარსებელი. მან დაარსა ქართლის მებატონეებისათვის თიანეთში ყველის ქარხანა (იხ. „დრ“, 1871, № 41; 1873, № 399, „სასგ“, 1873 № 12, გვ. 3—4; 1874, № 14, გვ. 1—3).

522. Чиковани — გ. ი. ჩიქოვანი — საზოგადო მოღვაწე, მთარგმნელი. ჩიქოვანმა თარგმნა გოგოლის მოთხრობები და ვიქტორ ჰიუგოს რომანი „საბრალონი“. თანამშრომლობდა „დროებაში“, „კრებულში“, „საქართველოს მოამბეში“, „სასოფლო გაზეთში“. ერთხანს რედაქტორობდა „ტიფლისკი ვესტნიკს“ (იხ.

„დრ“, 1879, № 85; „საქართველოს კალენდარი“, 1893, გვ. 430
431; „მწყემსი“, 1886, № 29.



523. И огино — სოფელი ქვემო ქართლში.

524. Костя Ениколопов — თუმანიშვილების ნათესავი
დედის მხრიდან.

525. Вано Андроников — ი. ზ. ანდრონიკაშვილი (?) —
ინჟინერი, გ. თუმანიშვილის სკოლის ამხანაგი. უმაღლესი ცოდნა
მიიღო პეტერბურგში. 1886 წ. ის იყო თეატრალური საზოგადოე-
ბის მმართველობის წევრი (იხ. Г. Туманов, Характеристики и
Воспоминания, Тифл., 1905, გვ. 171, 201).

226. დობროლიუბოვის „Когда же придет настоящий день“
პირველად 1860 წ. გამოქვეყნდა.

527. „Накануне“ — ი. ს. ტურგენევის ცნობილი რომანი,
რომელიც პირველად 1860 წ. დაიბეჭდა.

528. ანასტასიას მხედველობაში აქვს პისარევის შემდეგი სტა-
ტიები: „Дворянское гнездо“ (1859), „Писемский, Тургенев и
Гончаров“ (1861) „Женские типы в романах и повестях Пи-
семского, Тургенева и Гончарова“.

529. ვ. თუმანიშვილის ეს წერილი დაცულია, გთ, № 1076, 4v.

530. გ. თუმანიშვილის ამ წერილს ვერ მივაკვლიეთ.

531. Купер — ფენიმორ კუპერი (1889—1951) — ამერიკე-
ლი მწერალი.

532. ვ. თუმანიშვილის ეს წერილი დაცულია გთ, № 1076,
გვ. 6 v.

533. „Приключения капитана Гатерасса“ — ჟიულ
ვერნის ნაწარმოები, პირველად დაიბეჭდა 2 ტომად 1866 წელს.

534. Федоров — თეოდორე ალექსანდრეს ძე ფედორო-
ვი — ს. პეტერბურგის საიმპერატორო თეატრის მსახიობი. თბი-
ლისში ჩამოვიდა 1871 წ. შემოდგომაზე. აქ მან შეასრულა დიდი
წარმატებით შეილოკისა და ხლესტაკოვის როლები (იხ. „К“, 1871,
№ 92, 121, 142; 1872; № 3, გთ, № 1075, 5 v. გთ, № 1074
(შახ.პარონიანცის 1871 წ. 15 დეკემბრით დათარიღებული წერი-
ლი გიორგისადმი).

535. Полтавцев — ვლადიმირ პოლტავეცი (იაკოვლევი) —
(1836—1904) — ალექსანდრინის თეატრის მსახიობი 1867—1874
და 1877—1883 წლებში. თბილისის თეატრში იგი მუშაობდა
1867—1872 წლებში (იხ. „Еж. Моск. худ. театра“, т. I, М.,
1946, გვ. 379—492; „К“, 1867, № 69; „დრ“, 1870, № 14;

ЦГИАЛ, Ф. 497, оп. 2, № 23433; ცსსა, ფ. 482, საქ. №№ 35 (6r).

536. პარინ — ა. ა. ლარინი — პროვინციის მსახიობი. თბილისში არსებული იმდროინდელი პრესის თანახმად ა. ლარინი თბილისის სცენაზე მოღვაწეობდა 1870—1871 წლებში. შემდეგ იგი სამუშაოდ გადადის ვლადიკავკაზში. 1874 წ. რეჟისორ ა. იაბლოჩკინმა იგი კვლავ მიიწვია თბილისის თეატრში (იხ. „R“, 1870, №№ 49, 53, 75; 1871, №№ 140, 142, 149; „TB“, 1874, №.№ 55).

ლარინის შესახებ სხვა ლიტერატურასა და საარქივო მასალებს ვერ მივაკვლიეთ.

537. Потехин — ნიკოლოზ ანტიპის ძე პოტეხინი (1834—1859) — მსახიობი, რეჟისორი, ანტრეპრენიორი, თეატრალური რეცენზენტი და ავტორი პოპულარული დრამებისა: „Злоба дня“ (1874), „Мертвая петля“ (1875) და სხვ. (იხ. Данилов С. С., „Очерки по истории русского драматического театра“, М—Л., 1948, გვ. 392—393; Зограф, Малый театр, М., 1960, გვ. 48, 106, 107, 262, 286—290, 295, 299, 555, 564, 593, 594, 596, 602).

538. „Смех“ — ალექსანდროვის ნაწარმოები. ამ ლექსს 70-იან წლებში თბილისის სცენაზე ხშირად კითხულობდნენ.

539. ვ. თუმანიშვილის ეს წერილი დატულია გთ, № 1080, 1r-v.

540. „Разбойники“ — ფრ. შილერის ნაწარმოები.

541. Франц — შილერის ნაწარმოების „ყაჩაღების“ ერთ-ერთი მთავარი მოქმედი პირი.

542. 1873 წლის გაზ. „კავკაზში“ (№ 16) ლენსკის შესახებ წერია: „Молодой артист в роли франца был вполне хорош. Симпатичная способность г. Ленского — входить в роль, поистине заслуживает внимания. Инстинктивное понимание известного психического движения выделяется у него особенно рельефно в так называемых патетических местах.

Последняя, предсмертная сцена Франца, была настолько хороша, что ее можно уподобить по исполнению явлениям первоклассной сценической величины...

Вообще, г. Ленский находка для Тифлисской сцены и весьма желательно, чтобы этот талантливый артист остался и на следующий сезон“.

543. „Велизарии“ — ელუარდ შენკას 5 მოქმედებიანი დრამა, რომელიც პირველად წარმოდგენილი იყო ალექსანდრონის თეატრში 1839 წ. 2 ნოემბერს.

544. ვ. თუმანიშვილის ეს წერილი დაცულია გთ, № 1076.

545. „Гувернёр“ — ვ. ი. დიაჩენკოს ნაწარმოები.

546. Добров — დრამატული მსახიობი. თბილისში ჩამოვიდა 1873 წლის აპრილში. შემდეგ წლებში თბილისის სცენაზე იგი უკვე აღარ ჩანს. 90-იან წლებში მოღვაწეობს ყაზანში (იხ. „К“, 1873, № 74; „ТВ“, 1873, № 51, 52; „Артист“, М., 1890, № 6, გვ. 178).

547. ოსტროვსკის პიესა „Гроза“ იაბლოჩკინის დასს უნდა წარმოედგინა 1873 წ. 10 აპრილს (იხ. „ТВ“, 1873, № 39).

548. ვ. თუმანიშვილის ეს წერილი დაცულია გთ, № 1085.

549. Горяев — ნიკოლოზ ვასილის ძე გორიიევი — თბილისის რეალურ გიმნაზიაში ასწავლიდა რუსულ ენასა და სიტყვიერებას (იხ. „Кк на 1873 г.“, გვ. 80).

550. Падалка — თბილისის რეალური გიმნაზიის სიტყვიერების მასწავლებელი.

551. „Жизнь игрока“ — „Тридцать лет или жизнь игрока“ — დიუკანეისა და ნინოს ნაწარმოები, თარგმანი ე. ე. მატერნასი.

552. Шиллер — იოჰან ფრიდრიხ შილერი (1759—1805) — გამოჩენილი გერმანელი მწერალი. მისი ცნობილი თხზულებებია: „ყაჩაღები“, „ვერაგობა და სიყვარული“, „დონ-კარლოსი“, „ფიესკოს შეთქმულება“ და სხვ. შილერს ეკუთვნის აგრეთვე წერილები ესთეტიკაში.

553. „Женщины арестанты“ — ერთმოქმედებიანი ვოდევილი, თარგმანი ნ. ი. კულიკოვასი.

554. იხ. „К“, 1873, № 126. რეცენზენტი აქებს სოკოლოვს მოლარის როლში.

555. „Парижская жизнь“ — ოფენბახის ოპერეტა, ტექსტი ხ. მოზერნისა.

557. „Ярмарка тшеславия“ — ვილიამ მეიკის თეატრის რომანი.

556. ვ. თუმანიშვილის ეს წერილი დაცულია გთ, № 1082.

558. Айвазов — ა. გ. აივაზოვი — თბილისის მაცხოვრებელი. დიდძალი ქონების პატრონი. მისი სახლი, სადაც გიმნაზიელებმა წარმოდგენა გამართეს, ბროსეს ქუჩაზე იყო.



საქართველოს
 ეროვნული
 ბიბლიოთეკა

559. „Купл. выстрел“ — „Купленный выстрел“ — კოვის ერთმოქმედებიანი ვოდევილი.
560. Репетиллов — ერთ-ერთი მოქმედი პირი გრიბოედოვის კომედიისა „ვაი ჭკუისაგან“.
561. Фамусов — ერთ-ერთი მთავარი მოქმედი პირი გრიბოედოვის პიესისა „ვაი ჭკუისაგან“.
562. Загорецкий — იგივე კომედიის ერთ-ერთი მოქმედი პირი.
563. Колосова — მ. ი. კოლოსოვა — ს. პეტერბურგის საიმპერატორო თეატრების მსახიობი, მომღერალი (სოპრანო). თბილისში ის მოღვაწეობს ა. იაბლოჩინის ანტრეპრენიორობის დროს, 1873—1874 წლებში. ვლ. ნემიროვიჩ-დანჩენკო თავის მოგონებებში წერს, რომ კოლოსოვა თბილისში ითვლებოდა „ოპერეტების“ ვარსკვლავად. 1874 წ. მაისში მ. კოლოსოვა ტოვებს თბილისს (იხ. Нильский, А. А., Закулисная хроника, СПб, 1897, გვ. 327; Немирович-Данченко, Вл. И., Первые театральные воспоминания“, НМ, 1943, № 1, გვ. 92; „Л“, 1873, №№ 126, 133; 1874, №№ 12, 25; „ТВ“, 1873, №№ 105, 115, 130; 1874, №№ 7, 18, 55; ЦГИАЛ, ф. 497, оп. 1, ед. хр. 22386, გვ. 176, 181).
564. Михайловская — ეოზეფინა ავგუსტის ას, მიხაილოვსკაია (1842—1895)—1863—1871 წლებში ის ითვლებოდა პეტერბურგის რუსული ოპერის დასში მომღერლად. შემდეგ მოღვაწეობდა პროვინციებში. 1882 წლიდან მიხაილოვსკაია მსახურობს პეტერბურგის რუსულ დრამატულ თეატრში.
- 1874 წ. ა. იაბლოჩინმა ე. მიხაილოვსკაია გამოიწვია ვლადიკავკაზიდან თბილისში მსახიობ ლარინთან ერთად (იხ. „ЕИТ“, 1894—1895 гг., გვ. 408; „Л“, №№ 71, 91, 143; „ТВ“, 1875, № 55).
565. Стрекалова — გასული საუკუნის 70-იან წლებში სამი მსახიობი სტრეკალოვა გვხვდება: ვერა დიმიტრის ასული (იხ. Баусанов, Сочинения и переводы, М., 1869, т. I, გვ. 530; Стрепетова, П. А., Воспоминания и письма, 1934, გვ. 384, 316, 397, 398—399, 557); ე. დ. სტრეკალოვა (იხ. Зограф, Малый театр, М., 1960, გვ. 234); ელისაბედ ალექსანდრეს ასული — ს. პ. საიმპერატორო თეატრების მსახიობი (იხ. ПТМ, Словарь Мельгунова). მოპოვებული მასალების მიხედვით ჯერჯერობით ვერ დავადგინეთ, რომელი მათგანი მოღვაწეობდა ქართულ სცენაზე.



566. Брянский — დ. ნ. ბრიანსკი თბილისის სცენაზე მო-
 ლეაწეობდა 1873—1874 წწ. 1874 წლის ნოემბერში ის ტოვებდა
 თბილისს (იხ. „დრ“, 1874, № 445; „К“, 1873, № 126; 1874,
 №№ 71, 91, 143; „ТВ“, 1873, № 106; 1874, 18, 106).

567. ვ. თუმანიშვილის ეს წერილი დატულია გთ, № 1082.

568. „Подлиповцы“ — თევდორე მიხეილის ძე რეშეტნი-
 კოვის ნაწარმოები.

569 „Свой хлеб“ — თ. მ. რეშეტნიკოვის ნაწარმოები.

570. „Трудное время“ — ვასილ ალექსანდრეს ძე სლგბ-
 ცოვის ნაწარმოები.

571. „Отцы и дети“ — ი. ს. ტურგენევის რომანი (გამო-
 ქვეყნდა 1862 წელს).

572. „Что делать“ — ნ. გ. ჩერნიშევსკის (1828—1889) ცნო-
 ბილი რომანი, რომელიც გამოქვეყნდა 1863 წ. „სოვრემენიკში“.

573. კ. ბებუთოვისა და კ. ლორთქიფანიძის პოლემიკის შე-
 სახებ იხ. „ТВ“, 1874, №№ 101 102.

574. Лукьян Исарлов — ლუკა ისარლიშვილი (1814—
 1893)—ლიტერატორი, ჟურნალისტი, კავკასიის საცენზურო კომი-
 ტეტის ცენზორი და მდივანი (დ. მესხი, მოგონებანი, თბ., 1940,
 გვ. 95—96; მ. ხელთუბნელი, სალიტერატურო საზოგადოებრივი
 წარსულიდან, თბ., 1938, გვ. 145—148; Г. Туманов, Характе-
 ристики и Воспоминания, 1913, გვ. 230; „КК на 1882—83гг.“
 გვ. 117).

575. 1874 წ. 11 ოქტომბერს თამამშვევის ქარვასლას
 ცეცხლი წაეკიდა. დაიწვა ქარვასლის ზემო სართული და თბილი-
 სის თეატრი (იხ. „ГВ“, 1874, № 99).

576. Лазарев — ნიკოლოზ ლაზარევი. სასამართლომ ლაზა-
 რეის მიუსაჯა 9 წლით საკატორლო მუშაობა და სამუდამო გადა-
 სახლება (იხ. „ТВ“, 1874, № 100, 101—102, 109, 112; 115,
 116, 118, 119, 121, 123, 124, 125).

577. Лаксин — ლაქსინს გახსნილი ჰქონდა საიუველირო
 მაღაზია. აქვე წარმოებდა საათების შეკეთებაც („К“, 1874,
 № 142).

578. Прибыль — თბილისის თეატრის დირექციის შემად-
 გენლობაში პრიბილი შედიოდა 1874 წ. 24 ოქტომბრიდან 1876
 წლის 22 მარტამდე.

579. იხ. „ТВ“, 1874, № III.

580. Васильев II — პავლე ვასილის ძე ვასილიევი (1832—
 1879) — ს. პეტერბურგის საიმპერატორო თეატრის მსახიობი.



ალექსანდრინის თეატრში მუშაობდა 1860—1874 წლებში. ამისა მოღვაწეობდა პროვინციის თეატრებში. ვასილევ II ცნობილია, როგორც შესანიშნავი დრამატული მსახიობი და კომიკი.

მის შესახებ არსებული ლიტერატურისა და საარქივო მასალების მიხედვით ვერ დავადგინეთ, ვასილევ II იყო თუ არა თბილისში (იხ. Савина, М. Г., Горести и скитания, Записки, 1854—1877, т. 1, 1927, გვ. 26, 28, 153; Филипова, Е., П. В. Васильев 2-ой, жизнь и творчество, М., 1941).

581. Федотов — ალექსანდრე ფილიპეს ძე ფედოტოვი (1841—1895) — რუსი მსახიობი, რეჟისორი და დრამატურგი. დიდი წარმატებით თამაშობდა ოსტროვსკის პიესებში (იხ. Сокулина, Малый театр в последнюю четверть XIX в. в кн. „Малый театр“, М. 1960, გვ. 406; Южин-Сумбагов, Воспом., Записки, Статьи, М.—Л., 1941, გვ. 37, 59, 512; „ЕИТ“, 1894—1895, გვ. 418—421; „ИВ“, II, 1895, апр. 3; 8).

582. Рассказов — ალექსანდრე ალექსანდრეს ძე რასკაზოვი (1883—1902) — მცირე თეატრის მსახიობი 1850—1866 წლებში. შემდეგ იგი იყო ანტრეპრენიორად პოვოლჟიეში, სადაც მისი დასი დიდ წარმატებებს აღწევდა (იხ. Ленский, А., Статьи, письма, записки, изд. 2-е дополн., М., 1950, გვ. 290; Медведев, П. М., Воспоминания, т. 1, 1929, გვ. 32, 36; Заграф, Н. Г., Малый театр, М., 1960, გვ. 24, 76, 91, 132, 234; 569, 571, 573).

583. Иконников — ევგენი ვლადიმერის ძე იკონიკოვი — ს. პ. საიმპერატორო თეატრების მსახიობი 1871—1877 წლებში. 1873 წ. იგი ჩამოდის თბილისში და, როგორც მისი საარქივო მასალებიდან ჩანს, აქ იგი რჩება 1875 წლის ივლისამდე (ამავე წლის 10 თებერვალს იკონიკოვი ჯვარს იწერს სიონის ეკლესიაში). 1877 წ. იკონიკოვს ათავისუფლებენ სამუშაოდან. 1886 წ. ის სიმბირსკშია. იკონიკოვი გარდაიცვალა 1905 წელს (იხ. „К“, 1873, №№ 99, 100; ТВ“, 1873, № 103; „Театр и Искусство“, II, 1905, № 16, გვ. 3).

584. Лидина — ეკატერინე (კატერინა) ბარტოლომეს ას. ლიდიანა — პროვინციის მსახიობი, და მსახიობ ალექსანდრე ლიდინის. თბილისში ცხოვრობს და მოღვაწეობს 1866 წლიდან (იხ. „К“, 1867, №№ 51, 59, 65; 1868, № 8; 1870, №№ 102, 104; „ТВ“, 1874, № 18; ЦТМ, ფ. 180, № 140, Словарь Мельгунова, ცსსა, ფ. 482, საქ. № 31).



585. Бурдина — ნადეჟდა ბართლომეს ას. ბურდინა — შვილი ოპერის მსახიობის ლიდინის. დასაწყისში მსახურობდა პროვინციის თეატრებში, ხოლო შემდეგ — კორშის თეატრში. თბილისში მან 10 წელი დაჰყო (იხ. Синельников, Н. П., Шестьдесят лет на сцене, Харьков, 1935 г., გვ. 237; „К“, 1867, № 65; 1873, № 126; „Новости сезона“, М., 1912, № 2466, გვ. 10; „Рампа и жизнь“, М, 1909, № 34, გვ. 779—780; „ТВ“, 1874, № 18; ცხსა, ფ. 482, საქ. № 31).

586. Шловайский — მსახიობ ილოვასკის შესახებ ვერავითარ ცნობას ვერ მივაკვლიეთ, გარდა მ. თუმანიშვილის ჩანაწერისა, რომლის მიხედვითაც ირკვევა, რომ ილოვასკი თბილისში პირველად ჩამოსულა ა. იაბლოჩკინის ანტრეპრენიორობის დროს, ე. ი. 1873 წ. ილოვასკის თბილისის სცენაზე შეუსრულებია ფამუსოვისა და ხლესტაკოვის როლები. მ. თუმანიშვილი მაღალ შეფასებას აძლევს ილოვასკის სცენიურ ნიჭს (იხ. მთ, № 537).

587. მუსიკალური საზოგადოების დარბაზი მოთავსებული იყო „საღდათების ბაზართან“, სომხების სემინარიის შენობაში.

588. ვ. თუმანიშვილის ეს წერილი დატულია გთ, № 1076, 44 r-v.

589. 1875 წ. 2 თებერვალს გარდაიცვალა მიხეილ თუმანიშვილი.

590. Антонович — მიხეილ ალექსანდრეს ძე ანტონოვიჩი (1835—1918) — რუსი კრიტიკოსი, ფილოსოფოს-მატერიალისტი, თანამშრომლობდა „სოვრემენიკში“, „კოსმოსში“, „სლოვოში“, „ნოვოე ობოზრენიეში“, „რუსკაია მისლში“ და „ტიფლისკი ვესტნიკში“.

591. სტალინსკის წერილები „Иероним Южный“-ს ფსევდონიმით იხ. „К“, 1875, № 3, 6, 10, 16.

592. Загурский — ლეონიდ პეტრეს ძე ზაგურსკი (დაიბადა 1921 წ.) — 1849 წ. — კიევის უნივერსიტეტის კანდიდატი; 1850 წ. — თბილისის კლასიკური გიმნაზიის ისტორიის მასწავლებელი. 1862 წ. ა. ფილადელფინისა და ლ. ზაგურსკის რედაქტორობით გამოდიოდა კრებული „Записки Кавказского отдела императорского географического общества“, ხოლო 1876 წ. მხოლოდ ზაგურსკის რედაქტორობით. 1881—1889 წლებში რედაქტორობდა პერიოდულ ჟურნალს „Известия Кавказского русского географического общества“. ზაგურსკი იყო „ტიფლისკი ვესტნიკის“ აქტიური თანამშრომელი (იხ. „Словарь кавказских деятелей“, Тиф.

1890, გვ. 37—38; Г. Туманов, Характеристики и воспоминания, кн. 3, 1907 გვ. 47).

593. Иосиф Андроников — იოსებ პეტრეს ძე ანდრონიკაშვილი (?) — მუშაობდა ქალაქის განმკარგულებელ სამმართველოში (იხ. „Кк на 1871 г.“, გვ. 28).

594. Боткин — სერგი პეტრეს ძე ბოტკინი (1832—1889) — გამოჩენილი რუსი ექიმი, თერაპევტი, ცნობილი საზოგადო მოღვაწე.

595. Миша Кипиани — მიხეილ (მიშო) ქაიხოსროს ძე ყიფიანი (1846—1916) — ქართული ხალხოსნური მოძრაობის ერთ-ერთი მთავარი ხელმძღვანელი (იხ. ს. მაგლობლიშვილი, მოგონება, 1938, თბ., გვ. 244; „საქართველო“, 1916, 18, XII, გვ. „სახალხო ფურცელი“, 1916, 18, XII გვ. 3).

596. Туроцла — იტალიის ქვეშევრდომი, მომღერალი, მეორე ბასი. თბილისის ოპერის თეატრში მუშაობს 1860 წლიდან. შემდეგში 1875 წლის 1 მარტიდან 1877 წლის 1 მარტამდე სიენტან ერთად ის იყო თბილისის თეატრის ანტრეპრენიორი (იხ. „ТВ“, 1875, № 26, ცხსა, ფ. 482, საქ. № 11, 4 r; № 31, 25 v, № 33, 28r-v).

597. „Злоба дня“ — ნ. პოტეხინის ოთხმოქმედებიანი დრამა.

598. ვ. თუმანიშვილის ეს წერილი დაკუთლია გთ, № 1076, 52r-v.

599. „Жилец с тромбоном“ — ერთმოქმედებიანი ვოდევილი, თარგმანი ს. ო. ბოიკოვის.

600. „Фофочка“ — ერთმოქმედებიანი ვოდევილი, თარგმანი კ. ტარნოვსკისა და ვ. ბეგიჩევის.

601. „Утро Адвоката“ — აკ. წერეთლის „ადვოკატის დილა“ პირველად დაიბეჭდა 1871 წ. „დროებაში“.

602. „Сцены в тюрьме“ — „სცენა საპატიმროში“ (1867) პირველად დაიბეჭდა ჟ. „კრებულში“, 1872, № 7.

603. Д. მ. Кипиани — დიმიტრი ივანეს ძე ყიფიანი (1814—1887) — ცნობილი საზოგადო მოღვაწე და პუბლიცისტი (იხ. დ. ყიფიანი, გემუარები, ს. ხუნდაძის რედაქციით, შენიშვნებითა და წინასიტყვაობით., 1930; ს. ხუნდაძე, დიმიტრი ყიფიანი, მონოგრაფია, თბ., 1930, შ. გოზალიშვილი, დიმიტრი ყიფიანის არქივი, თბ., 1951 წ.).

604. Раф. Эристави — რაფიელ ერისთავი (1824—1961) — საზოგადო მოღვაწე, მწერალი. იგი ცნობილია აგრეთვე, როგორც ლექსიკოლოგი. მისი რედაქტორობით გამოვიდა სულხან-საბა ორ-



ბელიანის ცნობილი ლექსიკონი და თვით შეადგინა მცენარეთა, ცხოველთა და ლითონთა დასახელებების ქართულ-რუსულ-ლათინური ლექსიკონი. გარდა ამისა, რ. ერისთავს ეკუთვნის შრომები ლიტერატურულ და ისტორიულ საკითხებზე (იხ. შ. ვაშაყმაძე, რაფიელ ერისთავი, თბ., 1962).

605. ამ წიგნში გამოქვეყნებული კ. თუმანიშვილის პირველი წერილი დაცულია ვთ, № 1079.

606. Жюль Верн — ცნობილი ფრანგი მწერალი (1828—1905) — ავტორი სათავგადასავლო, ფანტასტიური რომანებისა. მისი ნაწარმოები „80.000 კილომეტრი წყალქვეშ“ პირველად გამოქვეყნდა 1869—1870 წლებში.

607. Купфер — გ. ვ. კუბფერი — როგორც იმდროინდელი პრესიდან ჩანს, კუბფერი თბილისში მოღვაწეობდა 1868 წლიდან (იხ. „К“, 1868, № 56; 1872, № 3).

608. Филомени Савио — მომღერალი — 1872 წ. მონაწილეობას იღებდა ვოკალურ-ინსტრუმენტალურ კონცერტებში (იხ. „К“, 1872, № 33).

609. Труффи — ი. ა. ტრუფი — იტალიელი, შემდეგში თბილისის მაცხოვრებელი; პირველი ვიოლინო, 1873 წლიდან დირიჟორი.

ვლ. ნემიროვიჩ-დანჩენკო თავის მოგონებებში წერს: „Помню, первая скрипка — красивый италианец Труффи — остался в Тифлисе и после того, как опера распалась. Потом он стал и дирижёром и хозяином оркестра. Мы, гимназисты, его за что-то любили.

Может быть, за то, что он при встречах за нами, хлопательными пальцами, немножко ухаживал, и за его красивые откидываемые волосы...“ Немирович-Данченко, Первые театральные воспоминания, „ИМ“, М., 1943, № 1, გვ. 89; „К“, 1872, №№ 80, 105, 119; 1873, №№ 23, 101; 1874, №№ 11, 35, 91, 191; 1875, № 26; „ТВ“, 1873, № 115; 1874, № 18; 1875, № 108; ცსსა, ფ. 482; საქ. № 33, 31r).

610. Бениамин Рафаэль Дума — მევიოლინე, იტალიის ქვეშევრდომი, დაიბადა თბილისში. მსახურობდა თბილისის თეატრის ორკესტრში. შემდეგ ის იყო რეჟისორი. 1879 წ. მიიღო რუსეთის ქვეშევრდომობა (იხ. Немирович-Данченко, В. Л., Первые театральные воспоминания, „ИМ“, М., 1943, გვ. 89; „К“, 1874, № 12; ცსსა, ფ. 482, საქ. 33, 72r—74v).



611. „А з и Ф е р т“ — ერთმოქმედებიანი ვოდევილი, მანი პ. ს. ფედოროვისა.
612. Д и к к е н с — ჩარლზ დიკენსი (1812—1870)—გამოჩენილი ინგლისელი მწერალი, რეალისტი.
613. „Э к а л и“ (ეკალი)—ხელნაწერი ჟურნალი, რომელიც გამოდიოდა კ. თუმანიშვილის რედაქტორობით.
614. „Д о н - К и х о т“ — სერვანტესის ცნობილი ნაწარმოები.
615. К у з ь м и н — სერგეი ილარიონის ძე კუზმინი, ასწავლიდა მათემატიკას თბილისის რეალურ გიმნაზიაში (იხ. „К К на 1871 г.“, გვ. 69).
616. Ш в а н — ოპერისა და დრამის მსახიობი. მოღვაწეობდა პროვინციებში. თბილისის სცენაზე ის გამოდიოდა 1872—1873 წლებში (იხ. „К“, 1872, №№ 103, 122; 1873, №№ 4, 10).
617. Т и х о м и р о в — ვასილი ივანეს ძე ტიხომიროვი — დრამატული მსახიობი, თბილისში იგი იმყოფება 1872 წელს (იხ. „К“, 1872, № 122; ცსსა, ფ. 482, საქ. № 33, გვ. 11).
618. „П р е к р а с н а я Е л е н а“ — ოპერეტა, მუსიკა ოფენბახისა, ტექსტი ა. ველიაკისა და ლ. გალვეის.
619. Л е н с к и й — დიმიტრი ტიმოტეს ძე ლენსკი (1805—1860) — დრამატურგი. წერდა უმეტესად ვოდევილებს. ამავე დროს ის იყო მსახიობიც. ერთხანს მსახურობდა მოსკოვის მცირე თეატრში. მან პირველმა შეასრულა გოგოლის „რევიზორიდან“ ხლესტაკოვის როლი (იხ. Данилов, История русского драматического театра, М., 1952, გვ. 101, 198, 203, 206, 237, 272, 276, 293; Нильский, А. А., Закулисная хроника, СПб, 1897, გვ. 304, 307).
620. Л е н с к а я — თუმანიშვილების წერილებში არ არის მითითებული მსახიობ ლენსკაიას ინიციალები. ვერ მივაკვლიეთ მის ინიციალებს საქართველოში არსებულ იმდროინდელ პრესაშიც. ჩვენთვის საინტერესო წლებში რამდენიმე ლენსკაია მოღვაწეობდა სცენაზე: 1. მატრონე გერასიმეს ას. ლენსკაია (1834—1897), რომელიც 60-იან წლებში პროვინციის თეატრებში მუშაობდა, ხოლო 1882—1897 წლებში — ალექსანდრინის თეატრში. შემდეგში მას მიენიჭა რუსეთის სახალხო მსახიობის წოდება (მ. გ. ლენსკაია იყო მსახიობ პროტასოვის და) (იხ. Минчурин-Самойлова, Полвека на сцене Александринского театра, Л, 1935, გვ. 72; Ярон, С., Воспоминания о театре, 1867—1897. Киев, 1898, გვ. 42, 81; ЦТМ, Словарь Мельгунова).
2. ლუბოვ დიმიტრის ასული ლენსკაია (მსახიობ დიმიტრი ლენსკის ქალიშვილი, დ. 1836 წ.), ს. პეტერბურგის საიმპერატო-

რო თეატრების მსახიობი 1853—1854 წლებში (იხ. ЦГИА, ფ. 497 оп. 97/2121, № 14989).

3. ა. პ. ლენსკაია-სოროკინა, პროვინციის მსახიობი. მოღვაწეობდა სამარაში, ორენბაუშში, სიმბირსკში (იხ. ЦТМ, Сло-варь Мельгунова).

ჩვენს ხელთ არსებული მასალები არ გვაძლევს საშუალებას დავადგინოთ, თუ სახელდობრ რომელი ლენსკაია მოღვაწეობდა ქართულ თეატრში.

621. Качевская — ა. ფ. კაჩევსკაია — 1872—1873 წლებში მოღვაწეობს თბილისში. აქ მან შეასრულა ოფელიას როლი (იხ. „К“, 1872, №№ 105, 114, 119, 128, 148; 1873, № 6, „ТВ“ 1873, № 53).

სხვა მასალას ა. ფ. კაჩევსკაიას შესახებ ვერ მივაკვლიეთ.

622. Любская — მ. ი. ლუბსკაია — მოღვაწეობდა პროვინციის თეატრებში. თბილისში მსახურობდა 1872—1873 წლებში (იხ. Давыдов, Рассказ о прошлом, М.—Л., გვ. 282—284, 434, „К“, 1872, №№ 107, 108, 109, 119; 1873, № 10).

623. Гаврилов — ივანე მარკოზის ძე გავრილოვი (?) — ირიცხებოდა მოსკოვის რუსული ოპერის დასში 1881—1892 წლებში (იხ. ЦГИА, ფ. 659, оп. 3, № 749). აქ მოპოვებული მასალის მიხედვით არ ჩანს, რომ ივ. გავრილოვი თბილისში იყო. სხვა მსახიობ გავრილოვს კი ჩვენ ვერ მივაკვლიეთ ვერც ლიტერატურაში და ვერც რუსეთსა და საქართველოში არსებულ საარქივო ფონდებში.

624. Темрез (Кастальский) — პროვინციის მსახიობი. როგორც თბილისის ცენტრალურ სახელმწიფო საისტორიო არქივიდან ჩანს, თემრეზ-კასტალსკი თბილისის თეატრში მსახურობდა 1869—1872 წლებში (იხ. ცსსა, საქ. № 31, 25). სხვა ლიტერატურას მის შესახებ ვერ მივაკვლიეთ.

625. „Доходное место“ — ნ. ოსტროვსკის კომედია, რომელიც პირველად 1857 წ. დაიბეჭდა.

626. Лидин 2 — პროვინციის მსახიობი. თბილისში მოღვაწეობდა 1869—1872 წლებში. როგორც ჩანს, ასრულებდა მეორეხარისხოვან როლებს (თვეში იღებდა ხელფასს 20—30 მან.) (იხ. ცსსა, საქ. № 31, 25).

სხვა ცნობებს ლიდინ 2-ის შესახებ ვერ მივაკვლიეთ.

627. „Пустяки“ — ვ. მ. როჟანოვის ვოდევილი.

628. „Макар Алекс. Губкин“, „Макар Алексеевич Губкин“ — или продолжение студента, артиста—хориста и афериста“ — პ. ი. გრიგორიევ 1-ის ერთმოქმედებიანი ოპერეტა.
629. Сервантес — მიგელ სერვანტეს დე საავედრა (1547—1616) — დიდი ესპანელი მწერალი.
630. Тютчев — თეოდორე ივანეს ძე ტიუტჩევი (1803—1873) — რუსი პოეტი.
631. კ. თუმანიშვილის ეს წერილი იხ. გთ, № 1085.
632. Аламир — „ველიზარის“ მოქმედი პირი.
633. კ. თუმანიშვილის ეს წერილი დატულია გთ, № 1095.
634. Луэ — ტალია ლუე — კოლორატურული სოპრანო, მოწონებას იმსახურებდა თბილისელ მაყურებლებში. 1877 წ. ის მიწვიეს პეტერბურგის იტალიურ ოპერაში.
- კ. თუმანიშვილის წერილში ლაპარაკია მის საბენეფისო სპექტაკლზე, რომელიც 1876 წ. 27 ნოემბერს ჩატარდა (იხ. „ТВ“, 1877, № 178).
635. „Травиата“ — დიდი იტალიელი კომპოზიტორის ჯუზეპე ვერდის ოპერა, რომელიც მან შექმნა ვენეციაში 1853 წელს.
636. Патти — ადელინა პატი (1843—1919) — გაზოჩენილი მომღერალი ქალი, კოლორატურული სოპრანო, შვიდი წლის ასაკიდან მართავდა კონცერტებს (იხ. Вольц, Шестьдесят пять лет в театре, М., 1928, გვ. 51, 54; „ЕИТ“, 1909, вып. 6—7, გვ. 167—168).
637. „Иверия“ — „ივერია. საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი“ (1877—1885) — რედაქტორები სხვადასხვა დროს: ილ. ჭავჭავაძე (1877—1880); ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი (1881); ილ. ჭავჭავაძე და ივ. მაჩაბელი (1882—1884); ილ. ჭავჭავაძე (1885) — გამომცემელი — ილ. ჭავჭავაძე.
638. ვასილ თუმანიშვილი ამ პერიოდში მოსკოვში იმყოფებოდა.
639. გ. თუმანიშვილის ეს წერილი დატულია მთ, № 835, 19—20 წ.
640. მ. თუმანიშვილის 1871 წ. 31 ოქტომბრით დათარიღებული წერილი იხ. გვ. 54—55.
641. ანასტასიას, ვასოსა და კოტეს ამ წერილებს ვერ მივაკვლიეთ.

642. მ. თუმანიშვილის ამ წერილს ვერ მივაკვლიეთ.

643. Богишич — ნოვოროსიის უნივერსიტეტის პროფესორი, ჩეხი. ოდესის სტუდენტთა არეულობა დაიწყო ბოგეშიჩთან მომხდარი ინციდენტის გამო (იხ. გ. თუმანიშვილის 1871 წ. 29 ოქტომბრით დათარიღებული წერილი, მთ. № 835, 15r—16v).

644. Воронцов — მიხეილ ვორონცოვი (1782—1856) — სახელმწიფო მოღვაწე, გენერალ-ფელდმარშალი, 1844—1854 წლებში მეფისნაცვალ კავკასიაში.

645. ოდესის თეატრის ანტრეპრენიორი ამ დროს იყო კონსტანტინე თეოდორის ძე ბერგი (მისი ნამდვილი გვარია კლერი) (1824—1882) — პროვინციის მსახიობი და რეჟისორი (იხ. Медведев, П. М., Воспоминания, Л., 1929, გვ. 132, 267, 271, 284; 285, 300, 306—308; С. Г., Воспоминания о театре 1867—1897, Киев, 1898, „ИВ“, 1912, июнь, გვ. 114).

646. Шумский — სერგი ვასილის ძე შუმსკი (ნამდვილი გვარია ჩენსოკოვი) (1821—1878) — მოსკოვის მცირე თეატრის მსახიობი 1841 წლიდან (იხ. Копорчевский, Л. А., Сергей Васильевич Шумский, Из воспоминания о московском театре, „ЕИТ“, сезон 1895—1896 гг., прилож., 1935, К., 3, Спб., 1897; Синельников, Шестьдесят лет на сцене, Харьков, გვ. 135, 185, Южин-Сумбатов, Воспоминания, записи, статьи, М.—Л., 1941, გვ. 19, 22—30, 260, 264, 342, 421, 439, 470—472, 479, 563, 572, 573, 575; „К“, 1871, № 20).

647. Иловайский — გრიგოლ ივანეს ძე ილოვაისკი (1839—1871) — პროვინციის მსახიობი. მოღვაწეობდა ყაზანში, სარატოვში, ხარკოვში, კიევში, სიმბირსკში, კრონშტადტში. 1869 წ. აგვისტოში იგი ჩამოვიდა თბილისში, სადაც წარმატებით მოღვაწეობდა 1871 წლამდე (იხ. „К“, 1871, №№ 13, 54; ცსსა, ფ. 482, საქ. № 31, 25r).

648. ი. მესხი — ივანე სვიმონის ძე მესხი [1849—1932) — საზოგადო მოღვაწე, ჟურნალისტი, გაზ. „დროების“ თანამშრომელი. სწავლობდა პეტერბურგის სამხედრო-საექიმო აკადემიაში, შეზღვევ ციურიხში. აქ იგი შევიდა სამედიცინო ფაკულტეტზე, მაგრამ სწავლის ფულის გადაუხდელობის გამო იძულებული გახდა დაეტოვებინა უნივერსიტეტი და შესულიყო პედაგოგიურ უნივერსიტეტში. ი. მესხი იყო ჯერ ციურიხის „უღელის“ მდივანი, ხოლო შემდეგ ჟენევის „უღელის“ ფაქტიური ხელმძღვანელი. ციუ-

რიხში ყოფნის დროს მან შეადგინა არითმეტიკის სახელმძღვანელო-სახალხო სკოლებისათვის.

ივ. მესხმა თარგმნა გოგოლის „შინელი“ და დობროლუბოვის და ნეკრასოვის თხზულებანი (იხ. დ. მესხი, მოგონებანი, თბ., 1940 წ., გვ. 34—39).

649. ვლ. ნიკოლაძე—ვლადიმერ ნიკოლაძე (1850—1872)—ვ. ნიკოლაძე უმაღლესი ცოდნის მისაღებად გაემგზავრა ციურიხში, მაგრამ ნახევარი წლის შემდეგ 1871 წ. დეკემბერში გარდაიცვალა (იხ. ივ. მესხი, ნეკროლოგი, „დრ“, 1872, № 22).

650. პავლე თუმანოვი — საზოგადო მოღვაწე, ქუთაისის საურთიერთო ნდობის საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარე, ქართული ისტორიისა და ეთნოგრაფიის საზოგადოების მზრუნველი წევრი, შემდეგში თავადაზნაურთა მარშალი (იხ. ჭიჭინაძე, ქართველი კათოლიკეები ყველა ასპარეზზე და ზოგი რამ წერილები დასავლეთ საქართველოზე, თბ., 1905, გვ. 40—41).

651. გ. თუმანიშვილის ეს წერილი დაცულია მთ, № 835, 38—39 v.

652. იგულისხმება მ. თუმანიშვილის 1872 წ. 1 მარტით დათარიღებული წერილი (იხ. მთ, № 506, 53—54v).

653. გ. თუმანიშვილის ამ წერილს ვერ მივაკვლიეთ.

654. დასახელებული სტატიის ზუსტი სათაური ასეთია: „საზოგადო საქმეები, ბანკის საქმე ჩვენში“, „ქრ“, 1872, № 6, გვ. 161—195.

655. „Кредитное дело“ — არა სრულად პირველად გამოქვეყნებული იყო 1861 წ. „სოვერემნიკში“, ხოლო მთლიანი სახით — 1905—1906 წლებში გამოცემულ ჩერნიშევსკის თხზულებათა სრულ კრებულში.

656. გ. თუმანიშვილის ეს წერილი დაცულია მთ, № 835, 60—62.

657. ბაბალეს 1873 წ. 8 იანვრით დათარიღებული წერილი იხ. გვ. 98—99.

658. გ. თუმანიშვილის ეს წერილი დაცულია გთ, № 178, 4—7v.

659. მ. თუმანიშვილის ეს წერილი იხ. გვ. 79—82.

660. მ. თუმანიშვილის 1873 წ. 21 სექტემბრით დათარიღებული წერილი იხ. მთ. № 506.

661. Альбер — მალაზიის პატრონი.



